

მარინა კაკიაშვილი

**იურიდიული ფსიქოლოგიის
პრაქტიკუმი**

(შეამოწმე და განავითარე
შენი შესაქმლებლობები)

თბილისი
2002

ავტორისაბაზა

ნებისმიერი საქმიანობა საჭიროებს გარკვეულ ფსიქიკურ უნარ-თვისებებს წარმატების მისაღწევად, მაგრამ, ალბათ, ცოტა პროფესია თუ მოითხოვს პიროვნების იმგვარ მრავალმხრივ განვითარებას, როგორსაც – იურისტის. ეს თვით პროფესიის თავისებურებითა და საქმიანობის მრავალმხრივობითაა განპირობებული.

ეს წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში წარმოდგენილია ფსიქიკურ პროცესთა, თვისებათა და მათ პათოლოგიათა მოკლე დახასიათება, აქვე მოცემულია პრაქტიკული სამუშაოები პიროვნების ფსიქიკური დახასიათებისთვის; მეორე ნაწილი ეთმობა ფსიქოლოგიურ ტრენინგს. იგი შეიცავს იურისტის პროფესიისთვის საჭირო ფსიქიკურ თვისებათა განმაკვირვებელ სავარჯიშოს.

წიგნი დაეხმარება იურისტს უკეთ გაერკვეს თავის შესაძლებლობებში. არა მარტო იცოდეს, რომელი ფსიქიკური თვისებებია პროფესიულ საქმიანობაში წარმატების მომტანი, არამედ სათანადო ვარჯიშით კიდევ განავითაროს ეს თვისებები.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ დოცენტი

რეცენზენტები: გივი მერაბიშვილი

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამაზ ვოგინაიშვილი

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ დოცენტი

რედაქტორი გიორგი მჭედლიშვილი

თსუ პროფესორი

შინაარსი

ნაწილი პირველი	5
შეამოწმე შენი შესაძლებლობანი.....	5
პიროვნების კვლევის მეთოდები	5
პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათების სქემა	7
აღქმა	8
რამდენად ზუსტად აღიქვამთ დროს	9
ყურადღება	10
შეამოწმეთ თქვენი დამკვირვებლობა და ყურადღება	11
როგორ ვიკვლიოთ ყურადღების მოცულობა და განაწილება	11
რამდენად სწრაფად შეგიძლიათ ყურადღების გადანაცვლება	14
მეხსიერება	14
მეხსიერების საკვლევი ტესტები	16
შეამოწმეთ ყურადღება და ოპერატიული მეხსიერება	19
შეამოწმეთ ყურადღება და მხედველობითი მეხსიერება	19
აზროვნება	20
პროფესიულად აუცილებელი გონებრივი უნარ-თვისებები	33
გაარკვიეთ თქვენი გონის თვისებები	34
შეაფასეთ ლოგიკური აზროვნების უნარი	35
მეტყველება	28
როგორ ვიკვლიოთ მეტყველება	29
წარმოსახვა ანუ ფანტაზია	31
გრძნობები და ემოციები	34
რეაქციული და პიროვნული შფოთვის სკალა	37
ნებისყოფა	41
ტემპერამენტი	48
ხასიათი	52
ხასიათის ტიპები	53
პიროვნება	54
ალკოჰოლიზაცია	56
პიროვნების მიმართულობა	58
პიროვნების თვითშეფასება და მისი განსაზღვრის ხერხი	61
რამდენად შრომისმოყვარე ხართ	63
პიროვნებათშორისი ურთიერთობა	64
გაზომეთ თქვენი ემპათური ტენდენცია	71
კონფლიქტი	72
გამომძიებლის ტიპები	75
ერიდეთ პროფესიულ დეფორმაციას	77

ნაწილი მეორე	78
ფსიქოლოგიური ტრენინგები.....	78
სავარჯიშო კომუნიკაციური ორიენტაციის უნარის განვითარებისათვის	78
კონტაქტის უნარის განმავითარებელი ვარჯიში	78
წარმოსახვის, ხატოვანი მეხსიერებისა და პროფესიული დაკვირვების	
განმავითარებელი ვარჯიშები	81
სავარჯიშოები საგამომიებლო პრაქტიკიდან	84
სავარჯიშო ტემპერამენტის ტიპის განსაზღვრისათვის	95
რჩევები ნებისყოფის გასაწვრთნელად	99
ლოგიკური აზროვნების, დამკვირვებლობის, რეფლექსის უნარის	
განმავითარებელი სავარჯიშოები	100
პასუხები	122
ნაწილი მესამე.....	133
ეს საინტერესო და საყურადღებო სამართალდამცავ	
ორგანოთა მუშაკათვის	133
რას გვეუბნება ადამიანის სხეული.....	137

ნაწილი პირველი

შეამოწმე უნი უნსაკლავლობანი

აქ თქვენ გაეცნობით პიროვნების კვლევის მეთოდებს, ფსიქიკურ პროცესებსა და მათ პათოლოგიას, ფსიქიკური თვისებების კვლევის ზერხებს, საკუთარი შესაძლებლობების შემოწმების საშუალებებს.

პიროვნების კვლევის მეთოდი

ფსიქოლოგიაში პიროვნების შესწავლისათვის გამოიყენება ექსპერიმენტის, დაკვირვების, საუბრის, ინტერვიუს, ბიოგრაფიული (დღიურები, მემუარები, წერილები, დახასიათება და ა.შ.) მეთოდი.

პიროვნების ფსიქიკური უნარ-თვისებების დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

კითხვარი: ეს არის კვლევის შინაარსთან დაკავშირებული კითხვების სია, რომელზედაც პასუხი უნდა გასცეს პიროვნებამ. ასეთია: აიზენკის, კეტელის და ამერიკელი ფსიქოლოგების მიერ დამუშავებული მრავალფაზიანი კითხვარები.

ტესტები: ისინი გამოიყენება პიროვნების გაუცნობიერებელი მონაცემების, მისი პოტენციური შესაძლებლობების, ტენდენციებისა და განწყობების შესასწავლად. ასეთებია, მაგალითად, როზენცვაიგისა და რორშახის ტესტები, ასოციაციური და თემატური აპერცეფციის ტესტი;

დაუმთავრებელი წინადადებებისა და ბიქტოგრამის მეთოდი: აღნიშნული მეთოდები გამოიყენება აგრეთვე სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროს.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა პროფშერჩევისათვის უმჯობესია გამოიყენოთ აიზენკის კითხვარი, ტეილორის შფოთვის სკალა MAS, შემოქმედების საკვლევი სკალა, რომლითაც იზომება — მიზანსწრაფულობა, გულმოდგინება, თავშეკავებულობა, ემოციურობა, MMPJ-ს მეშვეობით კი შეიძლება გამოვლინდეს — ინიციატივობა, კონტაქტურობა, სოციალური შემგუებლობა, გონის მოქნილობა, თვალსაწიერი, წარმოსახვა, გულმოდგინება, შრომისმოყვარეობა.

ზემოთ მითითებული კითხვარებისა და ტესტების გამოყენება მხოლოდ პროფესიონალი ფსიქოლოგის მონაწილეობითაა შესაძლე-

ბელი, რადგან შედეგების ინტერპრეტაცია მოითხოვს ფსიქოლოგიურ ცოდნასა და გამოცდილებას; ამიტომ მათი მოტანა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. მიუხედავად ამისა იურისტს თვითონ უნდა შეემოწმოს პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათება. ამისათვის საჭიროა, იცნობდეს პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათების სქემას, შედარებით მარტივი ხერხებით თვითონვე შეავსოს ეს სქემა და მის საფუძველზე შექმნას პიროვნების ფსიქოლოგიის სურათი; ქვემოთ წარმოდგენილი სქემა გამოსადეგია როგორც დამნაშავეს, ბრალდებულის, ან მსჯავრდებულის საკვლევად, ასევე ნებისმიერი პიროვნების შესასწავლად.

იურისტის პროფესიულ საქმიანობაში რამდენიმე ასპექტი შეიძლება გამოვეყნოთ: შემეცნებითი, კომუნიკაციური და ორგანიზაციული. ისინი მოითხოვს გარკვეულ ფსიქიკურ უნარ-თვისებებს: ინტელექტუალურს (მეხსიერება, აზროვნება, დამკვირვებლობა) ხასიათობრივს (მიზანსწრაფულობა, პრინციპულობა, სიმტკიცე, ჰარმონიულობა), ნებელობითს (ნებისყოფის სიძლიერე, შეუპოვრობა), ფსიქოფიზიოლოგიურს (ემოციური გაწონასწორებულობა, ფსიქიკური ამტანობა).

შემეცნებით აქტივობას საფუძველად ინტელექტი უდევს. ფართო გაგებით, ინტელექტს განიხილავენ როგორც შემეცნებით ფუნქციათა ერთიანობას და აზროვნების საფუძველს; მის თვისებას. აქმა, აზროვნება, მეხსიერება, ფანტაზია – ეს ის პროცესებია, რომელშიც ვლინდება ადამიანის ინტელექტი. იურისტის აზროვნებას უნდა ახასიათებდეს შემდეგი თვისებები: სისწრაფე, მოქნილობა, პროდუქტიულობა, კრიტიკულობა. ამასთან ერთად, ამ პროფესიის ადამიანების აზროვნებას უნდა ახასიათებდეს სინთეზისა და ანალიზის კარგი უნარი და აზროვნების ისეთი თვისება, როგორიცაა რეფლექსურობა (საკუთარი აზროვნების პროცესის წარმართვა სხვისი აზროვნების იმიტაციის, გათვალისწინების, წაბაძვის საფუძველზე). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ინტუიციას, ანუ ევრისტიკულ აზროვნებას, რომელიც არის ჭეშმარიტების წვდომის თავისებური ალლო, მიხვედრილობა, შემზადებული წინასწარი, დაძაბული და ხანგრძლივი გონებრივი აქტივობით და რომლის განვითარებაც დამოკიდებულია არა მარტო კონკრეტულ ცოდნა-გამოცდილებაზე, არამედ პიროვნების განვითარების ზოგად დონეზე.

ინტელექტის დონის გამომხატველად ფსიქოლოგიაში გამოიყენება IQ მაჩვენებელი, რომელიც ღვინდება სპეციალური ტესტების

ეოხებით. ასეთი გონებრივი ტესტების გამოყენება და შედეგების ნალიზი მხოლოდ ფსიქოლოგს შეუძლია, მაგრამ, რადგან ინტელექტი იმეცნებითი პროცესის საფუძველია, მათი ფუნქციონირების დონე ნდივიდუში მისი ინტელექტის შესახებ ბევრს გვეუბნება. ამიტომ მეხიერებისა და აზროვნების საკვლევ მეთოდიკას და ტესტებს ხშირად ყენებენ ინტელექტის დიაგნოსტიკისათვის.

პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათების სქემა

1. ბიოგრაფიული ცნობები

გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების ადგილი და წელი. ეროვნება, განათლება, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა.

2. ცნობები პიროვნების ფორმირების პირობების შესახებ

ოჯახის მატერიალური მდგომარეობა. რა დანაშაული აქვს ჩადენილი? როგორი ქცევები ახასიათებს? ექვემდებარება თუ არა აღზრდას?

3. პიროვნების სტრუქტურა

ა) ფსიქიკურ მდგომარეობათა და პროცესთა თავისებურებანი:

აღქმა: აღქმის თავისებურებანი, დამკვირვებლობა.

ყურადღება: ნებისმიერი, უნებლიე, ყურადღების მოცულობა, გამძლეობა, განაწილება, გადანაცვლება;

მეხსიერება: მეხსიერების ტიპი. მეხსიერების თვისებები; ხანგრძლივობა, სიმტკიცე, სიზუსტე;

აზროვნება: სინთეზისა და ანალიზის უნარი. პრობლემური ამოცანის გადაწყვეტის უნარი. აზროვნების ტიპი;

მეტყველება: ლექსიკური მარაგი. თვისებები (შინაარსი, გამომხატველობა, სიზუსტე), მეტყველების კულტურა, ფარგონი.

წარმოსახვა: ყველაზე განვითარებული ფორმა;

გრძნობები და ემოციები: გარეგნული გამოხატულება, გამოვლინების ფორმები. გრძნობათა მიმართულება და სიღრმე, აფექტების არსებობა. ქცევები ექსტრემალურ პირობებში;

ნებისყოფა: ძალა, სიმტკიცე.

ბ) პიროვნების მიმართულობა

მოთხოვნილებები (მატერიალური, სულიერი), სწრაფვები, ინტერესები, მსოფლმხედველობა (შეხედულებანი, იდეალები, რწმენები).

გ) ტემპერამენტი

ტემპერამენტის ტიპი და მასთან დაკავშირებული ყველაზე მეტად დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი თვისებები.

დ) ხასიათი

დამოკიდებულება შრომისადმი, სხვა ადამიანებისადმი (კონტაქტურია თუ არა, უხეშია თუ თავაზიანი, თავის თავშია ჩაკეტილი თუ პირიქით და ა.შ.), დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი. ხასიათის ძირითადი თვისებები (წესრიგიანობა, პრინციპულობა, დამოუკიდებლობა, სიჯიუტე, ნეგატივიზმი, შთაგონება და ა.შ.), მორალური აღზრდილობა.

ე) უნარები, მიდრეკილებები, დაჯილდოებულობა (ნიჭი, ტალანტი, ზოგადი გონიერება).

4. დასკვნა

რას უნდა ველოდეთ ამ პიროვნებისაგან და ცხოვრების და შრომის როგორი პირობებია მისთვის აუცილებელი.

აღქმა

აღქმა არის საგნის, მოვლენების, სიტუაციების ასახვა, მათი, როგორც ჩვენს გარეთ არსებულის განცდა. აღქმა დაკავშირებულია სხვა ფსიქიკურ პროცესებთან – შეგრძნებებთან, აზროვნებასთან, მეხსიერებასთან, ყურადღებასთან. აღქმის პროცესი მოტივაციითაა წარმართული და მეტ-ნაკლები ემოციური შეფერილობით ხასიათდება.

აღქმა დამოკიდებულია აგრეთვე წარსულ გამოცდილებაზე, ცოდნაზე, საქმიანობის ხასიათზე, პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებზე (მოთხოვნილებები, მიდრეკილებები, ინტერესები, მოტივები, ემოციური მდგომარეობები). ამ ფაქტორების ზემოქმედებით იქმნება თითოეული ადამიანისათვის დამახასიათებელი ფსიქიკის თვისება – აპერცეპცია, რომელშიც გამოიხატება აღნიშნულ ფაქტორზე აღქმის დამოკიდებულება. ადამიანი აღიქვამს საგნებსა და მოვლენებს, დროს, სივრცეს, მარტივ და რთულ ბგერით გამლიზიანებლებს, მეტყველებას და სხვა ადამიანებს.

აღქმის დამოკიდებულება აღნიშნულ ფაქტორზე გაითვალისწინება ჩვენების და დაკითხვის ფსიქოლოგიაში.

აღქმის ილუზიები

აღქმის ილუზია არის საგნის და მისი თვისებების არაადეკვატური ასახვა, შეცდომა აღქმაში, დამახინჯებული აღქმა. განასხვავებენ სამი სახის ილუზიებს — ფიზიკურს, ფიზიოლოგიურსა და ფსიქიკურს. ფიზიკური და ფიზიოლოგიური ილუზიები, შესაბამისად, განპირობებულია ფიზიკური ან ფიზიოლოგიური მოვლენებით, ხოლო ფსიქიკური ილუზიები — ფსიქიკური ფაქტორებით. მაგალითად, აფექტი, ინტენსიური სურვილი, მოლოდინი შეიძლება გახდეს ილუზიის მიზეზი. აღქმის ილუზიების წყაროს პიროვნებისეული ფაქტორები წარმოადგენს. ასეთ პიროვნებისეულ ფაქტორს მიეკუთვნება განწყობა. ესა თუ ის ემოციური მდგომარეობა, სურვილი თუ მოლოდინი წარმოშობს მთლიან პიროვნებისეულ ცვლილებას, განწყობას, რომელიც არის ილუზიების საფუძველი.

აღქმის ილუზიებში ვლინდება ადამიანის მთელი რიგი თვისებები — ხასიათი, თვითშეფასება, შთაგონებადობა და ა.შ. დაკითხვისა და ჩვენების ფსიქოლოგია ითვალისწინებს აღქმის ილუზიის ფაქტორის მოქმედებას.

რამდენად ზუსტად აღიქვამთ დროს?

დროის აღქმა სუბიექტურია. ადამიანები რეალური (ობიექტური) დროის მონაკვეთს აღიქვამენ როგორც უფრო ხანგრძლივს ან ხანმოკლეს. აღქმაზე გავლენას ახდენს აგრეთვე საქმიანობის თავისებურებაც. თუ დროს მხიარულად ვატარებთ, იგი სწრაფად გარბის, ხოლო თუ მოწყენილნი ვართ, ნელა მიიზღაზნება. თუ სასიამოვნო ამბავს ველოდებით, დრო ნელა გადის, უსიამოვნების მოლოდინში კი სწრაფად მიმდინარეობს.

იურისტის პროფესიული საქმიანობა საჭიროებს დროის ზუსტი შეფასების უნარს. ქვემოთ მოყვანილი ზერხით თქვენ შეგიძლიათ შეამოწმოთ ეს უნარი და სათანადო ვარჯიშით გააუმჯობესოთ იგი:

წამმზომის ან წამმზომიანი საათის გამოყენებით შეეცადეთ ზუსტად განსაზღვროთ დროის ინტერვალი 1, 2, 3, 4, 5 წუთი. შედეგი შეაფასეთ ფორმულით:

$$C = \frac{A - 100}{60}$$

სადაც C არის დროის შეფასების სიზუსტე, A – დროის ფაქტობრივი ინტერვალი, თუ $A \leq 60$.

ხოლო თუ $A > 60$, მაშინ:

$$C_1 = \frac{(A-60) \cdot 100}{60},$$

სადაც A არის დროის ფაქტობრივი ინტერვალი, C_1 – დროის სუბიექტური ხანგრძლივობის სიდიდე.

ყურადღება

ყურადღება არის სინამდვილის ნათელი განცდის, გაცნობიერების აუცილებელი პირობა; იგი გამოიხატება ამა თუ იმ რეალურ თუ იდეალურ ობიექტზე ნებისმიერ ან უნებლიე მიმართვასა და ცნობიერების მიპყრობაში.

უნებლიე ყურადღება პასიურია, მის ფიზიოლოგიურ საფუძველს საორიენტაციო რეაქცია წარმოადგენს. ამ დროს პიროვნება თავისი სურვილის, განზრახვის და ნების გარეშე, ქცევის მიზნების შეუსაბამოდ, სინამდვილის ზემოქმედების შედეგად, უნებლიედ მიიმართება ყურადღების გამომწვევი შინაარსისაკენ. თუ მოქმედება გაცნობიერებულ, მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს და მოითხოვს ნებელობით ძალისხმევას, მაშინ ვლინდება ნებისმიერი ყურადღება. ნებისმიერი ყურადღება რთული სტრუქტურისაა, რომელიც გაშუალებულია ქცევის ორგანიზაციის და კომუნიკაციის სოციალურად გამომუშავებული ხერხით. ყურადღების მახასიათებლებია: არჩევითობა, მოცულობა (6-7 ობიექტი), სიმყარე, განაწილება, გადანაცვლება, გამძლეობა, ინტენსივობა, რხევადობა, შეგუება.

ყურადღების დარღვევები

ყურადღების დარღვევები წარმოადგენს ფსიქიკური აქტივობის მიმართულებასა და არჩევითობის პათოლოგიურ ცვლილებას. იგი გამოიხატება ყურადღების მოცულობის შემცირებაში, ყურადღების გამძლეობისა და სიმყარის დაქვეითებაში. ამგვარი ცვლილებები ხდება როგორც გადაღლილობისას, ასევე ტვინის შუბლის წილის ორგანული დაზიანების დროს. ეს დარღვევა არაა დაკავშირებული ამა თუ იმ შეგრძნების მოდალობასთან (სმენა, მხედველობა) და ნებისმიერი მოდალობის გამღიზიანებლის აღქმისას იჩენს თავს.

ამა თუ იმ ანალიზატორული სისტემის დაზიანებისას ვლინდება ყურადღების დარღვევა შესაბამისი მოდალობის სფეროში. მაგალითად, ტვინის ქერქის ზურგის მხარის დაზიანება იწვევს მხედველობითი ყურადღების დარღვევას, ხოლო საფეთქლის წილის დაზიანება – სმენითი ყურადღების დარღვევას. ეს დარღვევები გამოიხატება შესაბამისი მოდალობის გამღიზიანებლებისადმი უყურადღებობაში.

შეამოწმეთ თქვენი დამკვირვებლობა და ყურადღება




ქვემოთ დაწერილი სიტყვები 13 ჯგუფად დაყავით, თითოეულში სამი სიტყვა უნდა შევიდეს და თითოეულ ტრიადას საერთო უნდა გააჩნდეს. მაგალითად, „გუბე“, „ტბა“, „ზღვა“. ტრიადაში მხოლოდ სიტყვის ნომრები ამოიწერეთ, მაგალითად: 1-7-22. სამუშაოსათვის გეძლევათ 4 წუთი.

- | | | |
|-----------------|-----------------|-----------------|
| 1. წითელი | 14. იხვი | 27. სილამაზე |
| 2. სიმღერა | 15. ნოტები | 28. ბატი |
| 3. პლატინა | 16. ლიმონი | 29. ტელევიზია |
| 4. რადიო | 17. გაზეთი | 30. ვერცხლი |
| 5. მთვარე | 18. ლომი | 31. მანდარინი |
| 6. ახალგაზრდობა | 19. ბორბალი | 32. გიტარა |
| 7. თეთრი | 20. თანამგზავრი | 33. კოეზი |
| 8. ზურგი | 21. ეაშლი | 34. ჯანმრთელობა |
| 9. დანა | 22. მწვანე | 35. ორთქლი |
| 10. მგელი | 23. ყინული | 36. ოქრო |
| 11. წყალი | 24. ფორთოხალი | 37. ეელოსიპედი |
| 12. ქლიავი | 25. ჩანგალი | 38. ქათამი |
| 13. ტურა | 26. მზე | 39. მსხალი |

როგორ მიიღწიოთ ყურადღების მოცულობა და განაწილება

მასალა: რამდენიმე საექსპოზიციო ბარათი, რომლებზეც ციფრებია. ცდის მიმდინარეობა: პირველი ვარიანტი – ერთი წამით დახედეთ ბარათს, რომელზეც რამდენიმე ციფრია გამოსახული და როცა ბარათს აიღებენ, შეკრიბეთ ეს ციფრები და დაასახელეთ ჯამი.

მეორე ვარიანტი: ერთი წამით დახედეთ ფიგურებს, რომლებშიც რიცხვებია ჩაწერილი. გამოითვალეთ ამ რიცხვთა ჯამი და დაასახელეთ რომელ ფიგურაში რომელი რიცხვია ჩაწერილი.



მიღებული შედეგები გამოხატავს ყურადღების განაწილების უნარს.

ყურადღების განაწილების უნარი შეიძლება გავარჯიშდეს როგორც აღწერილი ცდის, ასევე ქვემოთ წარმოდგენილი ხერხების მეშვეობით:

1. ჩამოწერეთ ფურცელზე 1-დან 20-მდე რიცხვები და ერთდროულად ხმამაღლა ითვალეთ 20-დან 1-მდე.


2. ხმამაღლა იკითხეთ ტექსტი და ერთდროულად ფურცელზე დაწერეთ რაიმე (მაგალითად, + - + - და ა.შ.).

3. ზეპირად წარმოთქვით ლექსი და ამავე დროს შეასრულეთ მარტივი მათემატიკური ანგარიში.

4. დაწერეთ ფურცელზე თქვენი გვარი და იმავედროულად ხმამაღლა, შებრუნებული თანმიმდევრობით დაასახალეთ მასში შემავალი ბგერები.

ყურადღების მოცულობის საკვლევეად აიღეთ რამდენიმე ბარათი, ზომით 10x14 სმ. სთხოვეთ მეგობარს ამ ბარათებზე გაფანტულად, ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე დაწეროს – ერთზე ციფრები, მეორეზე ასოები, მესამეზე დასვას წერტილები. მათი ოდენობა 15-20-ზე ნაკლები არ იყოს. შემდეგ ამ ბარათებს მხოლოდ წამიერად დახედეთ და თანმიმდევრობით აღადგინეთ ჯერ პირველზე დაწერილი ციფრები, რამდენსაც შეძლებთ, შემდეგ ასოები და ბოლოს წერტილების ოდენობა. აღდგენილი მასალის ოდენობა, თითოეული ბარათის მიხედვით, გამოხატავს ყურადღების მოცულობას სხვადასხვა შინაარსის მასალებისათვის, ზოლო მათი საშუალო არითმეტიკული თქვენი ყურადღების მოცულობის მაჩვენებელია.

ერთი შეხედვით განსაზღვრეთ – რამდენი კითხვის და ძახილის ნიშანია ნახატზე.



თქვენ მიერ დასახელებული რიცხვი ყურადღების მოცულობის მაჩვენებელია. ნორმაა 6-7 ობიექტი.

**რამდენად სწრაფად შეიძლება ჩურაღღების
გადანაცვლება?**

თქვენს წინაშეა ცხრილი, რომელიც შეესებულება არაბული და რომაული ციფრებით. შეეცადეთ, რაც შეიძლება სწრაფად –

1. აჩვენოთ (მოძებნოთ) ამ ცხრილში არაბული ციფრები თანამიმდევრობით 1-დან 25-მდე (წამმზომის ან საათის მეშვეობით გაზომეთ ამ სამუშაოსათვის დახარჯული დრო).

2. მოძებნოთ რაც შეიძლება სწრაფად რომაული ციფრები IV-დან I-მდე (გაზომეთ დრო).

3. მოძებნოთ შენაცვლებით არაბული ციფრები მზარდი, ხოლო რომაული ციფრები კლებადი თანმიმდევრობით: I, IV, 2, III, 3, II და აშ. (დრო გაზომეთ).

გამოიანგარიშეთ სხვაობა პირველი და მეორე ამოცანის შესრულებაზე დახარჯულ დროთა ჯამსა და მესამე ამოცანაზე დახარჯულ დროს შორის. რაც ნაკლებია ეს სხვაობა, მით უკეთესია თქვენი ყურადღების გადანაცვლების უნარი.

7	IV	10	VI	22	24	II
17	III	19	8	11	VI	I
11	I	20	V	21	I	3
I	6	VII	V	18	12	IV
IV	25	13	13		1	VII
I	III	23	23	15	14	VIII
16	5	I	I	II	4	

მეხსიერება

მეხსიერება არის ფსიქიკური პროცესი, რომელიც ვლინდება ინფორმაციის შემონახვასა და საჭიროების დროს მის აღდგენაში. მეხსიერების მეშვეობით ხდება გარემოდან მიღებული ინფორმაციის დაგროვება, ცოდნა ჩვევების შექმნა და შემდგომში მისი გამოყენება. მეხსიერება არის სწავლების და განვითარების საფუძველი. მეხსიერების

ძირითადი პროცესებია: დამახსოვრება, შემონახვა, დავიწყება, აღდგენა. მათ შორის ძირითადია დამახსოვრება. იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი და უნებლიე. წარსულ გამოცდილებას ადამიანი გამოიყენებს მოგონების საფუძველზე. მოგონების გამოვლენის მარტივი ფორმაცნობა, რომელიც განმეორებით აღქმის დროს ხდება, ხოლო უფრო რთულ ფორმას წარმოადგენს ისეთი შინაარსის აღდგენა ცნობეურებაში, რომელიც მოცემულ მომენტში არ აღიქმება. დავიწყება ვლინდება სხვადასხვანაირად – დაწყებული მოგონებასა და ცნობაში დაშვებული შეცდომებით, სრულ დავიწყებამდე, როცა არა თუ ვერ ვიგონებთ, არამედ აღქმულსაც ვერ ვცნობთ.

დასამახსოვრებელი მასალის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ვერბალური, ხატოვანი, მოტორული და ემოციური მეხსიერება. შესაბამისად ადამიანები შეიძლება დაიყოს მეხსიერების ტიპებად იმის მიხედვით, თუ როგორ ინფორმაციას იმახსოვრებენ უკეთ. არსებობენ მეხსიერების ისეთი ტიპებიც, რომლებიც სწრაფად, კარგად და დიდხანს იმახსოვრებენ რიცხვებს, ადამიანის სახეს და ა.შ. მეხსიერების ტიპები შეიძლება გამოიყოს იმის მიხედვითაც, თუ შეგრძნების რომელი მოდალობითაა დამახსოვრება უკეთ განვითარებული. გამოყოფენ მხედველობით, სმენით, მოტორულ-ტაქტილურ ტიპებს.

მეხსიერების ანთოლოგია

მეხსიერების დარღვევა ვლინდება სხვადასხვა სახით და გულისხმობს დამახსოვრების, შემონახვის, ცნობის და მოგონების უნარის დაკარგვას. გამოიყოფა დარღვევის შემდეგ ფორმები: ამნეზია – დამახსოვრების უნარის დაკარგვა; ჰიპერმნეზია – გაძლიერებული მეხსიერება; ჰიპომნეზია – მეხსიერების შესუსტება; პარამნეზია – მცდარი მეხსიერება.

ამნეზია – არის მეხსიერების დაქვეითების განსაკუთრებით გამოკვეთილი და ძლიერი ფორმა. ვლინდება რეტროგრადული, ანტი-როგრადული და პერიოდული ამნეზიის სახით. რეტროგრადული ამნეზიის (ხდება ტვინის დაზიანების გამო) დროს დარღვევა ვრცელდება წარსულზე. დასაწყისში – ახლო წარსულზე, ხოლო ავადმყოფობის პროგრესირებასთან ერთად სულ უფრო შორეულ წარსულს მოიცავს, ბავშვობის ასაკის ჩათვლით. ანტიროგრადული ეხება დაავადების შემდ-

გომ პერიოდს. ანტიერორეტროგრადული ანუ პერიოდული ამნეზიის დროს ადგილი აქვს აწმყოსა და წარსულის მონაცვლეობით დავიწყებას და ამიტომ იგი, ასე ვთქვათ, პიროვნების გაორების სახეს ღებულობს.

ჰიპერმნეზია – როგორც წესი, თანდაყოლილია და ვლინდება ნორმაზე მეტი ინფორმაციის ხანგრძლივი დამახსოვრების უნარში. ინფორმაცია შეიძლება სხვადასხვა შინაარსისა იყოს – რიცხვები, სიტყვები, სიმბოლოები და ა.შ.

ჰიპომნეზია – სხვადასხვა დაავადებების (ტვინის სკლეროზი, თანდაყოლილი შეფერხება ფსიქიკურ განვითარებაში, ოლიგოფრენია) დროს იჩენს თავს და ვლინდება მეხსიერების პათოლოგიურ დაქვეითებაში.

პარამნეზია, ანუ „მცდარი მეხსიერება“, შეიძლება გამოვლინდეს არასწორი, დამახინჯებული დამახსოვრების, მცდარი მოგონებების და „თითქოს უკვე ნანახის“ განცდის სახით. იგი ხშირად ცნობიერების დარღვევებს უკავშირდება.

ჩვენების ფსიქოლოგია ითვალისწინებს დამახსოვრებასა და მოგონებაზე ზემოქმედ ფაქტორებს, მეხსიერების ტიპებსა და პათოლოგიას.

მეხსიერების საკვლევი ტესტები

ქვემოთ მოგვყავს ტესტები, რომლითაც შეიძლება ვიკვლიოთ მეხსიერება და პასუხი გავცეთ კითხვებზე: რამდენად სწრაფად ვიმახსოვრებთ ინფორმაციას? დიდხანს ინარჩუნებს თუ არა მეხსიერება მიღებულ ინფორმაციას? რა სახის ინფორმაცია უფრო სწრაფად და ადვილად გვამახსოვრდება – რიცხვები, სიტყვები, ნახატები თუ ტექსტი?

ტესტი I

40 წამში დაიმახსოვრეთ ქვემოთ მოყვანილი 20 სიტყვა და მათი რიგითი ნომერი. შემდეგ დაფარეთ სია და ფურცელზე ჩამოწერეთ სიტყვება და მათი რიგითი ნომერი:

1. ქართველი
2. ეკონომისტი
3. ფაფა
4. ტატუირება
5. ნეირონი
6. სიყვარული
7. მაკრატელი
8. სინდისი
9. თიხა
10. ლექსიკონი

11. ქონი
12. ქალღი
13. ნამცხვარი
14. ლოგიკა
15. სტანდარტი
16. ზმნა
17. ნაპრალი
18. დეზერტირი
19. სანთელი
20. ალუბალი

მეხსიერების პროდუქტიულობა შეგიძლიათ გამოთვალოთ ფორმულით:

$$\frac{\text{სწორად აღდგენილი სიტყვების რაოდენობა}}{\text{წარდგენილი სიტყვების რაოდენობა}} = X\%$$

7

ტესტი II

იგივე გაიმეორეთ რიცხვებსა და მათ რიგით ნომრებზე. დამახსოვრების დრო 40 წამი.

- 1 – 43
- 2 – 57
- 3 – 12
- 4 – 32
- 5 – 81
- 6 – 72
- 7 – 15
- 8 – 44
- 9 – 96
- 10 – 7

- 11 – 37
- 12 – 18
- 13 – 86
- 14 – 56
- 15 – 47
- 16 – 6
- 17 – 78
- 18 – 61
- 19 – 83
- 20 – 73


კოეფიციენტი გამოვითვალოთ იგივე ფორმულით

ტესტი III

ათი წამის განმავლობაში ყურადღებით დააკვირდით ფიგურებს, რომლებიც კვადრატებშია ჩახაზული და შემდეგ შეეცადეთ დახატოთ ისინი იგივე თანმიმდევრობით, ან დაასახელეთ ფიგურა და მისი ნომერი.



1



2



3




4




5



6




7



8



9



10

ფორმულა:

$$\frac{\text{სწორი პასუხის რაოდენობა} \times 100}{\text{კვადრატების რაოდენობა}} = X\%$$

ტესტი IV

60 წამის განმავლობაში გადაიკითხეთ ტექსტი, რომელშიც გამოყოფილი და დანომრილია ათი მთავარი აზრი. შემდეგ შეეცადეთ, აღადგინოთ ისინი მოცემული თანმიმდევრობით.

1912 წელს ატლანტის ოკეანეში მოხდა კატასტროფა. დიდი სამგზავრო გემი „ტიტანიკი“, რომელიც პირველ რეისს ასრულებდა ევროპიდან ამერიკაში, სიბნელეში შეეჯახა ყინულის მთას – აისბერგს. (1) გემი გაიხვრიტა და დაიწყო ჩაძირვა (2). „ჩაუშვით ნავეები“ – გასცა ბრძანება კაპიტანმა, მაგრამ ნავეები არ აღმოჩნდა საკმარისი (3), ისინი ეყო მხოლოდ მგზავრების ნახევარს. „ქალები და ბავშვები გასასვლელთან, მამაკაცებმა გაიკეთეთ მაშველი ქაშები“ (4) – გაისმა მეორე ბრძანება.

მამაკაცები უხმოდ მოსცილდნენ ბორტს. გემი ნელა იძირებოდა ცივ წყალში (5). დასაღუპად განწირულ გემს ერთი მეორის მიყოლებით სცილდებოდნენ ქალებით და ბავშვებით დატვირთული ნავეები. აი დაიწყო უკანასკნელ ნავეში ჩასხდომა (6). უცებ გასასვლელს ყვირილით ეცა სახეშეშლილი მსუქანი კაცი (7). იგი აქეთ-იქით ყრიდა ქალებს და ბავშვებს, მეზღვაურებს ფულის დასტას აჩეჩებდა და ცდილობდა ჩამხტარიყო სავსე ნავეში (8).

გაისმა გასროლის ხმა – ეს კაპიტანმა გაისროლა (9). მშიშარა უსულოდ დაეცა ძირს (10), მაგრამ მისკენ არავის მიუხედავს.

ფორმულა:
$$\frac{\text{სწორად აღდგენილი აზრების რაოდენობა} \times 100}{\text{ტექსტში გამოყოფილი აზრების რაოდენობა}} = X\%$$

შეკრიბეთ ოთხივე ტესტში მიღებული მაჩვენებელი, შემდეგ გაყავით ოთხზე და გაიგებთ მეხსიერების პროდუქტიულობის საშუალოს

90-100 – საუკეთესო; 70-90 – ძალიან კარგი შედეგი; 50-70 – კარგი შედეგი; 30-50 – დამაკმაყოფილებელი შედეგი; 10-30 – ცუდი შედეგი; 0-10 – ძალიან ცუდი შედეგი.

ერთი კვირის შემდეგ ისევ შეამოწმეთ ოთხივე ტესტის დაელება, მხოლოდ წიგნი ნუ ჩაიხედავთ. შეეცადეთ აღადგინოთ სიტყვები, რიცხვები, ნახატები და ტექსტი მეხსიერებაში. მიღებული შედეგი გიჩვენებთ, რამდენად დიდხანს შემოინახავს თქვენი მეხსიერება ინფორმაციას.

შეამოწმეთ ყურადღება და ოპერატიული მეხსიერება

სთხოვეთ მეგობარს, მაგიდაზე დაალაგოს სხვადასხვა საგნები (წიგნი, კალამი, ფანქარი, საათი, მონეტა, უბის წიგნაკი და ა.შ.). მიღით მაგიდასთან, დააკვირდით 10-15 წამის განმავლობაში, მოახდინეთ საგნების თვალით ფოტოგრაფირება, შემდეგ შებრუნდით, დახუჭეთ თვალები და შეეცადეთ მოიგონოთ ნანახი. ამხანაგმა შეიძლება შეცვალოს საგნები და მათი განლაგება. შეეცადეთ, საგნები ისე განალაგოთ, როგორც თავიდან იყო. თუ შედეგით უკმაყოფილო დარჩებით, შეგიძლიათ, მსგავსი სავარჯიშოების შესრულებით გააუმჯობესოთ თქვენი ყურადღება და ოპერატიული მეხსიერება.

შეამოწმეთ ყურადღება და მხედველობითი მეხსიერება

გონებაში გაიარეთ ქუჩა ან უბანი, სადაც ცხოვრობთ. თავდაპირველად შეგიძლიათ შედარებით პატარა მონაკვეთი აიღოთ. აღწერეთ ყველა სახლი, შესახვევი, ბაღი, სკვერები, მაღაზიები, დაწესებულებები, რესტორნები, კაფე, ტრანსპორტი იმ ქუჩაზე, რომელზეც გონებით მიდიხართ. გაიაზრეთ, რას უნდა მიაქციოს პოლიციელმა ყურადღება და რატომ. ამ ხერხით შეგიძლიათ შეამოწმოთ მხედველობითი მეხსიერება და გაივარჯიშოთ იგი. თქვენი მხედველობითი

მეხსიერების პროდუქტიულობა შეგიძლიათ შეამოწმოთ გონებით აღწერილ უბანში რეალური გასეირნების გზით.

თუ გსურთ, კიდევ ერთხელ შეამოწმოთ მეხსიერების თავისებურებანი, პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს:

1. რომელი მასალა უკეთ გამახსოვრდებათ, ერთნაირი ყურადღებით წაკითხული თუ მოსმენილი? (მხედველობითია თუ სმენითი თქვენი მეხსიერება).

2. როგორ უფრო ადვილად იმახსოვრებთ ფიზიკურ ვარჯიშებს – დანახვით თუ შესრულებით? (მხედველობითი ან მოტორული მეხსიერება).

3. რომელი მასალა უკეთ გამახსოვრდებათ: კონკრეტული (უცხოური სიტყვები, ტერმინები, ნახატები და ა.შ.), თუ განყენებული (ფილოსოფიური მსჯელობები, ტერმინთა განმარტებები, მოვლენათა არსის აღწერა და ა.შ.)? (თვალსაჩინო-ხატოვანია თუ ლოგიკური მეხსიერება).

4. ადრე გადატანილ მწუხარებას თუ სიხარულს როგორი ინტენსივობით და სიცხადით განიცდით? (ემოციური მეხსიერება).

5. რამდენად ადვილად შეგიძლიათ მოიგონოთ წინა დღით ტრანსპორტში ნანახი უცხო ადამიანის გარეგნობა, საუბარი და ქცევის მანერები? ხშირად გამახსოვრდებათ ყურმოკრული სიტყვები? (უნებლიე მეხსიერება).

6. საკმარისია თუ არა, ერთხელ ყურადღებით წაკითხვით გასაგები მასალა, რომ კარგად აღადგინოთ იგი? ა) მაშინვე; ბ) მეორე დღეს; გ) რამდენიმე დღის შემდეგ (ნებისმიერი მეხსიერება და დამახსოვრების სიმტკიცე).

7. გქონიათ თუ არა შემთხვევები, რომ გამომცდელის შეკითხვაზე პასუხი ვერ გაგიციათ, მაგრამ აუდიტორიის გარეთ მაშინვე მოგგონებიათ? (მეხსიერების მზაობა).

აზროვნება

აზროვნება არის შემეცნების პროცესი. სხვა შემეცნებითი პროცესებისაგან (აღქმა, მეხსიერება) განსხვავებით იგი სინამდვილის განზოგადებულ ასახვას წარმოადგენს. აზროვნება ხშირად ვლინდება

როგორც ამოცანის (პრაქტიკული ან თეორიული) გადაჭრის პროცესი. აზროვნება აღიძვრება მოტივის საფუძველზე, რომელიც არა მარტო მისი პირობაა, არამედ პროდუქტიულობის განმსაზღვრელი ფაქტორიც. აზროვნება ელინდება მრავალი ფორმით: სიტყვიერ-ლოგიკური, თვალსაჩინო-ხატოვანი, თეორიული, პრაქტიკული, ინტუიციური, რეალისტური და აუტისტური, პროდუქტიული და რეპროდუქტიული და ა.შ.

შემეცნებითი შესაძლებლობების ზოგად მახასიათებელს წარმოადგენს გონი. ამავე დროს, იგი ადამიანის აზროვნების უნარის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებასაც გამოხატავს.

გონებრივი მოქმედების მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი ტიპი:

1) გაწონასწორებული, რომელიც ჯერ დააკვირდება, გააანალიზებს და გააკრიტიკებს, რათა შემდეგ იმოქმედოს გაბედულად და ნაყოფიერად; 2) ანალიტიკოსი, რომელსაც უყვარს დეტალებამდე ჩაწვდომა და იმის სურვილით რომ კარგად და ნათლად დაინახოს ელემენტების როლი, საქმე გვერდზე რჩება, იგი ვერ რისკავს მოქმედებას; 3) სინთეზური ტიპი – აქ სინთეზი სჭარბობს, იგი ძალზე აქტიურია, საქმეს იმდენ ხანს აწონ-დაწონის, რამდენიც სჭირდება გადაწყვეტილების მიღებას. იგი ისწრაფვის თავისი გეგმების რეალიზაციისაკენ, დეტალებზე არ უყვარს შეჩერება, ურჩევნია ცხრაჯერ ხელმოცარულმა მეთოდ სცადოს ბედი, ვიდრე ერთხელ გულმოდგინედ გაარკვიოს ყველა პირობა, რომელიც ხელისშემშლელია ან პირიქით.

იურისტის პროფესიული საქმიანობისათვის უმჯობესია გაწონასწორებული გონებრივი ტიპი, რომელშიც ანალიზისა და სინთეზის უნარი ჰარმონიულადაა შერწყმული. ამასთან ერთად, იურისტის პროფესია საჭიროებს აზროვნების ისეთ თვისებას, როგორცაა რეფლექსურობა, ანუ საკუთარი აზროვნების პროცესის წარმართვის უნარი სხვისი აზროვნების გათვალისწინებით. რეფლექსურობის გარდა პროფესიული საქმიანობა მოითხოვს გონის სპეციფიკურ თვისებებს.

აზროვნების პათოლოგია

აზროვნების დარღვევა ხდება სხვადასხვა დაავადების, ტვინის ლოკალური დაზიანებისა და ფსიქიკური განვითარების ანომალიების დროს. ასეთ შემთხვევაში დარღვევა ეხება რეგულაციის მექანიზმს –

მოტივაციის პროცესებსა და კონტროლს, ინტელექტუალური მოქმედების ოპერაციონალურ და დინამიკურ მხარეს. ირღვევა აზროვნების ან ყველა ფორმა, ან ერთ-ერთი მათგანი.

ზოგიერთი ფსიქიკური დაავადების შემთხვევაში ძირითადად დარღვეულია რეგულატორული მექანიზმები, განსაკუთრებით, მოტივაციური პროცესები, ხოლო ოპერაციონალური ასპექტი შენარჩუნებულია. სხვა შემთხვევაში (განსაკუთრებით, შიზოფრენიის დროს) ადგილი აქვს ოპერაციონალურ დარღვევებსაც, რაც ვლინდება აზროვნების ოპერაციების – სინთეზისა და ანალიზის უნარის დაქვეითებაში, აზრობრივი კავშირების წარმოშობის უნარის დარღვევაში.

აზროვნების დარღვევა, თავის ტვინის ტრავმის დროს, დამოკიდებულია დაზიანების კერაზე ტვინის მარჯვენა და მარცხენა სფეროში. მუხლის წილის დაზიანებისას, პირველ რიგში, ზიანდება რეგულატორული მექანიზმები (მოტივაცია, პროგრამირება, კონტროლი), ხოლო დანარჩენი ინტელექტუალური ოპერაციები შენარჩუნებულია. ტვინის უკანა ნაწილის დაზიანებისას ძირითადად ირღვევა თვალსაჩინო – ხატოვანი და თვალსაჩინო – მოქმედებითი აზროვნების ფორმები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს სივრცობრივი თვისებების შესახებ ინფორმაციის სინთეზთან და ანალიზთან. მარცხენა ჰემისფეროს მეტყველების ცენტრის დაზიანებისას ვლინდება მეტყველებითი სიგნალების კოდირების (გაშიფრვის) დეფექტი და სიძნელეები სამეტყველო ფრაზების ორგანიზაციაში.

ფსიქიკური განვითარების ანომალია თავს იჩენს ოლიგოფრენიის სახით. იგი გულისხმობს ინტელექტის განუვითარებლობას, რომელიც, ხშირად, დაკავშირებულია მეტყველებითი სისტემის განუვითარებლობასთან. ოლიგოფრენია ტვინის განუვითარებლობითაა გამოწვეული. იგი სამი ფორმით ვლინდება: დებილი (მსუბუქი ფორმა), იმბეცილი (უფრო რთული ფორმა) და იდიოტი (ყველაზე რთული ფორმა).

პროფსიულად აუცილებელი გონებრივი უნარ-თვისებები

1. ფაქტების, მოვლენების არსში წვდომის უნარი; ახლო და შორეული მომავლის მოვლენების და ქცევების პირდაპირი თუ არაპირდაპირი შედეგების განჭვრეტის უნარი.

2. მეცნიერებისა და პრაქტიკის სხვადასხვა სფეროს ცოდნის საფუძველზე გონებით საკითხთა ფართო წრის მოცვის უნარი.

3. რთულ პირობებსა და კრიტიკულ სიტუაციაში ცოდნის მობილუზებისა და მისი პროდუქტიული გამოყენების უნარი.

4. მოვლენების სწრაფი შეფასების, გადაუდებელი ზომების სწრაფი მიღების უნარი.

5. ამოცანების და მიზნების სხვებისაგან დამოუკიდებლად დასახვის და ასევე დამოუკიდებლად მათი გადაწყვეტის უნარი.

6. ამოცანის გადასაჭრელად აზროვნების ნებულობითი მიმართვის უნარი; ცნობიერებაში გადასაჭრელი ამოცანის ხანგრძლივი შენარჩუნებისა და მისი თანმიმდევრობით გადაწყვეტის უნარი.

7. აზვების, ფაქტების – ზოგადად, ინფორმაციის ანალიზის, მათში შეცდომებისა და მათი მიზეზების აღმოჩენის უნარი.

8. მოვლენებისადმი სხვადასხვა კუთხით მიდგომის უნარი; ურთიერთკავშირებისა და დამოკიდებულებების არა ძველებურად, არა ჩვეული თანმიმდევრობით, არამედ სრულიად საპირისპიროდ დამყარების უნარი. ახალი ვითარების შესაბამისად საკუთარი მოქმედების და გადაწყვეტილებების სწრაფი შეცვლის უნარი.

წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილი სავარჯიშოები დაგეხმარებათ მთელ რიგ თვისებათა გამომუშავებაში.

ბაარკვით თაყენი ზონის თვისებაბი

ქვემოთ წარმოდგენილია კითხვა-პასუხების სია. აირჩიეთ პასუხებიდან ერთ-ერთი ვარიანტი და გაარკვეეთ თქვენი გონის თვისებებს.

კითხვა: როგორ დაგეგმავთ თქვენ მიერ ჩაფიქრებულ საქმეს?

პასუხი: ა) ვცდილობ გავითვალისწინო ყველა შესაძლებლობები, მოსალოდნელი საქმის ყველა დეტალი, ყველა „პო“ და „არა“ ამ საქმესთან დაკავშირებით.

ბ) მხოლოდ ზოგადად მოვხაზავ საქმეს და შემდეგ ვიმოქმედებ სიტუაციის მიხედვით.

კითხვა: ძალიან გაფორიაქებთ თუ არა თქვენი სამუშაოს შეფასების მოლოდინი?

პასუხი: ა) ეს ჩემთვის სულერთი როდია, მაგრამ, ჩვეულებრივ, სიმშვიდეს ვინარჩუნებ.

ბ) მე ძლიერ ვლელავ და განვიცდი, როცა ველოდები ჩემი სამუშაოს შეფასებას.

კითხვა: როგორ იქცევით, როცა ახალი ამოცანა გაქვთ გადასატრელები?

პასუხი: ა) მიჭირს საქმის დაწყება, ვიდრე არ დავერწმუნდები, რომ შეცდომის რისკი არ არსებობს.

ბ) ჩვეულებრივ, ვიწყებ საქმეს, შეცდომებსაც ვუშვებ, ვიდრე არ გავიგებ სად მარხია ძაღლის თავი.

კითხვა: ხდება თუ არა, რომ გადააფასებთ თქვენს შესაძლებლობებს?

პასუხი: ა) დიახ, მე ხშირად ვარ აზარტული და ვფიქრობ, რომ მეტს მივალწევ, ვიდრე ეს შესაძლებელია.

ბ) არა, ხშირად ვყოყმანობ და ამის გამო არ ვაკეთებ იმასაც, რის გაკეთებასაც შევძლებდი.

კითხვა: თუ თქვენ რაღაცას აკეთებთ და უცებ გითხრეს, რომ სხვა საქმეა გასაკეთებელი, ადვილად გადაერთვებით ახალ საქმეზე?

პასუხი: ა) თუ ვიცი, რომ ახალი საქმე უფრო მიზანშეწონილია და საჭიროა, მაშინ სწრაფად და მშვიდად გადავერთვები.

ბ) მაშინაც კი, როცა ვხვდები, რომ ამის გაკეთება აუცილებელია, ახალ საქმეზე ძნელად გადავერთვები და ზოგჯერ ვლიზიანდები კიდევ.

კითხვა: რამდენად ადვილად გადაინაცვლებთ ამოცანის გადაჭრის ერთი ხერხიდან მეორეზე?

პასუხი: ა) მაშინაც, კი, როცა ამოცანის გადაჭრისას ჩიხში ვექცევი, ძალიან მიჭირს ძველ ხერხზე უარის თქმა.

ბ) ჩვეულებრივ, სხვადასხვა ხერხს ვცდი ხოლმე, ვიდრე გადაწყვეტის რაიმე გზას გამოვნახავ.

თქვენ მიერ გაცემული პასუხების მიხედვით გააკეთეთ დასკვნები გონებრივი მოქმედების ისეთი თვისებების მიხედვით, როგორცაა იმპულსურობა, სიფრთხილე (დაკვირვებულობა), სწრაფი გადაწყვეტის უნარი, მოქნილობა, ინერტულობა (რიგიდულობა).

შეაფასეთ ლოგიკური აზროვნების უნარი

თქვენს წინაა 7 რიცხვითი რიგი. მიხედვით, რა კანონზომიერებითაა შედგენილი თითოეული მათგანი და ჩასვით გამოტოვებული რიცხვები.

სამუშაოს შესასრულებლად გეძლევათ 5 წუთი.

- 1) 24 21 19 18 15 13 - - 7
- 2) 1 4 9 16 - - 19 64 81 100
- 3) 16 17 15 18 14 19 - -
- 4)
- 5) 7 16 19 5 21 16 9 - 4
- 6) 2 4 8 10 20 22 - - 92 94
- 7) 24 22 19 15 - -

პასუხი

- 1) 12 9; 2) 25 36; 3) 13 20; 4) 36 38; 5) 13; 6) 44 46; 7) 10 4.

შეფასება წარმოებს სწორად დაწერილი რიცხვების მიხედვით. ზრდასრულის ნორმაა 3 და მეტი სწორი პასუხი.

რაოდენობრივი მიმართულები

გეძლევათ 18 ლოგიკური ამოცანა. თითოეულს გააჩნია ორი წინაპირობა.

ამოცანის გადაჭრის დროა 5 წუთი.

$$\frac{1. \text{ A მეტია B-ზე 9-ჯერ}}{\text{B ნაკლებია C-ზე 4-ჯერ}} \\ \hline \text{C A}$$

$$\frac{4. \text{ A მეტია B-ზე 4-ჯერ}}{\text{B ნაკლებია C-ზე 3-ჯერ}} \\ \hline \text{C A}$$

$$\frac{2. \text{ A მეტია B-ზე 10-ჯერ}}{\text{B მეტია C-ზე 6-ჯერ}} \\ \hline \text{A C}$$

$$\frac{5. \text{ A ნაკლებია B-ზე 3-ჯერ}}{\text{B მეტია C-ზე 7-ჯერ}} \\ \hline \text{A C}$$

$$\frac{3. \text{ B ნაკლებია C-ზე 6-ჯერ}}{\text{B ნაკლებია C-ზე 3-ჯერ}} \\ \hline \text{C A}$$

$$\frac{6. \text{ A მეტია B-ზე 9-ჯერ}}{\text{B ნაკლებია C-ზე 12-ჯერ}} \\ \hline \text{A C}$$

$$\frac{7. \text{ A მეტია B-ზე 6-ჯერ} \\ \text{B მეტია C-ზე 7-ჯერ}}{\text{A C}}$$

$$\frac{13. \text{ A ნაკლებია B-ზე 5-ჯერ} \\ \text{B მეტია C-ზე 6-ჯერ}}{\text{C A}}$$

$$\frac{8. \text{ A ნაკლებია B-ზე 3-ჯერ} \\ \text{B მეტია C-ზე 5-ჯერ}}{\text{C A}}$$

$$\frac{14. \text{ A ნაკლებია B-ზე 5-ჯერ} \\ \text{B მეტია C-ზე 2-ჯერ}}{\text{A C}}$$

$$\frac{9. \text{ A ნაკლებია B-ზე 10-ჯერ} \\ \text{B მეტია C-ზე 3-ჯერ}}{\text{C A}}$$

$$\frac{15. \text{ A მეტია B-ზე 4-ჯერ} \\ \text{B მეტია C-ზე 6-ჯერ}}{\text{C A}}$$

$$\frac{10. \text{ A ნაკლებია B-ზე 2-ჯერ} \\ \text{B მეტია C-ზე 8-ჯერ}}{\text{A C}}$$

$$\frac{16. \text{ B მეტია C-ზე 2-ჯერ} \\ \text{B მეტია C-ზე 3-ჯერ}}{\text{A C}}$$

$$\frac{11. \text{ A ნაკლებია B-ზე 3-ჯერ} \\ \text{B მეტია C-ზე 4-ჯერ}}{\text{C A}}$$

$$\frac{17. \text{ A მეტია B-ზე 4-ჯერ} \\ \text{B ნაკლებია C-ზე 7-ჯერ}}{\text{C A}}$$

$$\frac{12. \text{ A მეტია B-ზე 2-ჯერ} \\ \text{B ნაკლებია C-ზე 5-ჯერ}}{\text{A C}}$$

$$\frac{18. \text{ A მეტია B-ზე 3-ჯერ} \\ \text{B ნაკლებია C-ზე 5-ჯერ}}{\text{A C}}$$

სწორი პასუხები


- 1. $C < A$
- 2. $A > C$
- 3. $C > A$
- 4. $C < A$
- 5. $A > C$
- 6. $C > A$

- 7. $A > C$
- 8. $C < A$
- 9. $C > A$
- 10. $A > C$
- 11. $C < A$
- 12. $A < C$


- 13. $C < A$
- 14. $A < C$
- 15. $C < A$
- 16. $A < C$
- 17. $C > A$
- 18. $A < C$

შეფასება წარმოებს სწორი პასუხების ოდენობის მიხედვით.
ზრდასრულის ნორმაა 10 და მეტი სწორი პასუხი.

დანომრილი ფიგურებიდან ამოარჩიეთ საჭირო ფიგურა



ნახატის ზემო ნაწილში მოცემულია 8 ფიგურა, მეცხრესათვის კი თავისუფალი ადგილია დატოვებული. შეეცადეთ გამოიცნოთ ფიგურათა განლაგების პრინციპი და განსაზღვროთ დანომრილი ფიგურებიდან რომელი უნდა ჩაისვას ცარიელ კვადრატში?



მეტყველება ადამიანთა ურთიერთობის მთავარი საშუალებაა. მეტყველებისას ადამიანი ავლენს საკუთარ თავს და ახდენს ზემოქმედებას სხვა ადამიანებზე. მეტყველებას გააჩნია სოციალური ფუნქციის (საგნის აღნიშვნის), კომუნიკაციის (აზრის გაგებინების) და ექსპრესიის (გამოხატვის) ფუნქცია. კომუნიკაციაში შეიძლება გამოვყოთ *ინფორმაციული, ემოციური და რეგულაციური* მხარეები. ინფორმაციული მხარე გულისხმობს ინფორმაციის გაცემას, ემოციური გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას გამონათქვამისა და, საერთოდ, გარემოსადმი. ემოციური გამოხატვა მიიღწევა ინტონაციის, ლექსიკის (სიტყვის შერჩევის), სინტაქსის (გამონათქვამის აწყობის, ფრაზის აგების) მეოხებით. რეგულაციური მხარე გულისხმობს სხვისი ან საკუთარი ქცევის რეგულირებას. სიტყვის საშუალებით ადამიანში სასურველი ქცევის აღძვრის რეგულაცია და თვითრეგულაცია შეიძლება განხორციელდეს ბრძანების, განკარგულების, მოწოდების, თხოვნის, რჩევის, დარწმუნების ან ჩაგონების მეშვეობით.

მეტყველების დარღვევები

მეტყველების დარღვევა შეიძლება ორი ფორმით – უკვე ზრდასრული ადამიანის მეტყველების რღვევის, ხოლო ბავშვებში, სხვადასხვა დაავადებათა გამო, მეტყველების ნორმალური განვითარების რღვევის სახით გამოვლინდეს. ზრდასრულ ასაკში მეტყველების დარღვევა ხშირად თან ახლავს სმენის დაქვეითებას და ძირითადად გამოიხატება მეტყველების სიმკვეთრის და მკაფიობის დაკარგვაში. ტინის მარცხენა ჰემისფეროს ლოკალური დაზიანებისას ხდება მეტყველების დარღვევა, რომელსაც აფაზიას უწოდებენ. იგი შეიძლება გამოვლინდეს სიტყვის ბგერითი შემადგენლობის გარჩევის უნარის დაკარგვით, რთულ პირობებში (სწრაფი მეტყველება, ერთდროულად ორი ან მეტი ადამიანის მოსმენა) მეტყველების გაგების უნარის დაქვეითებით, საგანთა დასახელების უნარის დაკარგვით, სიტყვის წარმოთქმის უნარის დაკარგვით, სიტყვებში ბგერების შენაცვლების, ფრაზების აწყობის, გამონათქვამის აგების და ა.შ. უნარის დაქვეითებით.

მეტყველების დარღვევებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ფსიქიკური დაავადების, ნევროზების დროს და გამოვლინდება ენის ბორძიკით, ენაბლუობით, ნორმალური მეტყველება ირღვევა ისტერიული შეტევების შემთხვევაში და სტრესის მდგომარეობაში.

მეტყველების საკვლევად ხშირად გამოიყენება ასოციაციური ექსპერიმენტი. გთავაზობთ ამ ექსპერიმენტის სამ ვარიანტს.

1. თავისუფალი ასოციაციის ექსპერიმენტი. ექსპერიმენტატორი ცდის პირს ავალებს, რაც შეიძლება სწრაფად დაასახელოს თავში მოსული ნებისმიერი 10 სიტყვა. ექსპერიმენტატორი იწერს ამ სიტყვებს და ზომავს წარმონათქვამზე დახარჯულ დროს (ეს შეგიძლიათ თქვენ თვითონვე გააკეთოთ). ამ მეთოდით შეიძლება ცნობიერებასთან მეტყველების კავშირის კვლევა. ჩამოთვლილი სიტყვები დააჯგუფეთ ამა თუ იმ ობიექტის ან იდეებისადმი კუთვნილების მიხედვით. რაც უფრო მცირეა დაჯგუფებათა რიცხვი, მით მეტადაა პიროვნების ცნობიერება დაკავშირებული რაღაც ერთ იდეასთან ან მოვლენასთან, და პირიქით. შემდეგ ითვლიან სიტყვებს, რომლებიც მხედველობის ველში არსებულ საგნებს აღნიშნავენ და სიტყვებს, რომლებიც წარმოდგენებთანაა დაკავშირებული და განყენებულ ცნებებს გამოხატავენ. შედეგების ამგვარი ანალიზით შეიძლება ვიკვლიოთ პიროვნების ცნობიერების მიმართულება.

2. შეზღუდული ასოციაციები. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტატორი ცდის პირს თანმიმდევრობით უსახელებს სიტყვებს, რომლებზეც მან უნდა უპასუხოს თავში მოსული პირველი სიტყვით. იზომება პასუხისათვის დახარჯული დრო. შედეგების დამუშავებისას ყურადღება ექცევა ასოციაციების აღმოცენების სისწორეს, სიტყვაგამლიზიანებელზე საპასუხო რეაქციის ადეკვატურობას.

კარელ ჩაპეკი თავის ნოველაში – „პროფესორ როუსის ექსპერიმენტი“, მოგვითხრობს წარსულში მოდურ „ასოციაციური ექსპერიმენტის“ მეთოდზე. ვინმე სუხანეკი ეჭვმიტანილია ტაქსის მძღოლის, ჩაპელკის, მკვლელობაში. ჩაპელკის გვამი ვერსად იპოვეს, ხოლო მისი ავტომობილი, რომელზეც სისხლის კვალი იყო, სუხანეკის ფარდულში აღმოაჩინეს.

„პოლიციის უფროსის ბრძანებისთანავე პოლიციელმა ჩენეკ სუხანეკი ოთახში შემოიყვანა. იგი პირქუში ვინმე იყო, პირდაპირ სახეზე ეწერა: „წადი თქვენი... მე ასე ადვილად ვერ გამტეხბთ“. ეტყობოდა სუხანეკი არაფრის თქმას არ აპირებდა.

– მობრძანდით – მკაცრად უთხრა პროფესორმა როუსმა. – მე თქვენ არ დაგკითხავთ. მე მხოლოდ სიტყვებს დაგისახელებთ, თქვენ

კი თავში მოსული პირველივე სიტყვით უნდა მიპასუხოთ, გასაგებია? მაშ ასე, ყურადღება! ჭიქა.

– ნაგავი – ბოროტად წარმოთქვა სუხანეკმა.

– მისმინე, სუხანეკ – მაშინვე ჩაერია საუბარში პოლიციის უფროსი. – თუ ისე არ უპასუხებთ, როგორც საჭიროა, მაშინ დასაკითხად წაგაბრძანებ და მთელი ღამე იქ დაგტოვებ. გასაგებია? შეიგნე! აბა თავიდან დავიწყეთ.

– ჭიქა – გაიმეორა პროფესორმა როუსმა.

– ლუდი – ჩაიბურტყუნა სუხანეკმა.

– ეს უკვე სხვა საქმეა, ყოჩაღ.

სუხანეკმა პროფესორს ეჭვის თვალით შეხედა, ნეტავი მახეს ხომ არ მიგებენ?

– ქუჩა, – გააგრძელა პროფესორმა.

– მარხილი, – უგერგილოდ გაეპასუხა სუხანეკი.

– უფრო ჩქარა უნდა მიპასუხო. სახლი-

– მინდორი.

– ჩარხი-

– თითბერი.

– ძალიან კარგი.

სუხანეკს უკვე ეტყობოდა, რომ ამგვარი თამაშის წინააღმდეგი არ იყო,

– დედილო-

– დეიდა.

– ძაღლი-

– ბუდრუგანა.

– ჯარისკაცი-

– არტილერიისტი.

ტემში თანდათან აჩქარდა. სუხანეკს ეს მოსწონდა. კარტის თამაშს ჰგავდა, რა არ მოგივა თავში.

– გზა, – სწრაფად წარმოსთქვა პროფესორმა როუსმა.

– შარაგზა.

– პრალა-

– ბეროუნი.

– დამალვა-

– ჩამარხვა.

– ქიმწმენდა-

- ლაქები.
- ძონძი-
- ტომარა.
- ბარი-
- ბალი.
- ორმო-
- ლობე.
- გვამი!

სიჩუმემ დაისადგურა.

— გვამი! — დაჟინებით გაიმეორა პროფესორმა. — თქვენ იგი ღობის ძირას ჩამარხეთ არა?

— მე ამის მსგავსი არაფერი მითქვამს, — წამოიძახა სუხანეკმა.

— თქვენ იგი ღობის ძირას ჩამარხეთ, საკუთარ ბაღში, — გაიმეორა როუსმა.

— თქვენ მოკალით ჩაპელკი, ბეროუნისკენ მიმავალ გზაზე, სისხლი მანქანაში ტომრით მოწმინდეთ. სად წაიღეთ ის ტომარა?

როუსი მართალი გამოდგა. გვამი სუხანეკის ბაღში იპოვეს, ღობის ქვეშ, ტომარაში გახვეული“.

3. მიმართული ასოციაციის ექსპერიმენტი. ექსპერიმენტატორი ცდის პირს უსახელებს 10 სიტყვას, მან კი თანმიმდევრობით უნდა უპასუხოს უფრო ფართო ზოგადი მნიშვნელობის სიტყვით. ამ ექსპერიმენტით იკვლევენ განზოგადების მექანიზმს.

პიროვნების მეტყველების კულტურაზე, ლექსიკურ მარაგზე, ჟარგონზე, შინაარსზე და გამომეტყველებაზე დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ პიროვნების მეტყველებაზე უშუალო დაკვირვების ან სხვადასხვა სიტუაციაში მისი საუბრის მოსმენის, ჩაწერის და შემდგომში ანალიზის საფუძველზე.

წარმოსახვა ანუ ფანტაზია

წარმოსახვის საშუალებით ადამიანს შეუძლია გონებით დაძლიოს დრო და მანძილი და გადაინაცვლოს წარსულში ან მომავალში. წარმოსახვა — ეს არის ფსიქიკური პროცესი, რომელიც ქმნის საგნის ხატს. იგი არის ჯერ უნახავი, აღუქმელი საგნის ან სიტუაციის წარმოდგენის უნარი.

წარმოსახვა, ანუ ფანტაზია, შეიძლება იყოს უნებლიე (სიზმარი

და ოცნება) და ნებისმიერი. ნებისმიერი ფანტაზია თავის მხრივ არის შემოქმედებითი და გახსენებითი.


წარმოსახვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს შემეცნების პროცესებში (აღქმა, მეხსიერება, აზროვნება). ეს ეხება ფანტაზიის ისეთ ფორმას, რომელსაც უწოდებენ გახსენებითს. ეს ფორმა განსაკუთრებით აქტიურად ვლინდება მაშინ, როცა ადამიანი რაიმეს აღწერს, ყვება, ადგენს ნახაზს, სქემას, სიმბოლოს ან ნიშანს. საგამომძიებლო საქმის წარმოებისას, კერძოდ, ინფორმაციის შეკრებისას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფანტაზიის ფაქტორი. ფანტაზია მონაწილეობს ვერსიათა შექმნის პროცესშიც.

რაც შეეხება შემოქმედებით ფანტაზიას, იგი ისეთი ხატის შექმნას გულისხმობს, რომელსაც ანალოგი არ აქვს.

ადამიანები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფანტაზიის უნარით.

ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე ხერხს, რომლითაც ეს უნარი შეიძლება ვიკვლიოთ.

1) დახედეთ ნახაზს და 5-7 წუთის განმავლობაში დახატეთ მოცემული ფიგურების წინხედი ნებისმიერ ზომაში.



2) წარმოგიდგენთ დაუსრულებელ ტექსტს. თქვენ უნდა მოიფიქროთ გაგრძელება და დასასრული. სამუშაოსათვის გეძლევათ 10 წუთი.

„ბნელდებოდა, ცრიდა. ტრამვაის გაჩერებაზე ქოლგის ქვეშ ორი ქალიშვილი იდგა. ისინი ჩუმად საუბრობდნენ რაღაცაზე. უცებ ...“

შედეგები შეაფასეთ შემდეგი თვალსაზრისით: რამდენად დასრულებულია ტექსტი; რამდენად ორიგინალურია; რამდენად უჩვეულოა სიტუეტის შემდგომი განვითარება და მოულოდნელია მისი დასასრული.


შემოქმედებითი ფანტაზიის თავისებურება შეიძლება შემდეგი ხერხითაც იკვლიოთ:

3) წაიკითხეთ ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები და მათი გამოყენებით შეადგინეთ მოთხრობა.

გასაღები, ქუდი, ნაღი, დარაჯი, კაბინეტი, გზა, წვიმა.

შედგეი შეაფასეთ წინა ცდისთვის მითითებული კრიტერიუმით.






4) დახაზეთ წრე ორსანტიმეტრიანი დიამეტრით. მიუმატეთ მას რამდენიც გნებავთ ხაზი ისე, რომ მიიღოთ რაიმე საგნის გამოსახულება. შემდეგ, ისევ დახაზეთ ორსანტიმეტრიანი დიამეტრის წრე. გვერდით, ორივე მხარეს, მიუხაზეთ შტრიხები და ამის შემდეგ დაუმატეთ დეტალები, რათა მიიღოთ რაიმე საგნის აზრიანი გამოსახულება.



შემოქმედებითი ფანტაზიის უნარი შეგიძლიათ იკვლიოთ ბინე-რორშახის მიხედვით, მელნის ლაქის მეთოდით. ცდის მასალა წარმოადგენს 25x15 სმ ზომის თეთრი ქაღალდის ფურცელს, რომლის შუაში მელნის ან ტუშის წვეთისაგან მიღებული უცნაური ფორმის სიმეტრიული ლაქაა. ასეთი ლაქის მიღება შეიძლება შემდეგნაირად: აიღეთ ქაღალდის ფურცელი და გაკეცეთ შუაში. შემდეგ გაშალეთ და ნაკეცში ჩააწვეთეთ მელანი ან ტუში. ისევ გაკეცეთ, მაგრად გადაუსვით ხელი და მელნის ლაქის გაშრობის შემდეგ გაშალეთ. ცდისათვის უნდა დამზადდეს 10 ასეთი ლაქიანი ფურცელი, რომელთაგან 5-ზე იქნება შავი ლაქა, 2-ზე – შავ-წითელი და 3-ზე – მრავალფერი ლაქა. ცდის პირს ეძლევა ინსტრუქცია: „გაჩვენებთ ფურცლებს, რომლებზეც უცნაური ლაქებია, ყურადღებით დააკვირდით მათ და ჩუმად, თქვენთვის დაწერეთ, – რას გაგონებთ“.

შედგეების დამუშავებისას ყურადღება უნდა მიაქციოთ: 1) წარმოსახული ხატების სიმდიდრეს – რამდენად მრავალფეროვანია წარმოსახული ხატები შინაარსით და რამდენად განსხვავებულია. 2) წარმოსახული ხატების შინაარსს – რა სახის ხატები სჭარბობს (საგნები, ცხოველები, ადამიანები, ფანტასტიკური ხატები და ა.შ.). 3) წარმოსახვის დინამიკურობას – წარმოსახული ხატი სტატიკურია თუ დინამიკურ მომენტსაც შეიცავს. 4) წარმოსახვის სისწრაფეს – იგი უნდა დადგინდეს დროის გაზომვით.

ქვემოთ წარმოდგენილი ფიგურები სწორ ხაზზე ორად გაჭერით ისე, რომ მათგან კვადრატი შეადგინოთ:



ზრახვები და ემოციები

ზრახვები და ემოციები ასახავს ადამიანის დამოკიდებულებას სინამდვილის მიმართ, სინამდვილის მოვლენების მნიშვნელობას პიროვნებისათვის. ადამიანის ტიპურ ემოციურ მდგომარეობას მიეკუთვნება: გუნება-განწყობა, აფექტი, ენება, სტრესი, შფოთვა, ფრუსტრაცია.

აფექტი არის ძლიერ ინტენსიური, მოულოდნელად წამოჭრილი და სწრაფწარმავალი ემოციური განცდა, რომელსაც თან ახლავს მკვეთრი დინამიკური და ვისცერალური გამოხატულება. აფექტის დროს ხდება ადამიანის ცნობიერების ველის მკვეთრი შევიწროება, ე.წ. „გონების დაბნელება“ და ადამიანის ქცევებს მართავს არა გონება, არამედ თვით აფექტი.

შფოთვა წარმოადგენს პიროვნების ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ თავისებურებას, რომელიც მდგომარეობს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში მოუსვენრობის განცდაში. ეს არის შინაგანი აფორიაქების, მოუსვენრობის, მოშიშრობის განცდა მოსალოდნელი ხიფათის, წარუმატებლობის და ა.შ. მიმართ.

ფრუსტრაცია არის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც აღმოცენდება მაშინ, როცა მოთხოვნების დაკმაყოფილება ფერხდება რაიმე მიზეზით. ფრუსტრაციის მდგომარეობას თან ახლავს უარყოფითი განცდები: გაღიზიანება, შფოთვა, უიმედობა, გულგატეხილობა და ა.შ. ფრუსტრაცია აღმოცენდება კონფლიქტის სიტუაციაში. მისი აღმოცენება განპირობებულია არა მარტო ობიექტური სიტუაციით, არამედ პიროვნების თავისებურებითაც.

სტრესი არის ფსიქიკური დაძაბულობის მდგომარეობა, რომელიც აღმოცენდება მძიმე, რთულ ან განსაკუთრებულ პირობებში მოქმედებისას. სტრესის მდგომარეობაში ადამიანს უქვეითდება მეხსიერება, უეიწროვდება ყურადღების მოცულობა, სუსტდება ლოგიკური აზროვნების უნარი, ეწყება ენის დაბმა; ზოგადად ხდება მისი ქცევის დეზორგანიზაცია. სტრესის უკიდურეს ფორმაში ადგილი აქვს შეუკავებელ მოძრაობებს, მეტ-ნაკლებად დაულაგებელ მეტყველებას. ზოგჯერ შეიძლება ადგილი ჰქონდეს საერთო აგზნების დაცემას, უმოქმედობას და დეპრესიას. სტრესის გამომწვევე გარეგან პირობებს სტრესორებს უწოდებენ. სტრესორებად გვევლინება – წარუმატებლობა საპასუხისმგებლო საქმეში, დიდი განსხვავება ადამიანის პრეტენზიის დონესა და ობიექტურ მიღწევებს შორის, ღრმა კონფლიქტი კოლექტივთან ან ოჯახთან, განიცხვება საზოგადოებისაგან, საზოგადოებისაგან სრული იზოლაცია, მოულოდნელი სახიფათო სიტუაცია (ზშირად ეს სიტუაცია რეალურად შეიძლება არც იყოს მოცემული, მაგრამ მისი, როგორც მოსალოდნელის წარმოსახვა, ასევე შეიძლება გახდეს სტრესის მიზეზი). ემოციური, ფიზიკური და გონებრივი გადაღლილობა, შესაძლო ხიფათის დაძაბული მოლოდინი, რომელიც შფოთვის მდგომარეობას წარმოშობს, ზოგიერთი პიროვნებისათვის სტრესად გადაიქცევა.


იურისტის პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელია როგორც საკუთარი ემოციური მდგომარეობის ცოდნა და მართვა, რათა მიაღწიოს ემოციურ გაწონასწორებას, ასევე სხვა ადამიანის ემოციების წვდომა და რეგულირება.

საგამომძიებლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამ სფეროში მომუშავე ადამიანები დროის მუდმივ დეფიციტს განიცდიან. ეს და მრავალი სხვა, მათ პროფესინალურ საქმიანობასთან დაკავშირებული სიძნელეები, იწვევს ემოციურ, გონებრივ და ფიზიკურ გადაღლილობას, რაც, თავის მხრივ, სტრესების, შფოთვების და სხვადასხვა ნევროტული გამოვლინებების საფუძველი შეიძლება იყოს.

ადამიანის ემოციური მდგომარეობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი მიმიკის საფუძველზე.

რამდენად სწორად შეგიძლიათ ამოიცნოთ მიმიკის შესაბამისი ემოცია, შეამოწმეთ ასეთი ხერხით:

თქვენ ხედავთ სახის 12 გამოსახულებას, რომლებშიც 12 ემოციური მდგომარეობაა დაფიქსირებული. შეეცადეთ გამოიცნოთ იგი. თქვენი შედეგები შეადარეთ სწორ პასუხებს.



სწორი პასუხები: 1. გულგრილობა, 2. მტრობა, 3. მხიარულება, 4. ძლიერი გაბრაზება, 5. სევდა, 6. მოკრძალებული სიხარული, 7. ცუდი თვითგრძნობა, 8. სიბრაზე, 9. ძლიერი სიხარული, 10. ღრმა მწუხარება, 11. სკეპტიციზმი, 12. მწუხარება.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ სტრესი ან შფოთვის აღმოცენება განპირობებულია არა მხოლოდ ობიექტური პირობებით, არამედ პიროვნების თავისებურებითაც. ზოგიერთ ადამიანში შედარებით სუსტი „სტრესორებიც“ იწვევს სტრესის მდგომარეობას.

ქვემოთ წარმოდგენილი კითხვარი დაგეხმარებათ გაარკვიოთ, თუ რამდენად გაქვთ სტრესისადმი მიდრეკილება.

შეკითხვაზე ოთხი პასუხის გაცემა შეიძლება: „ძალიან ხშირად“, „ხშირად“, „ხანდახან“, „არასდროს“.

1. ცუდად გძინავთ?
2. ხართ ნერვიული და შეშფოთებული?
3. გტანჯავთ თავის ტკივილები?
4. ცუდი მადა გაქვთ?
5. სწრაფად იღლებით?
6. გიჭირთ დილით აღგომა?
7. აისახება თქვენი ცუდი განწყობა საქმეზე?
8. გებჯინებათ გული ყელში?
9. გაქვთ მოულოდნელობებით გამოწვეული გაცრუებები?
10. ეწვეით, სვამთ ან ჭამთ იმაზე მეტს ვიდრე ამის საშუალებას ჯანმრთელობა გაძლევთ?

11. ხშირად გაქვთ თავბრუსხვევები?
12. გიკანკალებთ ხელები?
13. გესიზმრებათ კოშმარები?
14. გიჭირთ აზრის კონცენტრირება?
15. გიყვართ მარტოობა?

თუ თქვენს პასუხებში სჭარბობს „ძალიან ხშირად“ ან „ხშირად“, ადვილი შესაძლებელია, რომ ამის უკან რაიმე ორგანული დაავადება იმალება. ხოლო თუ თქვენს პასუხებით ჯანმრთელი ხართ, მაშინ აღნიშნული პასუხები მიუთითებს თქვენს მიდრეკილებას სტრესისადმი.

ხანგრძლივად ამგვარ მდგომარეობაში ყოფნამ ადამიანი შეიძლება მიიყვანოს აფექტამდე. ამიტომ უნდა შეეცადოთ გაიუმჯობესოთ თქვენი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რისთვისაც გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

1. შეძლებისდაგვარად არიდეთ თავი ზემოთ ჩამოთვლილ სტრეს-ფაქტორებს.
2. მიეცით საკუთარ თავს დავალება და იპოვეთ ცხოვრების მიზანი.
3. ყველაფერი იღონეთ სასიამოვნო სამუშაო ატმოსფეროს შესაქმნელად.
4. ნუ გააკეთებთ მონოტონურ საქმეს, ეცადეთ ისეთი საქმე აკეთოთ, რომელიც ხელშესახებ დადებით შედეგს მოგცემთ.
5. ეცადეთ მოძებნოთ ისეთი გარემო, სადაც შეძლებთ სულიერ ძალების მოკრებას.
6. იძინეთ იმდენი, რამდენიც თქვენს ასაკს შეეფერება.
7. ხშირად გაიღიმეთ და იცინეთ კიდეც.
8. ნუ გადავარდებით უკიდურესობაში.
9. დრო და დრო დაისვენეთ.
10. თქვენს პროფესიულ საქმიანობაში დადებითი შედეგის მომტანია საქმიანობის სწორი ორგანიზაცია და დროის რაციონალური გამოყენება.

რეაქციული და პიროვნული უფროსის სკალა

შფოთვის ორი სახე შეიძლება გავარჩიოთ – რეაქციული და პიროვნული. რეაქციული დაკავშირებულია ახლა, ამჟამად მოცემულ, კონკრეტულ სიტუაციასთან, მოვლენათა ჩვენთვის არახელსაყრელ განვითარებასთან. მაგრამ თუ ამგვარი სიტუაციები ხშირია, იგი შეიძ-

ლება გადაიქცეს პიროვნულ შფოთვად და პიროვნების სტაბილურ თვისებად ჩამოყალიბდეს.

სპილბერგერის ტესტ-კითხვარით შეგიძლიათ შეაფასოთ რეაქციული და პიროვნული შფოთვა:

ინსტრუქცია: 1) ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები. იმის და მიხედვით, თუ როგორ გრძნობთ თავს მოცემულ მომენტში, შემოხაზეთ შესაბამისი ციფრი.

მტკიცებანი	ქულები			
მე მშვიდად ვარ	4	3	2	1
მე არაფერი მემუქრება	4	3	2	1
მე დაძაბული ვარ	1	2	3	4
მე განვიცდი წუხილს	1	2	3	4
მე თავს ვგრძნობ თავისუფლად	4	3	2	1
მე გაღიზიანებული ვარ	1	2	3	4
მე წარუმატებლობის შესაძლებლობა მაღელვებს	1	2	3	4
მე თავს ვგრძნობ დასვენებულად	4	3	2	1
მე განვიცდი შინაგან კმაყოფილებას	4	3	2	1
მე დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში	4	3	2	1
მე ვნერვიულობ	1	2	3	4
მე ადგილს ვერ ვპოულობ	1	2	3	4
მე გაცხარებული ვარ	1	2	3	4
მე არ ვგრძნობ შებოჭილობას და დაძაბულობას	4	3	2	1
მე კმაყოფილი ვარ	4	3	2	1
მე შეფიქრიანებული ვარ	1	2	3	4
მე ძალიან აგზნებული ვარ, თავს არ ვეკუთვნი	1	2	3	4
მე მიხარია	4	3	2	1
მე მსიამოვნებს	4	3	2	1

2. ახლა, ზუსტად ისევე, როგორც წინა ტესტში, ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მტკიცებანი. მისი გათვალისწინებით, თუ როგორ გრძნობთ ჩვეულებრივ თავს, შემოხაზეთ შესაბამისი ციფრი. პასუხზე ამჯერად დიდხანს ნუ დაფიქრდებით.

მტკიცებაანი	ქულაბი
მე ხშირად განვიცი კმაყოფილებას	4 3 2 1
მე, ჩვეულებრივ, მალე ვიღლები	1 2 3 4
მე შემძლია ადვილად ავტირდე	1 2 3 4
მე მსურს ისეთი ვიყო როგორც სხვები	1 2 3 4
მე ხშირად ვარ წაგებაში იმის გამო, რომ გადაწყვეტილებას გვიან ვღებულობ	1 2 3 4
მე, ჩვეულებრივ, მხნედ ვგრძნობ თავს	4 3 2 1
მე ვარ მშვიდი, გულგრილი	4 3 2 1
მე, ჩვეულებრივ, მაღიზიანებს მოსალოდნელი სიძნელეები	1 2 3 4
მე ძალიან განვიცი უბრალო რამის გამო	1 2 3 4
მე ვარ სავსებით ბედნიერი	4 3 2 1
მე ძალიან ახლოს მიმაქვს გულთან ყველაფერი	1 2 3 4
მე მაკლია საკუთარ თავში დარწმუნებულობა	1 2 3 4
მე, ჩვეულებრივ, თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ	4 3 2 1
მე ვცდილობ თავი ავარიდო კრიტიკულ სიტუაციებს და სიძნელეებს	1 2 3 4
მე დარდიანი ვარ (სევდიანი)	1 2 3 4
მე კმაყოფილი ვარ	4 3 2 1
მე უბრალო მიზეზიც მალეღებებს	1 2 3 4
მე ისე ძალიან განვიცი იმედგაცრუებას, რომ შემდეგ დიდხანს არ მავიწყდება იგი	1 2 3 4
მე გაწონასწორებული ადამიანი ვარ	4 3 2 1
მე ძლიერი აფორიაქება შემიპყრობს ხოლმე, როცა ვფიქრობ ჩემს საქმეებსა და საზრუნავზე	1 2 3 4

შედეგების დამუშავებისას შეაჯამეთ მტკიცებების (მაგ: მე მშვიდად ვარ 4 3 2 1) შესაბამისი ქულები ცალ-ცალკე რეაქციული და პიროვნული შფოთვისათვის. შემდეგ შეაჯამეთ შებრუნებული მტკიცებების (მაგ: მე ვლელავ 1 2 3 4) შესაბამისი ქულები. პირდაპირი მტკიცებების ქულათა ჯამს გამოაკელით შებრუნებული მტკიცებების ქულათა ჯამი. რეაქტიული შფოთვის გაზომვისათვის მიღებულ სხვაობას ემატება 50, ხოლო პიროვნულსათვის ემატება 35 ქულა.

დაბალი შფოთვა - 35 ქულამდე, ზომიერი - 35-დან 45-მდე, მაღალი - 46 და ზევით.



ემოციების ასახვა მიმიკაში

ნებისყოფა

განასხვავებენ ორი სახის მოქმედებას – ნებისმიერს და უნებლიეს, ანუ იმპულსურს. იმპულსური მოქმედება იმპულსის უშუალო განხორციელებაა და ახასიათებს ცხოველებსა და პატარა ბავშვებს. ნებისმიერი მოქმედება კი წარმოადგენს მიზანდასახულ, გაცნობიერებულ, წინასწარგანზრახულ მოქმედებას, რომელიც ზრდასრულ ადამიანს ახასიათებს. წარმატება ნებისმიერ საქმიანობაში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნებისყოფის სიძლიერეზე. ნებისყოფის სიძლიერე ხასიათის სიმტკიცის საფუძველია. ეს ხასიათის ის თვისებაა, რომელიც აუცილებელია იურისტისათვის. ნებისმიერი მოქმედების უნარი ყველა ადამიანს გააჩნია, მაგრამ ნებისყოფის სიძლიერის მიხედვით ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. შეიძლება გამოვყოთ ნებისყოფის სამი დონე – ძლიერი, საშუალო და სუსტი.

ნებისყოფის ათოლოგია

ნებისყოფის დაავადება შეიძლება გამოვლინდეს ორი სახით, ესენია: აპრაქსია და აბულია. აპრაქსია, ანუ უმოქმედობა, ვლინდება ნებისმიერი მოქმედების უნარის დაკარგვაში. ამ დროს ადამიანს მხოლოდ ისეთი მოქმედების შესრულების უნარი აქვს, რომელიც სიტუაციითაა განპირობებული და რომელიც მისი ამჟამინდელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. მას არ შეუძლია ნებისმიერი მოქმედების შესრულება, ადამიანი ხდება იმპულსების მონა, რადგან იგი ვერ ეუფლება საკუთარ ქცევას. პათოლოგიის გამოვლინების მეორე ფორმაა აბულია, ანუ გადაწყვეტილების გამოტანის უნარის დაქვეითება. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფი კარგად მსჯელობს, აწონდაწონის და აფასებს სიტუაციას, მაგრამ ვერც ერთი შესაძლო შესასრულებელი მოქმედების შესახებ ვერ გამოაქვს გადაწყვეტილება. რადგან ნებისყოფა პიროვნების ერთ-ერთი ძირითადი ფსიქიკური თვისებაა, დარღვევები ნებისყოფაში პიროვნული ცვლილების სახით წარმოჩინდება.

წარმოგიდგენთ კითხვარს ნებისყოფის გასაზომად:

შეეცადეთ, გულწრფელად უპასუხოთ 15 კითხვას. თუ თქვენი პასუხია „დიახ“ ჩაიწერეთ 2 ქულა. თუ პასუხია – „არ ვიცი“,

„ხანდახან“, „ხდება ხილმე“, „მიჭირს ზუსტი პასუხის გაცემა“, მაშინ ჩაიწერეთ 1 ქულა, ხოლო პასუხზე „არა“ – 0 ქულა.

1. შეგიძლიათ თუ არა, დაასრულოთ სამუშაო, რომელიც თქვენ არ გაინტერესებთ, თუ დრო და გარემოება გაძლევთ საშუალებას, ახლა თავი დაანებოთ მას და მერე ისევ დაუბრუნდეთ.

2. დაძლევთ თუ არა შინაგან წინააღმდეგობას საკუთარ თავზე დიდი ძალდატანების გარეშე, როცა საჭიროა გააკეთოთ თქვენთვის უსიამოვნო საქმე (მაგ. წახვიდეთ დანიშნულ დროს სამორიგეოდ)?

3 შეგიძლიათ თუ არა, აიყვანოთ თავი ხელში ისე, რომ სიტუაციას ობიექტურად შეხედოთ, როდესაც შინ ან სამსახურში კონფლიქტურ სიტუაციაში ხვდებით?

4. შესძლებთ თუ არა კულინარული ცდუნებების დაძლევას, თუ თქვენ გამოწერილი გაქვთ დიეტა?

5. გეყოფათ თუ არა ძალა, დილით ჩვეულებრივზე უფრო ადრე ადგეთ, ისე როგორც წინა დღეს დაგეგმეთ, თუ კი ეს არაა აუცილებელი?

6. დარჩებით თუ არა შემთხვევის ადგილზე, რათა მისცეთ მოწმის ჩვენება?

7. სწრაფად პასუხობთ თუ არა წერილებს?

8. თუ თქვენში შიშს იწვევს მოსალოდნელი აფრენა თვითმფრინავით, ან კბილის ექიმთან წასვლა, შესძლებთ თუ არა, დაძლიოთ ეს გრძნობა და უკანასკნელ წუთს უარი არ თქვათ განზრახვაზე?

9. შეასრულებთ თუ არა ცხელ გულზე მიცემულ დაპირებას მაშინაც კი, თუ მისი შესრულება თავსატეხს გაგიჩენთ?

10. მიიღებდით თუ არა უსიამოვნო, ტკივილებს გამოძწვევ წამალს?

11. უყოყმანოდ გაემგზავრებით თუ არა მივლინებაში უცხო ქალაქში მარტო?

12. იცავთ თუ არა მკაცრად დღის რეჟიმს: ადგომის, საუზმის, მეცადინობის დროს?

13. კიცხავთ თუ არა ბიბლიოთეკის მევალებებს?

14. შეგიძლიათ თუ არა, დაასრულოთ გადაუდებელი სამუშაო, როცა ტელევიზიით გადმოსცემენ თქვენთვის ძალიან საინტერესო პროგრამას?

15. შესძლებთ თუ არა, შეწყვიტოთ დავა და გაჩუმდეთ, როგორი საწყენიც არ უნდა იყოს მოკამათის სიტყვები (გერჩვენბოდეთ საწყენად)?

შედგების ინტერპრეტაცია: თუ თქვენ ჯამში მოაგროვებ 0-დან 12 ქულამდე, მაშინ თქვენ სუსტი ნებისყოფის ადამიანი ხართ. მხოლოდ იმის კეთება გიყვართ, რაც ადვილია და გაინტერესებთ. არ გიყვართ მოვალეობები, რაც ზოგჯერ უსიამოვნების მიზეზი ხდება; 13-21 ქულა მიუთითებს, რომ თქვენ საშუალო ნებისყოფის ძალის ადამიანი ხართ. თუ მიზანმიმართულ ქცევებში წინააღმდეგობას წააწყდებით, შეეცდებით მის დაძლევას პირდაპირი გზით, მაგრამ თუ შემოვლითი გზა გამოჩნდა, უარს არ იტყვით. გიყვართ გულმოდგინება, მაგრამ მიცემულ პირობას (სიტყვას) ასრულებთ. თქვენთვის უსიამოვნო საქმეზეც არ იტყვით უარს, როცა ეს აუცილებელია, მაგრამ ასეთ საქმეს ბუზღუნით აკეთებთ, საკუთარი ნებით ზედმეტ მოვალეობებს არ დაიკისრებთ; 22-დან 30 ქულამდე – თქვენ ძლიერი ნებისყოფის ადამიანი ხართ, მიზანმიმართული ქცევები გახასიათებთ, მაგრამ ზოგჯერ, თქვენი ურყევი და მტკიცე პოზიცია არაპრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით სწყინთ გარშემომყოფთ.

ინსტრუქცია: ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული 15 კითხვა. თუ თქვენი პასუხების უმეტესობა (50%-ზე მეტი) დადებითია, მაშინ თქვენ იხრებით ძლიერი ნებისყოფისაკენ. თუ პირიქით, მაშინ – სუსტი ნებისყოფისაკენ, ხოლო თუ უარყოფითი და დადებითი პასუხები დაახლოებით თანაბრად განაწილდა – თქვენ საშუალო ნებისყოფის ადამიანი ხართ.

1. შეგიძლიათ თუ არა რთულ, კონფლიქტურ სიტუაციაში საკუთარი ქცევის კონტროლი?

2. შეგიძლიათ თუ არა, საკუთარი ემოციების და გრძნობების დაფარვა?

3. შეგიძლიათ თუ არა, იმპულსური ქცევის შეკავება?

4. შეგიძლიათ თუ არა, საკუთარი გუნება-განწყობის რეგულირება?

5. შეგიძლიათ თუ არა, რთულ სიტუაციაში სულიერი სიმხნევის შენარჩუნება?

6. შეგიძლიათ თუ არა, რთულ და საშიშ სიტუაციებში ფიზიკური და სულიერი დატვირთვის ატანა?

7. შეგიძლიათ თუ არა, ნებისმიერ სიტუაციაში მთელი თქვენი შესაძლებლობების გამოყენება მიზნის მისაღწევად?

8. შეგიძლიათ თუ არა, რთულ სიტუაციაში გამოიჩინოთ გამბედაობა და მიაღწიოთ მიზანს?

9. არის თუ არა თქვენი თვისება რთულ, კონფლიქტურ სიტუაციაში დროული, დასაბუთებული და მტკიცე გადაწყვეტილების მიღება და შესრულება?

10. გაქვთ თუ არა უნარი, დაუმორჩილოთ თქვენი ქცევები საზოგადოებრივ ან რომელიმე სოციალურ ჯგუფის წესებს, ნორმებს, მოთხოვნებს?

11. შეგიძლიათ თუ არა, წარუმატებლობისა და მარცხის მიუხედავად ეძებოთ თქვენი მიზნის მისაღწევად ახალი გზები?

12. გაქვთ თუ არა უნარი, გამოიჩინოთ ძალისხმევა სოციალური გარემოს მიერ დასმული მოთხოვნების კარგად შესასრულებლად?

13. ეთანხმება თუ არა ერთმანეთს თქვენი სიტყვა და საქმე? გახასიათებთ თუ არა შეხედულებებისა და პოზიციის სიმყარე მცირე ჯგუფების სხვადასხვა მოთხოვნებისა და აზრებისადმი დამოუკიდებლობა?

14. შეგიძლიათ თუ არა, რჩევების და მითითებების კრიტიკული შეფასება?

15. შეგიძლიათ თუ არა, შეწყვიტოთ მოქმედება, როცა იცვლება ვითარება და ეს მოქმედება აღარ არის მიზანშეწონილი?

სუსტი ნებისყოფის ადამიანებს ახასიათებთ იმპულსურობა. იმპულსურობის საკვლევეად და გასაზომად არსებობს შემდეგი მეთოდის: 20 კითხვას თან ერთვის პასუხების ოთხქულიანი სკალა, საიდანაც პიროვნებამ უნდა აირჩიოს ერთი. პასუხის ნომერი (1, 2, 3, 4) აღნიშნავს ქულასაც, რომლითაც ის შეფასდება. ქულები ჯამდება და რაც მეტია ჯამი, მით მეტია იმპულსურობის დონე.

კითხვარი

1. საქმეს თუ ხელი მოჰკიდეთ, ყოველთვის მიგყავთ ბოლომდე?
 - 1) ნამდვილად ასეა. 2) ვგონებ, – დიახ. 3) ვგონებ, – არა. 4) ნამდვილად არა.
2. ყოველთვის მშვიდად რეაგირებთ თქვენს მიმართ გამოთქმულ შენიშვნებზე?
 - 1) ნამდვილად ასეა. 2) ვგონებ, – დიახ. 3) ვგონებ, – არა. 4) ნამდვილად არა.

3. ყოველთვის ასრულებთ დანაპირებს?
 - 1) ნამდვილად ასეა 2) კვონებ, – დიახ 3) კვონებ, – არა 4) ნამდვილად არა.
4. ხშირად მოქმედებთ და ლაპარაკობთ წუთიერი განწყობის ზეგავლენით?
 - 1) ძალიან ხშირად. 2) საკმაოდ ხშირად. 3) საკმაოდ იშვიათად. 4) თითქმის არასდროს.
5. კრიტიკულ, დაძაბულ სიტუაციაში კარგად ფლობთ თავს?
 - 1) ნამდვილად ასეა. 2) კვონებ, – დიახ. 3) კვონებ, – არა. 4) ნამდვილად არა.
6. ხშირად გეცვლებათ უმიზეზოდ გუნება?
 - 1) ეს ხდება ძალიან ხშირად. 2) ხდება დრო და დრო. 3) ეს ხდება იშვიათად. 4) არასდროს.
7. ბევრ რაიმეს აკეთებთ ფატა-ფუცით, როცა დროში ვერ ეტყევით?
 - 1) ნამდვილად ასეა 2) კვონებ, – დიახ 3) კვონებ, – არა 4) ნამდვილად არა.
8. შეგიძლიათ თავს უწოდოთ მიზანმიმართული ადამიანი?
 - 1) დიახ, ნამდვილად შემოიძლია. 2) კვონებ, შევძლებდი. 3) ალბათ, ვერა. 4) არა, ნამდვილად არა.
9. სიტყვასა და საქმეში, იცავთ თუ არა – „ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერი“-ს პრინციპს?
 - 1) დიახ, ყოველთვის. 2) ხშირად. 3) იშვიათად. 4) არა, თითქმის არასდროს.
10. თქვენ ხაზგასმით გულგრილი ხართ მათ მიმართ ვინც ტრანსპორტში გებუზღუნებათ და გეხებათ?
 - 1) მე ყოველთვის ასე ვრეაგირებ. 2) მე საკმაოდ ხშირად ვრეაგირებ ასე. 3) მე იშვიათად ვრეაგირებ ასე. 4) მე არასდროს არ ვრეაგირებ ასე.
11. გეპარებათ ეჭვი თქვენს ძალებსა და უნარ-შესაძლებლობებში?
 - 1) დიახ, ხშირად. 2) ზოგჯერ 3) იშვიათად. 4) თითქმის არასდროს.

12. ახალი საქმეები ადვილად გიტაცებთ, მაგრამ მალე ხდებით გულგრილი?
 - 1) ნამდვილად ასეა. 2) კვონებ, – დიახ. 3) კვონებ, – არა. 4) ნამდვილად არა.
13. შეგიძლიათ თავშეკავება, როცა რომელიმე უფროსთაგანი დაუმსახურებლად გაყვედურობთ?
 - 1) ნამდვილად ასეა. 2) კვონებ, – დიახ. 3) კვონებ, – არა. 4) ნამდვილად არა.
14. გეჩვენებათ, რომ ჯერ კიდევ არ გიპოვნიათ საკუთარი თავი?
 - 1) გეთანხმებით, ნამდვილად ასეა. 2) უფრო მეტად, ასეა. 3) ამაში, ალბათ, ვერ დაგეთანხმებით. 4) ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით.
15. შეიძლება თუ არა ახალი ვითარებების ზეგავლენით, არაერთხელ შეგეცვალოთ აზრი საკუთარ თავზე?
 - 1) ალბათ, ასეა. 2) საკმაოდ მოსალოდნელია. 3) ნაკლებად მოსალოდნელია. 4) დაუჯერებელია.
16. ჩვეულებრივ, ძნელია თუ არა, თქვენი გამოყვანა წონასწორობიდან?
 - 1) ნამდვილად ასეა. 2) კვონებ, – დიახ. 3) კვონებ, – არა. 4) ნამდვილად არა.
17. გიჩნდებათ სურვილები, რომლებიც სხვადასხვა ვითარებების გამო განუხორციელებელია?
 - 1) ასეთი სურვილები ხშირად მიჩნდება. 2) დრო და დრო მიჩნდება. 3) იშვიათად მიჩნდება. 4) განუხორციელებელი სურვილები არასდროს მიჩნდება.
18. ვინმესთან ცხოვრებისეული პრობლემების განსჯისას, ამჩნევთ რომ თქვენი თვალსაზრისები ჯერ კიდევ არაა გარკვეული.
 - 1) დიახ, ხშირად ვამჩნევ. 2) ზოგჯერ ვამჩნევ. 3) იშვიათად ვამჩნევ. 4) არასდროს.
19. ხდება, რომ საქმე ისე გბეზრდებათ, ჯერ დამთავრებული არა გაქვთ და ახალს ჰკიდებთ ხელს?
 - 1) დიახ, ასე ხშირად ხდება. 2) ზოგჯერ ასეც ხდება. 3) ასე იშვიათად ხდება. 4) ასე თითქმის არასოდეს ხდება.
20. თქვენ რამდენადმე გაუწონასწორებელი აღამიანი ხართ?
 - 1) ნამდვილად ასეა. 2) კვონებ, – დიახ. 3) კვონებ, – არა. 4) ნამდვილად არა.

	პასუხი, ქულა			
	1	2	3	4
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				
17				
18				
19				
20				

პასუხის კოდი: 1, 2, 3, -4, 5, -6, 7, 8, 9, -11, -12, 13, 14, -15, -16, -17, -19, -20.

ნიშანი „-“ კითხვის ნომრის წინ აღნიშნავს, რომ ამ კითხვაზე პასუხის ქულათა ათვლა უნდა მოხდეს შებრუნებული რიგით (მე-4 პასუხი 1 ქულა, მე-3 პასუხი - 2 ქულა და ა.შ.)

იმპულსურობასთან ერთად ამ მეთოდით შეიძლება შეფასდეს კიდევ ორი რამ: თვითდარწმუნებულობა ურთიერთობის დროს (კითხვები: 2, 4, 5, 9, 12, 16, 20) და მიზანმიმართულობა (კითხვები: 1, 3, 8, 11, 14, 15, 18).

ტიმპერამენტი წარმოადგენს ადამიანის ემოციური ცხოვრების საფუძველს. თუ როგორია ადამიანი – მშვიდი, აუღელვებელი, თუ პირიქით, აგზნებადი და მშფოთვარე, რამდენ ხანს გაყვება მას ესა თუ ის გრძნობა და რა სახის გრძნობებს განიცდის, დადებითს თუ უარყოფითს – ყოველივე ეს განსაზღვრულია ტემპერამენტის ტიპით. ტემპერამენტის კლასიფიკაცია ჯერ კიდევ ძე. წ. აღ. V საუკუნეში ჩამოაყალიბა ჰიპოკრატემ. მან გამოყო ოთხი ტიპი: სანგვინიკი, ქოლერიკი, ფლევმატიკი, მელანქოლიკი. სანგვინიკი არის სწრაფად აგზნებადი, მასში გრძნობები სწრაფად წამოიჭრება, მაგრამ ღიდხანს არ გასტანს. იგი არის მოძრავი, მკვირცხლი, უფრო ხშირად განიცდის დადებით ემოციებს. ქოლერიკი სანგვინიკის მსგავსად სწრაფად აგზნებადია, მაგრამ მისგან განსხვავებით გრძნობები ღიდხანს გააჰყვება. უფრო ხშირად მისთვის დამახასიათებელია უარყოფითი გრძნობების განცდა. ფლევმატიკი არის მშვიდი, ღინჯი, აუჩქარებელი ტიპი. იგი ძნელად აგზნებადია და ძლიერი გრძნობებისადმი ნაკლებად მიდრეკილი. უფრო ხშირად განიცდის დადებით გრძნობებს. რაც შეეხება მელანქოლიკს, იგი აგზნებადობით ფლევმატიკს ჩამოჰგავს, ხოლო გრძნობათა მიმართულებით ქოლერიკს – მიდრეკილია უარყოფითი გრძნობებისაკენ.

ტიმპერამენტი, ზოგადად, მნიშვნელოვან დალს ასევეს ადამიანის ქცევას. მისი თავისებურებები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ადამიანებთან ურთიერთობებისას. საგამომძიებლო საქმეში ტემპერამენტის ტიპის გათვალისწინება დაკითხვის დროს, პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათების და მოზარდებში დანაშაულის აღკვეთის პროფილაქტიკისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია და ხშირად – წარმატების გარანტი. სხვადასხვა ტემპერამენტის ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ, იმახსოვრებენ და აღწერენ მოვლენებს. ა.ფ. კონი შრომაში – „მეხსიერება და ყურადღება“, წერს: „რომ დავახასიათოთ ტემპერამენტის გავლენა ადამიანის მონათხრობზე ე.ი. თუ როგორ დაინახა, განიცადა და გადმოგვცა მოწმემ ესა თუ ის მოვლენა, შეიძლება ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: ქალი რელსებზე გადადიოდა, მას ტრამვაი დაეჯახა და მოკლა. შეიძლება ეს მოხდა იმის გამო, რომ ქალმა ყურადღება არ მიაქცია გამაფრთხილებელ სიგნალს, ან იმის გამო, რომ სიგნალი გვიან გაისმა. სანგვინიკი იტყვის: – „გაისმა გულის გამგვირავი ხმა, მე ძვლების ჭახუნიც კი გავიგონე, სისხლმა იჩქეფა. ეს სურათი სულ თვალწინ მიდგას, არ მასვენებს და მაფორიაქებს“.

მელანქოლიკი იტყვის: – „ჩემს თვალწინ ტრამვაიმ საცოდავი ქალი გაიტანა. აი, რა არის ადამიანის ბედი. იქნებ საყვარელ ოჯახში

მიიჩქაროდა, ქმარ-შვილთან? ყველაფერი დამთავრდა, განადგურდა, დარჩა მარტო ცრემლი და დარდი. დაობლებული ოჯახის სურათი არ მშორდება თვალიდან“.

აღშფოთებული ქოლერიკი ამ ამბავს ასე აღწერს: – „გაიტანეს ქალი! კარგა ხანია ვაბობდი, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა თავის მოვალეობას არ ასრულებს. განა შეიძლება ტრამეაის მართვა ისეთ ადამიანს მიანდო, რომელიც დროულად ზარსაც კი არ ჩამოჰკრავს, რომ დაბნეული, ან თავის ფიქრებში გართული ადამიანი გააფრთხილოს? აი, შედეგიც! მკაცრად უნდა დაისაჯონ ამისათვის, ძალიან მკაცრად!“

ფლეგმატიკი იგივე ამბავს ასე მოყვება: – „ეტლით მივდიოდი..., ეხედავ ტრამეაი დგას, ხალხი შეკრებილა და რაღაცას მისჩერებია. ოდნავ წამოვიწიე და ეხედავ, ტრამეაის ქალი გაუტანია, რელსებზე წევს, გარდი-გარდმო. ალბათ დაეჯახა და გატყლიტა. დავეჯექი ისევ ჩემს ადგილზე და მეეტლეს ეუბრძანე, გასწი-მეთქი“.

თუ თქვენ თვითდაკვირვებულნი ხართ, ალბათ ამ მაგალითებით მიხვდებით, ტემპერამენტის რომელი ტიპისკენ უფრო იხრებით (რომელ ტიპს მიეკუთვნებით). თქვენი დასკვნები შეგიძლიათ შეამოწმოთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით:

აირჩიეთ პასუხების ოთხი ვარიანტიდან ერთ-ერთი.

1. საუბრის დროს ხართ –

- ა) გონებამახვილი, ცინიკური.
- ბ) მხიარული, მოლაყებ.
- გ) წყნარი, კარგი იუმორის გრძნობით.
- დ) სიტყვაძუნწი, თავშეკავებული.

2. პაემანზე –

- ა) მივდივარ ადრე.
- ბ) დაბნეული.
- გ) პუნქტუალური.
- დ) ვაგვიანებ.

3. თეატრში ანტრაქტის დროს –

- ა) ერთი სული მაქვს გავიგო, რით დამთავრდება სპექტაკლი.
- ბ) ხალხს ვათვალიერებ.
- გ) ვზივარ წყნარად, კმაყოფილი ვარ თანამოსაუბრით.
- დ) ვღელავ, ხომ არაფერი დამრჩა შინ უწესრიგოდ.

4. უბედური შემთხვევის დროს –

- ა) ვღებულობ მონაწილეობას.
- ბ) ვვარდები ისტერიკაში.
- გ) ვეხმარები რითაც შემიძლია.
- დ) ვფიქრობ, რით დავეხმარო.

5. როცა შევდივარ რესტორანში –

- ა) მოურიდებლად შევდივარ, რათა დავიკავო საუკეთესო მაგიდა.
- ბ) ვცდილობ, საინტერესო პიროვნების გვერდით დავჯდე.
- გ) წყნარად შევდივარ და ვიკავენ ნებისმიერ ადგილს.
- დ) ვცდილობ, შეუმჩნეველად დავჯდე სადმე კუთხეში.

6. ქვემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან, რომელი უფრო ჭარბობს თქვენში –

- ა) ნებისყოფა.
- ბ) წარმოსახვა.
- გ) დამკვირვებლობა.
- დ) მეხსიერება.

7. სახლში, საზოგადოებაში ხართ –

- ა) აგ ზნებული, იმპულსური, ქედმაღალი.
- ბ) ექსტრავეგანტური, ჭკუამხიარული.
- გ) ტრადიციულად, თბილი.
- დ) ინტიმური, მაგრამ თავდაჭერილი.

8. ჭამის დროს –

- ა) ვჭამ სწრაფად. მიმაჩნია, რომ ჭამა ენერგიას მმატებს.
- ბ) მიყვარს ჭამის დროს ლაპარაკი.
- გ) ეს ჩემთვის ყველაზე საყვარელი დროა.
- დ) ფრთხილად ვირჩევ საჭმელს და ვლაპარაკობ ცოტას.

9. გარს მყოფთ –

- ა) ვიყენებ.
- ბ) გვერდს ვუვლი.
- გ) უთანამშრომლობ.
- დ) ძალიან ფრთხილად ვირჩევ.


10. როგორ გრძნობთ თავს ერთი-ორი ჭიქის მერე?

- ა) თავდაჯერებულად, მიყვარს კამათი.
- ბ) მიზიდავს ფლირტი.
- გ) ოღნავ გაბრუებული, მყუდროდ.
- დ) ვზღვები სენტიმენტალური, დეპრესიული.

11. ცხოვრებაში ხართ –

- ა) ამბიციური, ყაირათიანი, არ მიყვარს ცვლილებები.
- ბ) დაუდეგარი, არ ვზრუნავ ხვალინდელ დღეზე.
- გ) კმაყოფილი, წყნარი, შორსმჭვრეტელი.
- დ) ვამჯობინებ ცხოვრების ძველებურ წესს.

თუ თქვენს პასუხებში ჭარბობს: ა (ქოლერიკი), ბ (სანგვინიკი),
გ (ფლეგმატიკი), დ (მელანქოლიკი).



პერლუფ ბიდსტრუმის ნახატი შეგიქმნით
 წარმოდგენას ტემპერამენტის ოთხი ტიპის შესახებ.

5. როცა შევდივარ რესტორანში –

- ა) მოურიდებლად შევდივარ, რათა დავიკავო საუკეთესო მაგიდა.
- ბ) ვცდილობ, საინტერესო პიროვნების გვერდით დავჯდე.
- გ) წყნარად შევდივარ და ვიკავენ ნებისმიერ ადგილს.
- დ) ვცდილობ, შეუმჩნეველად დავჯდე სადმე კუთხეში.

6. ქვემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან, რომელი უფრო ჭარბობს თქვენში –

- ა) ნებისყოფა.
- ბ) წარმოსახვა.
- გ) დამკვირვებლობა.
- დ) მეხსიერება.

7. სახლში, საზოგადოებაში ხართ –

- ა) აგზნებული, იმპულსური, ქედმაღალი.
- ბ) ექსტრავაგანტური, ჭკუამხიარული.
- გ) ტრადიციულად, თბილი.
- დ) ინტიმური, მაგრამ თავდაჭერილი.

8. ჭამის დროს –

- ა) ვჭამ სწრაფად. მიმაჩნია, რომ ჭამა ენერგიას მმატებს.
- ბ) მიყვარს ჭამის დროს ლაპარაკი.
- გ) ეს ჩემთვის ყველაზე საყვარელი დროა.
- დ) ფრთხილად ვირჩევ საჭმელს და ვლაპარაკობ ცოტას.

9. გარს მყოფთ –

- ა) ვიყენებ.
- ბ) გვერდს ვუვლი.
- გ) უთანამშრომლობ.
- დ) ძალიან ფრთხილად ვირჩევ.


10. როგორ გრძნობთ თავს ერთი-ორი ჭიქის მერე?

- ა) თავდაჯერებულად, მიყვარს კამათი.
- ბ) მიზიდავს ფლირტი.
- გ) ოდნავ გაბრუებული, მყუდროდ.
- დ) ვხდები სენტიმენტალური, დეპრესიული.

11. ცხოვრებაში ხართ –

- ა) ამბიციური, ყაირათიანი, არ მიყვარს ცვლილებები.
- ბ) დაუდევარი, არ ვზრუნავ ხვალინდელ დღეზე.
- გ) კმაყოფილი, წყნარი, შორსმჭვრეტელი.
- დ) ვამჯობინებ ცხოვრების ძველებურ წესს.

თუ თქვენს პასუხებში ჭარბობს: ა (ქოლერიკი), ბ (სანგვინიკი), გ (ფლემმატიკი), დ (მელანქოლიკი).



პერლუფ ბიდსტრუბის ნახატი შეგიქმნით
 წარმოდგენას ტემპერამენტის ოთხი ტიპის შესახებ.

ხასიათი არის პიროვნების ფსიქიკური წყობა, მისი ინდივიდუალური თავისებურებების ერთიანობა, რომელიც ჩამოყალიბდება და ვლინდება გარემოსთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას და საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში. ხასიათი განსაზღვრავს პიროვნების ქცევის თავისებურებას. მასში შეიძლება გამოვყოთ ინდივიდუალური და ტიპური ნიშნები. ინდივიდუალური განსაზღვრულია იმ განუმეორებელი სიტუაციებით, რომელშიც მიმდინარეობს პიროვნების სოციალიზაცია და თანდაყოლილი თავისებურებებით (ნასახები, ტემპერამენტი, ცენტრალური ნერვული სისტემის თავისებურება). ხოლო ტიპურ ნიშნებს აყალიბებს ადამიანთა ცხოვრების საერთო, ტიპური პირობები და თავისებურებები.

ხასიათი ვლინდება გარემოსთან, საკუთარ თავთან და სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში. გარემოსთან დამოკიდებულება გამოიხატება ისეთ თვისებებში, როგორიცაა შრომისმოყვარეობა ან სიზარმაცე, პასუხისმგებლობა და უპასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერება, პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციები და ა.შ. საკუთარ თავთან დამოკიდებულება გამოიხატულია პრეტენზიის დონეში, თვითშეფასებაში, თვითკრიტიკულობაში, თვითდარწმუნებაში, ქედმაღლობაში ან თავმდაბლობაში და ა.შ. სხვა ადამიანებთან დამოკიდებულება — ხასიათის ისეთ თვისებებში როგორიცაა: კონტაქტურობა და ჩაკეტილობა, მატყუარობა და სიმართლის მოყვარეობა, ტაქტიანობა და უხეშობა და ა.შ.

ხასიათის სტრუქტურასა და თავისებურებებს ქმნის სხვადასხვა ძირითადი ფსიქიკური თვისებები — ტემპერამენტი, ნებისყოფა, ინტელექტი, ინტერესები და მიდრეკილებები, აგრეთვე რწმენები, მსოფლმხედველობა.

ფსიქოლოგიაში არსებობს ხასიათის სხვადასხვა კლასიფიკაციები. წარმოდგენილი კლასიფიკაცია პროფესიული თვალსაზრისით უფრო საინტერესოა, რადგან ადამიანის გარემოსთან ადაპტაციის უნარს გამოხატავს.

ხასიათის პათოლოგია

ხასიათის პათოლოგიას უწოდებენ ფსიქოპათიას. იგი უმეტესად გამოწვეულია ნერვული სისტემის თანდაყოლილი ნაკლით, არასრულფასოვნებით.

ამ შემთხვევაში დარღვევები, ძირითადად შეეხება ნებელობით-ემოციურ სფეროს. ფსიქოპათიისათვის დამახასიათებელია არაადეკვატური ემოციური განცდები, დეპრესიები და აკვიატებული აზრები. ფსიქოპათია, აგრეთვე შეიძლება იყოს, ბავშვობაში გადატანილი ენცეფალიტის, ტვინის ტრავმის ან არასწორი აღზრდის შედეგი. ფსიქოპათიის ფორმებია: 1) სთენიკური – მისთვის დამახასიათებელია მომატებული ავზნებადობა, რასაც თან მოსდევს გამოფიტვა. 2) ავზნებადი – მას ახასიათებს გამღიზიანებელზე არაადეკვატური ემოციური რეაქციები, მიდრეკილია აფექტების, რისხვისა და აგრესიისაკენ. 3) ისტერიული ფსიქოპათია – მისთვის ნიშანდობლივია ემოციათა სწრაფი ცვლებადობა, მგრძნობიარობა, ჩაგონებადობა და ეგოცენტრიზმი, თეატრალურობა, ხმამაღალი ლაპარაკი, ისტერიული გულყრები. 4) პარანოიალური ფსიქოპათია – ამ შემთხვევაში პიროვნებას ახასიათებს ეჭვიანობა, უნდობლობა, მომატებული თვითშეფასება და ზედირებულებითი იდეები, სიჯიუტე, ზედმეტი თვითდარწმუნებულობა.

უფრო ხშირად ვხვდებით შერეულ ტიპებს. ინტელექტი ფსიქოპათიის დროს შენარჩუნებულია, მაგრამ ძნელდება სოციალური ადაპტაცია. ფსიქოპათია სრულ განკურნებას ძნელად ექვემდებარება. იგი ბავშვობის ასაკიდანვე იჩენს თავს და ზრდასრულ ასაკში მისი გამოვლენის ხარისხი დამოკიდებულია აღზრდის თავისებურებებსა და გარემოს ზემოქმედებაზე.

ზასიათის ტიპები

1. პარმონიულად მთლიანი, 2. ვარიაბელური, 3. შინაგანად კონფლიქტური, მაგრამ გარგნულად გარემოსთან პარმონიულად შეთანხმებული, 4. კონფლიქტური, დაბალი ადაპტაციის უნარით.

პარმონიულად მთლიანი – კარგად ადაპტირდება სხვადასხვა სიტუაციებთან. გამოირჩევა დამოკიდებულებების სიმტკიცით და გარემოსთან მაღალი შემგუებლობით. შინაგანად უკომფლიქტოა. მისი სურვილები შეესაბამება მის საქმიანობას. არის კონტაქტური, ნებისყოფიანი და პრინციპული.

შინაგანად კონფლიქტური – გამოირჩევა შინაგან მისწრაფებებსა და გარეგნულ ქცევას შორის წინააღმდეგობით. დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ გარემოს მოთხოვნებს საკუთარი ქცევები შეაგუოს.

კონფლიქტური, დაბალი ადაპტაციის – გამოირჩევა შინაგან ემოციურ იმპულსებსა (აღმქვრელებს) და სოციალურ მოვალეობებს შორის შეუთავსებლობით. გამოირჩევა იმპულსურობით, უარყოფითი ემოციების სიჭარბით, არაკომუნიკაბელობით.

ვარიანტული – ადაპტირდება ნებისმიერ პირობებთან საკუთარი პოზიციის უქონლობის გამო. უპრინციპოა. არ აქვს ქცევის მყარი, ზოგადი ხაზი. ხასიათის ეს ტიპი მიუთითებს პიროვნების განვითარების დაბალ დონეს.

ხასიათში შეიძლება გამოვყოთ ინტელექტუალური, ემოციური და ნებელობითი თვისებები.

ინტელექტუალური გულისხმობს, სინამდვილის მოვლენებს შორის არსებითი კავშირების ასახვის უნარს.

ნებელობითი, გულისხმობს საკუთარი ქცევებისა და მოქმედებების (საერთოდ ქცევების) გაცნობიერებული რეგულაციის უნარ-თვისებას.

ემოციური გულისხმობს, ქცევის უშუალოდ (განსჯის და გაცნობიერების გარეშე) ემოციების დონეზე რეგულაციის უნარს.

პიროვნება

პიროვნება არის გაცნობიერებული მოქმედებებისა და სოციალური ურთიერთობების მქონე ადამიანი. იგი ფლობს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, ინდივიდუალურ ფსიქიკურ თვისებებს და, ამავე დროს, ხასიათდება ზოგადპიროვნული თავისებურებებით – 1. აქტიურობით, 2. მიმართულობით, რომელიც განსაზღვრულია ქცევის მოტივებით, ინტერესებით, რწმენით, იდეალებით, გემოვნებით და ა.შ. 3. საკუთარი ქცევებისა და სინამდვილესთან თავის დამოკიდებულების გაცნობიერებით. საკუთარი ქცევების გაცნობიერებასთან ერთად მას ახასიათებს თვით-ცნობიერებაც, რომელიც წარმოადგენს საკუთარ თავზე წარმოდგენების სისტემას და გამოიხატება თვითშეფასებაში, პრეტენზიის დონესა და საკუთარი თავის პატივისცემაში. ჩვეულებრივ, პიროვნება ჩართულია სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. იგი, როგორც ამ ურთიერთობათა სუბიექტი, სამი ასპექტით ვლინდება:

1. პიროვნება, როგორც ინდივიდუალური თავისებურებების მქონე, იმ ფსიქიკური თვისებების მატარებელია, რომლებიც მის ინდივიდუალობას ქმნის (მოტივები, პიროვნების მიმართულება, ხასიათის სტრუქტურა, ტემპერამენტის თავისებურება, უნარი და ა.შ.).

2. პიროვნება, როგორც ისეთ ადამიანურ ურთიერთობათა სუბიექტი, რომლებშიც თვით ურთიერთობები და ურთიერთზემოქმედება პიროვნებითაა განსაზღვრული, სოციალური ჯგუფი პიროვნულითაა შეპირობებული, ხოლო პიროვნული – სოციალურით.

3. ინდივიდს აქვს სოციალურად დეტერმინირებული მოთხოვნილება, იყოს პიროვნება, ე.ი. ისწრაფვის თავის თავს მიუჩინოს სხვა ადამიანთა შორის ადგილი, მათთან ერთად იარსებოს, ასახოს თავისი თავი სხვა ადამიანებში; გავლენა, შთაბეჭდილება მოახდინოს სხვა ადამიანებზე და თვითონაც მოექცეს გავლენის ქვეშ.

პიროვნება ყალიბდება სოციალიზაციის პროცესში. სოციალიზაცია კი არის ინდივიდის მიერ სოციალური გამოცდილებისა და ცოდნის შექმნა, რომელიც სხვა ადამიანებთან ურთიერთობის, სწავლისა და აღზრდის მეშვეობით ხორციელდება.

პიროვნების ათოლოგია

პიროვნების რღვევა გამოიხატება ადამიანის გარე სინამდვილესთან და საკუთარ თავთან დამოკიდებულების დარღვევაში. ირღვევა ქცევის სტრუქტურა და დინამიკა. ამ პროცესს ადგილი აქვს სხვადასხვა ფსიქიკური დაავადებების (ფსიქოზი, ნევროზი, ფსიქოპათია) დროს, რომელიც ხშირად თან ერთვის ტვინის ლოკალურ დაზიანებას. ადამიანის ქცევები მნიშვნელოვნად იცვლება, სუსტდება მისი აქტივობა, კრიტიკულობა, საკუთარი თავისა და ქცევების გაცნობიერების დონე. ადგილი აქვს მნიშვნელოვან ცვლილებებს მოტივაციურ სისტემაში. მოტივაციის პათოლოგია ვლინდება პათოლოგიური შინაარსის მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში (ალკოჰოლის, ნარკოტიკის მოთხოვნილება), შესაბამისად, იცვლება პიროვნების ღირებულებათა სისტემა და მიმართულება.

ამგვარი ღრმა ცვლილებები პიროვნების ღირებულებათა სისტემასა და მიმართულებაში ახასიათებს, აგრეთვე, დამნაშავეს პიროვნებას. მის ფსიქოლოგიაში წამყვანი როლი უჭირავს სწორედ სამართალცნობიერებისა და ღირებულებითი ნორმატიული ორიენტაციის დეფექტს. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისეთი ფსიქოლოგიური თვისებებიც, როგორიცაა აგრესიულობა, იმპულსურობა, ემოციური აგზნებადობა, დაბალი ინტელექტუალური დონე, ალკოჰოლიზაცია, ნარკოტიზაცია. დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი შეიძლება

განვიხილოთ როგორც სუბიექტისათვის არახელსაყრელი სოციალური სიტუაციისა და მისი ფსიქოლოგიური თვისებების ურთიერთქმედების პროცესი.

ალკოპოლიზაცია

პიროვნების ალკოპოლიზაციის დონე შეიძლება ვიკვლიოთ კითხვარით. გამოყოფენ ალკოპოლიზაციის შვიდ დონეს. ნულოვანი – სრული სიფხიზლე, როცა ადამიანი საერთოდ არ ღებულობს არავითარ სასმელს. პირველი – როცა ადგილი აქვს ალკოპოლის დროდადრო, ეპიზოდურ მოხმარებას, რომელსაც თან ახლავს უსიამოვნო შეგრძნებები. მეორე დონე – ეპიზოდური მოხმარება ეიფორიისა და უკვე კარგი ამტანობის თანხლებით. მისთვის დამახასიათებელია ალკოპოლიზმის განვითარების დიდი რისკი (თვეში ორჯერ და უფრო ხშირად), ადგილი აქვს დილაობით ალკოპოლის მცირე დოზით მიღებას, განწყობის გამოკეთების, ამაღლების მიზნით. მეოთხე დონე – ამ დონეზე ყალიბდება ფსიქიკური დამოკიდებულება ალკოპოლზე, რომელსაც თან ახლავს სასმელისკენ აქტიური სწრაფვა. მეხუთე – ადგილი აქვს ალკოპოლზე ფიზიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ამტანობას ალკოპოლის მიმართ, ვლინდება აქტიური „პანმელიის“ სინდრომი და კიდევ და კიდევ დაღვევის სწრაფვა. შეექვსე – იწყება პიროვნების ალკოპოლური რღვევა, სისტემატური ლოთობა, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს აგრესიულობასა და გაბოროტებას. მეოთხე დონემდე პიროვნებას ესაჭიროება სოციალური კონტროლი, ხოლო მეოთხე დონეზე დამატებით საჭიროა სამედიცინო ზემოქმედება. მეხუთე და შეექვსე დონეზე ადამიანი საჭიროებს ხანგრძლივ და თითქმის მუდმივ მკურნალობას.

სკრინინგ ანკეტა ალკოპოლიზაციის დონის საკმლევად

ქვემოთ მოყვანილ 14 კითხვას გაეცით პასუხი – „დიახ“ ან „არა“.

კითხვები:

1. დაგიტოვათ ალკოპოლის პირველმა ხმარებამ კარგი მოგონებები?
2. ალკოპოლი თქვენთვის თავისუფალი დროის გატარების საშუალებაა?
3. თქვენი მეგობრები თვეში ორჯერზე ხშირად სეამენ?

4. იწვევს თქვენში სასმელზე საუბარი დალევის სურვილს?
5. მოგვლიათ ოდესმე აზრად, რომ აუცილებელია ალკოჰოლის მიღების შემცირება?
6. გაგჩენიათ თუ არა ოდესმე წყენის ან დანაშაულის გრძნობა ალკოჰოლის ზმარებასთან დაკავშირებით?
7. თელის თუ არა ზოგიერთი თქვენი ნაცნობი, რომ თქვენ ბევრს სვამთ?
8. თელიან თუ არა თქვენი ახლობლები და ნათესავეები, რომ თქვენ ბევრს სვამთ?
9. შეიძლება თუ არა მხიარულად გაატაროთ დღესასწაული ან დაბადების დღე დალევის გარეშე?
10. გიჭირთ თუ არა ალკოჰოლისაგან თავის შეკავება?
11. გქონიათ თუ არა უსიამოვნება შინ ან სამსახურში ალკოჰოლის გამო?
12. მოხვედრილხართ თუ არა გამოსაფხიზლებელში?
13. დაგვიწყებიათ თუ არა გასული საღამოს აძებიდან ბევრი რამ დალევის შემდეგ?
14. ხდება თუ არა, რომ უზმოზე სვამთ გუნების გამოკეთების მიზნით?

პასუხების შესაბამისი ქულები ქალებისათვის

კითხვები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
არა	0	0	0	0	0	0	0	0	8	0	0	0	0	0
დიახ	5	5	7	1	2	8	5	8	0	5	10	5	7	5

პასუხების შესაბამისი ქულები მამაკაცებისათვის

კითხვები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
არა	0	0	0	0	0	0	0	0	5	0	0	0	0	0
დიახ	2	3	6	7	1	6	3	5	0	6	2	10	1	7

მამაკაცებისათვის: ნულოვანი – მეორე დონე 0-20 ქულა; მესამე-მეოთხე დონე 21-58 ქულა, ვინც აგროვებს 20 ქულაზე მეტს, საჭიროებს ყურადღებას და სათანადო კონსულტაციებს ნარკოლოგთან (განსაკუთრებით 30 ქულაზე ზევით).

ქალებისათვის: ნულოვანი-მეორე დონე 0-15 ქულა; მესამე-მეოთხე დონე 16-78 ქულა. ყურადღებას საჭიროებს პიროვნება, რომელიც 15 ქულას გადააჭარბებს. პირველ რიგში კი ის, ვინც 35 ქულაზე მეტს დააგროვებს.

პიროვნების მიმართულობა

ყოველ პიროვნებას ახასიათებს მიმართულობა, რომელიც წარმოადგენს ქცევის მოტივთა სისტემას. იგი ორიენტაციას აძლევს პიროვნების ქცევას. მოტივთა ამ სისტემას წარმოშობს ინტერესები, იდეალები, გემოვნება, რწმენები და ა.შ., რომლებშიც ადამიანის მოთხოვნილებებია გამოვლენილი. მიმართულობაში გამოიხატება ადამიანის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, მისი დისპოზიციები, განწყობები. პიროვნების მიმართულება ვლინდება მის ღირებულებით ორიენტაციაში, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანის მიერ სინამდვილის შეფასების და ამ სინამდვილეში მისი ორიენტაციის საფუძველია. ღირებული ორიენტაციის მეშვეობით ადამიანი ახდენს მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი საგნებისა და მოვლენების დიფერენციაციას.

ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მიმართულობისა და ღირებულებითი ორიენტაციის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მათი ცოდნა საშუალებას მოგვცემს, უკეთ შევისწავლოთ პიროვნება და განვსაზღვროთ მისი ქცევები ამა თუ იმ სიტუაციაში.

პიროვნების ღირებულებით ორიენტაციას ქმნის ტერმინალური (ღირებულება-მიზანი) და ინსტრუმენტალური (ღირებულება-საშუალება) ღირებულებები. ისინი ყოველ პიროვნებაში განუმეორებელი, უნიკალურია და გამოხატავს იმ მთავარს, რისკენაც ისწრაფვის ადამიანი, რისი მიღწევაც სურს მას. გარდა ამისა, ამ ორიენტაციაში გამოიხატება მიზნის მისაღწევი საშუალებები.

ქვემოთ მოყვანილი მეთოდიკით შეგიძლიათ იკვლიოთ პიროვნების ღირებულებითი ორიენტაცია.

ღირებულებების სია

ა) ტერმინალური ღირებულებები (ღირებულება – მიზანი)

1. აქტიური, ქმედითი ცხოვრება.
2. ცხოვრებისეული სიბრძნე.
3. ჯანმრთელობა (ფიზიკური, ფსიქიკური).
4. საინტერესო სამუშაო.
5. ბუნების და ხელოვნების მნიშვნელობა (მშვენიერების განცდა ბუნებასა და ხელოვნებაში).
6. სიყვარული (საყვარელ ადამიანთან სულიერი და ფიზიკური სიახლოვე).
7. მატერიალურად უზრუნველი ცხოვრება (მატერიალური პრობლემების უქონლობა).
8. კარგი და ერთგული ამხანაგები.
9. ქვეყნის შიგნით არსებული კარგი მდგომარეობა (როგორც საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობის პირობა).
10. საზოგადოებრივი აღიარება (გარშემომყოფთა, კოლექტივისა და ამხანაგების მხრიდან პატივისცემა).
11. შექმნება (ინტელექტუალური განვითარების, განათლების, თვალსაწიერის გაფართოების, ზოგადი კულტურის ამაღლების შესაძლებლობა).
12. თანასწორუფლებიანობა (ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობები).
13. დამოუკიდებლობა (მსჯელობებსა და შეფასებაში).
14. თავისუფლება, დამოუკიდებლობა მოქმედებასა და ქცევაში.
15. ბედნიერი ოჯახური ცხოვრება.
16. შემოქმედება (შემოქმედებითი აქტივობის შესაძლებლობა).
17. საკუთარ თავში დარწმუნებულობა (თავისუფლება შინაგანი წინააღმდეგობებისაგან, ეჭვებისაგან).
18. სიამოვნებანი (სიამოვნებები, გართობები, დროსტარებით სავსე ცხოვრება).

ბ) ინსტრუმენტალური ღირებულებანი

(ღირებულება-საშუალება)

1. აკურატულობა (სისუფთავე, წესრიგი საქმიანობაში, ნივთთა მოწესრიგება).
2. აღზრდილობა (კარგი მანერები, თავაზიანობა).

3. მაღალი მოთხოვნილებები (მაღალი პრეტენზიის დონე).
4. ცხოვრების ხალისი (იუმორის გრძობა).
5. შემსრულებლობა (დისციპლინიანობა).
6. დამოუკიდებლობა (დამოუკიდებლად, უყოყმანოდ მოქმედების უნარი).
7. შეურიგებლობა საკუთარი და სხვისი ნაკლოვანებებისადმი.
8. განათლება (ფართო ცოდნა, მაღალი კულტურა).
9. პასუხისმგებლობა (მოვალეობის გრძობა, პირიანობა).
10. რაციონალიზმი (ლოგიკური აზროვნების და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი).
11. თვითკონტროლი (თავშეკავებულობა, თვითდისციპლინა).
12. გაბედულება საკუთარი აზრებისა და შეხედულებების დაცვაში.
13. მტკიცე ნებისყოფა (საკუთარი აზრის დაცვის, სიძნელების გადალახვის უნარი).
14. მომთმენობა სხვათა აზრების და შეხედულებების მიმართ, (მიტევების უნარი).
15. ფართო შეხედულებანი (სხვისი თვალსაზრისის გაგების, სხვისი გემოვნების, ჩვევებისა და ჩვეულებების პატივისცემის უნარი).
16. კეთილსინდისიერება (სიძარბოს მოწყობა, გულწრფელობა).
17. ეფექტურობა საქმიანობაში (შრომის მოყვარეობა, პროდუქტიულობა).
18. გულისხმიერება (მზრუნველობა).

ნიმუშად გამოიყენეთ ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი და ღირებულებანი დააჯგუფეთ რანგების მიხედვით (პირველი რანგი მნიშვნელოვან თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს, მეორე – ნაკლებად მნიშვნელოვანს და ა.შ.).

ღირებულებების რანგი	1	2	3	4	5	6
ტერმინალურ ღირებულებათა რანგი	1	2	3-4	5-8	9-16	17-18
ინსტრუმენტალურ ღირებულებათა რანგი	1	2	3-4	5-10	11-16	17-18

თვითშეფასება არის საკუთარი თავის, შესაძლებლობების, თვისებების, უნარებისა და სხვა ადამიანებს შორის ადგილის შეფასება. იგი პიროვნების ერთ-ერთი ფსიქიკური თავისებურებაა, რომელიც განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას გარემოსთან და სხვა ადამიანებთან, მის კრიტიკულობას და მოთხოვნილებას საკუთარი თავისადმი, წარმატებისა და მარცხის მიმართ პიროვნების დამოკიდებულებას.

თვითშეფასება სხვადასხვა ფაქტორით განისაზღვრება და გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$\text{თვითშეფასება} = \frac{\text{წარმატება}}{\text{პრეტენზიის დონე}}$$

ამ მარტივი სქემიდან ჩანს, რომ თვითშეფასება ორი გზით შეიძლება ავამაღლოთ წარმატებათა გაზრდით ან წარუმატებლობის და მარცხის შემცირებით. ყოველ პიროვნებას თვითშეფასების გარკვეული დონე ახასიათებს, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ტესტ-კითხვარით. ეს კითხვარი შედგება 32 კითხვა-მსჯელობისაგან, რომლებზეც შეიძლება გავცეთ ხუთნაირი პასუხი. თითოეულ პასუხს ქულების გარკვეული რაოდენობა შეესაბამება: ძალიან ხშირად – 4 ქულა; ხშირად – 3 ქულა; ზოგჯერ – 2 ქულა; იშვიათად – 1 ქულა; არასოდეს – 0 ქულა.

1. მე მსურს, რომ ჩემი მეგობრები მამხნევებდნენ.
2. ყოველთვის ვგრძნობ პასუხისმგებლობას სამუშაოს მიმართ.
3. მე ვწუხვარ ჩემ მომავალზე.
4. მე ბერს ვეჯავრები.
5. მე ნაკლებ ინიციატივიანი ვარ.
6. მე მაწუხებს ჩემი ფსიქიკური მდგომარეობა.
7. მე მეშინია სულელად არ გამოვიყურებოდე.
8. სხვები უკეთესად გამოიყურებიან ვიდრე მე.
9. მე მეშინია უცხო ადამიანების წინაშე მოხსენებით გამოსვლა.
10. მე ხშირად ვუშვებ შეცდომებს.
11. რა სამწუხაროა, რომ არ ვიცი ადამიანებთან ლაპარაკი ისე, როგორც ეს საჭიროა.
12. რა სამწუხაროა, რომ მაკლია საკუთარ თავში დარწმუნებულობა.

13. ვისურვებდი, რომ ჩემ ქცევას უფრო ხშირად ამართლებდნენ.
 14. მე ძალიან მორიდებული ვარ.
 15. ჩემი სიცოცხლე უსარგებლოა.
 16. ბევრი ჩემს შესახებ არასწორი წარმოდგენისაა.
 17. ჩემს აზრებს ვერავის ვერ ვუზიანებ.
 18. აღამიანები ჩემგან ბევრს მოითხოვენ.
 19. აღამიანებს მაინცდამაინც არ აინტერესებთ ჩემი მიღწევები.
 20. მე ცოტა უხერხულობას ვგრძნობ ხოლმე.
 21. მე ვგრძნობ, რომ ბევრს ჩემი არ ესმის.
 22. მე არ ვგრძნობ თავს უსაფრთხოდ.
 23. მე ხშირად ტყუილუბრალოდ ვღელავ.
 24. მე თავს უხერხულად ვგრძნობ, როცა შევედივარ ოთახში სადაც ხალხია.
 25. მე ვგრძნობ შებოჭილობას.
 26. მე ვგრძნობ, რომ ზურგს უკან ჩემზე ლაპარაკობენ.
 27. მე დარწმუნებული ვარ, რომ აღამიანებს უფრო ადვილად (?)
 28. მე მგონია, რომ რაღაც უსიამოვნება უნდა შემემთხვას.
 29. მე მალეღვებს იმაზე ფიქრი, თუ როგორ მეკიდებიან აღამიანები.
 30. რა სამწუხაროა, რომ მე არ ვარ კონტაქტური (არ მიყვარს აღამიანებთან ურთიერთობა).
 31. კამათის დროს ჩემს აზრს მხოლოდ მაშინ გამოვთქვავ, როცა მის სისწორეში დარწმუნებული ვარ.
 32. მე ვფიქრობ იმაზე, თუ რას მოელის ჩემგან საზოგადოება. თვითშეფასების დონის დასადგენად საჭიროა შეჯამდეს ქულები.
- 0-დან 25 ქულამდე – შედეგი მიუთითებს თვითშეფასების მაღალ დონეზე, რომლის დროსაც აღამიანი სიტუაციაში ადეკვატურად რეაგირებს, არ აწუხებს „არასრულფასოვნების კომპლექსი“, არის თვითდარწმუნებული და ემოციურად გაწონასწორებული.
- 26-დან 45 ქულამდე – მიუთითებს თვითშეფასების საშუალო დონეზე, რომლის დროსაც აღამიანს იშვიათად აწუხებს არასრულფასოვნების კომპლექსი. ასეთი აღამიანი მხოლოდ დროდადრო ცდილობს აყვეს სხვების აზრსა და ქცევას.
- 46-დან 128 ქულამდე – მიუთითებს თვითშეფასების დაბალ დონეზე, რაც თავის მხრივ, ნიშნავს, რომ იგი მტკივნეულად იტანს კრიტიკულ შენიშვნებს, ყოველთვის ცდილობს სხვის აზრს გაუწიოს

ანგარიში და ხშირად აწუხებს „არასრულფასოვნების კომპლექსი“, რომელიც არის ნევროტული გადახრების გამომწვევი ფსიქოპათოლოგიური ნიშნების ერთობლიობა. თვითშეფასების დაბალი დონის დროს ადამიანი არაადეკვატურად რეაგირებს გარემოს ზემოქმედებაზე, ემოციურად არამდგრადია და ნევროტული.

რამდენად შრომისმოყვარე ხართ

გადაიკითხეთ ქვემოთ მოცემული 20 კითხვა და პასუხი შეაფასეთ ხუთბალიანი სისტემით. თუ კითხვაში გამოხატული თავისებურება არ გახასიათებთ, ჩაიწერეთ 0 ქულა, თუ ოდნავ გახასიათებთ – 1 ქულა, საშუალოდ – 3 ქულა და ა.შ.

1. ვალწევ წარმატებებს სწავლაში
2. ვალწევ წარმატებებს შრომაში
3. სისტემატურად შევასრულებდი სამუშაოს, რომელიც მოითხოვს ფიზიკურ ძალისხმევას
4. მიყვარს ლექციებზე აქტიურობა
5. მიყვარს ფიზიკური შრომა
6. მიყვარს სწავლა და წიგნების კითხვა
7. სისტემატურად ვასრულებ დავალებებს (ჩემს მოვალეობას)
8. მახასიათებს აკურატულობა შრომაში
9. ვცდილობ დავალება დროზე შევასრულო
10. შეგნებული მაქვს სწავლის აუცილებლობა
11. შეგნებული მაქვს შრომის აუცილებლობა
12. მწყინს წარუმატებლობა სწავლაში
13. მწყინს წარუმატებლობა შრომაში
14. ვცდილობ სემინარისათვის ყოველთვის მზად ვიყო
15. მაქვს სწავლის მოთხოვნილება
16. მაქვს ფიზიკური შრომის მოთხოვნილება
17. შემიძლია სწავლაში წინააღმდეგობის დაძლევა
18. შემიძლია შრომაში წინააღმდეგობის დაძლევა
19. მიყვარს დროის დაგეგმვა
20. შემიძლია მივალწიო, რაც მიზნად დავისახე

ქულათა შესაძლო მაქსიმუმი 100-ის ტოლია. შეაჯამეთ თქვენ მიერ

მიწერილი ქულები. მიღებული შედეგი გამოხატავს შრომისმოყვარეობის ხარისხს. რაც ახლოსა იგი 100-თან, მით მაღალია ეს ხარისხი.

პიროვნებათა შორის ურთიერთობა

პიროვნებათა შორის ურთიერთობა იურისტის პროფესიული საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. ამ ურთიერთობების დროს ადამიანების ფსიქიკურ ურთიერთქმედებას აქვს ადგილი. ურთიერთქმედების საფუძველს წარმოადგენს ინფორმაციული პროცესები. თითოეული მხარე ინფორმაციის მიმღებიცაა და ინფორმაციის წყაროც. ამასთან ერთად სრულიად სხვადასხვაგვარი ინფორმაცია გამოიყენება: სიტყვიერ-მეტყველებითი, ინტონაციური, ჟესტი, მიმიკა, პანტომიმიკა (პოზა), გარეგნობა, ემოციურ-სიტუაციური რეაქციები.

ურთიერთობისას აღმოცენდება პიროვნული ურთიერთაქმის ფსიქოლოგიური ფენომენი:

იდენტიფიკაცია – თანამოსაუბრის გაგება და ინტერპრეტაცია საკუთარი თავის მასთან გაიგივების გზით.

სოციალურ-ფსიქოლოგიური რეფლექსია – აღქმული პიროვნების ინტერპრეტაცია მის მაგივრად აზროვნების მეშვეობით.

ემპათია – აღქმული ადამიანის (თანამოსაუბრის) გაგება მისი განცდების თანაზიარობის, ემოციური შთაგრძნობის მეშვეობით.

სტერეოტიპიზაცია – აღქმული პიროვნების შეფასება, მასზე გარკვეული სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი თვისებების გადატანის შედეგად.

პიროვნულ ურთიერთობას გამოძიების პროცესში ახასიათებს თვითკონტროლის გაძლიერება, გარკვეული ფსიქიკური დაძაბულობა, რიგ შემთხვევაში მომატებული შფოთვა და რეფლექსური აზროვნების გააქტივება. მხარეები თავიანთი ქცევების კორექციას ახდენენ უკუკავშირის საფუძველზე, ხშირად იცვლება მათი ფსიქიკური მდგომარეობები.

ადამიანთა ურთიერთობის დაწყება (ურთიერთობაში შესვლა), პირველადი კომუნიკაციური კონტაქტის დამყარება, მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ ადამიანთან ურთიერთობებს. კომუნიკაციური კონტაქტის დამყარება რთული ფსიქოლოგიური ამოცანაა, განსაკუთრებით საგამომძიებლო საქმიანობისას. იურისტის პროფესიული თვისებაა საკუთარი უარყოფითი ემოციური მდგომარეობების (მოსაუბ-

რისადმი უარყოფითი განწყობის) დაძლევის უნარი. კომუნიკაციურ კონტაქტს არღვევს, აგრეთვე, პრიმიტიულობა, ვულგარულობა, პროფესიული არაკომპეტენტურობა, უხეშობა და ფსიქოლოგიური ზეწოლა.

ადამიანთა ურთიერთობაში კომუნიკაციას (ენის საშუალებით აზრების გადაცემას) წამყვანი ადვილად უჭირავს. საგამომძიებლო საქმის წარმოებისას ამ პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თუ როგორ წარიმართება კომუნიკაციის პროცესი და რამდენად მოუტანს იგი წარმატებას მასში მონაწილე პიროვნებებს, მთელ რიგ პირობებზეა დამოკიდებული, რომელთა ცოდნა ხელს შეგიწყობთ მოსაუბრესთან უკეთესი ფსიქიკური ურთიერთობის დამყარებასა და მიზნის მიღწევაში.

1. კომუნიკაციის მიზნის გაცნობიერების ხარისხი. კომუნიკაცია მნიშვნელოვნად ადვილდება მაშინ, როცა მოსაუბრე მხარეებს გაცნობიერებული აქვთ მისი აუცილებლობა, აქვთ სურვილი დაელაპარაკონ ერთმანეთს და შეგნებული აქვთ ისიც, თუ რა „მოგებას“ მოუტანთ მათ ეს საუბარი. ამიტომ საგამომძიებლო საქმის წარმოებისას დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად აუუხსნათ თანამოსაუბრეს საუბრის მიზანი, ალვძრათ მისი ინტერესი კომუნიკაციისადმი.

2. ბიროვნების კომუნიკაციური თვისებები შეიძლება დავეყოთ ორ – გარეგან და შინაგან ჯგუფად. გარეგან თვისებებს მიეკუთვნება: ჩაცმის სტილი, პიროვნების ფიზიკური მონაცემები, ქცევის მანერა, ე.ი. ის, რაც აღძრავს ინტერესს და აადვილებს ურთიერთობის დაწყებას. შინაგანი თვისებები ქმნის მთელ კომპლექსს – მსოფლმხედველობას, ადამიანთან ურთიერთობისადმი დამოკიდებულებას, კეთილგანწყობას ურთიერთობისას, სხვისი დახმარების სურვილს და ა.შ.

ყოველ პიროვნებას აქვს რაღაც კომუნიკაციური თვისებები, რომლებიც აადვილებს, ან პირიქით, აძნელებს კომუნიკაციის პროცესს და ადამიანთა ურთიერთობას, მაგალითად, თავაზიანობა, კეთილგანწყობა, მოსმენის უნარი – ეს ისეთი თვისებებია, რომლებიც კომუნიკაციას აადვილებს. პირქუშობა, საკუთარი აზრების გადმოცემის უუნარობა, მიმიკისა და პანტომიმიკის სიღარიბე – უარყოფითი კომუნიკაციური თვისებებისა.

3. გადასაცემა ინფორმაციის ხარისხი. თუ ინფორმაცია მხოლოდ სპეციალისტმა შეიძლება აღიქვას, მაშინ იგი სხვა პირებს არ უნდა გადაეცეს. ინფორმაციის აღქმა დამოკიდებულია მისი გადაცემის

11. თქვენ საშინლად არ გიყვართ გრძელი რიგები, სადაც არ უნდა იყოს იგი (მაღაზიაში, ბიბლიოთეკაში, კაფეში და ა.შ.). გირჩევენიათ თუ არა, უარი თქვათ საკუთარ განზრახვაზე, ვიდრე ჩადგეთ რიგში და მოლოდინით დაიტანჯოთ?
12. გეშინიათ თუ არა, მიიღოთ მონაწილეობა კომისიაში, რომელიც განიხილავს კონფლიქტურ სიტუაციებს?
13. გაქვთ თუ არა საკუთარი, ინდივიდუალური კრიტიკიკები ლიტერატურის, ხელოვნების და კულტურის ნიმუშების შეფასებისათვის და არავითარ „უცხო“ აზრებს არ ღებულობთ?
14. სადღაც კულუარებში, თქვენთვის ცნობილ საკითხებთან დაკავშირებით, აშკარად მცდარ თვალსაზრისს რომ ყური მოჰკრათ, არჩევთ თუ არა გაჩუმებას?
15. გწყინთ თუ არა თხოვნა, დაეხმაროთ ვინმეს რთული საკითხის გარკვევაში?
16. სიამოვნებით გადმოსცემთ თუ არა თქვენს თვალსაზრისს (შეფასებას, შეხედულებას) წერილობითი ფორმით, ვიდრე ზეპირად?

პასუხი „ღიახ“ – 2 ქულა; „ზოგჯერ“ – 1 ქულა; „არა“ – 0 ქულა.

შედეგების ინტერპრეტაცია: 30-32 ქულა – თქვენ აშკარად არაკომუნიკაბელური ხართ და ეს თქვენი თავსატეხია. ძალიან უჭირთ თქვენს ახლობლებსაც! ჯგუფური საქმიანობა ძალიან გიჭირთ. შეეცადეთ გახდეთ კომუნიკაბელური. ამ თვალსაზრისით აკონტროლეთ საკუთარი თავი.

25-29 ქულა – თქვენ ხართ ჩაკეტილი, ნაკლებ მოლაპარაკე ადამიანი. გირჩევენიათ მარტოობა, ამიტომ ცოტა მეგობრები გყავთ. ახალ სამუშაოს და ახალ-ახალ კონტაქტებს წონასწორობიდან გამოყავხართ. იცით თქვენი თავისებურება და უკმაყოფილო ხართ საკუთარი თავით. მაგრამ მარტო ამას ნუ დასჯერდებით. შეგიძლიათ შეცვალოთ საკუთარი ხასიათი. ხომ ხდება ზოგჯერ, რომ ძლიერი გატაცებისას ან დაინტერესებისას, თითქოს, უცებ კომუნიკაბელური ხდებით? ხშირად შეუძახეთ საკუთარ თავს და გამოფხიზლდით!

19-24 ქულა – თქვენ გარკვეულ წილად გიყვართ ადამიანებთან ურთიერთობა და ნაცნობ ვითარებაში თვითღარწმუნებული ხართ. არ გაშინებთ ახალი პრობლემები, მაგრამ უცხო ადამიანებთან ცოტა ფრთხილობთ. კამათსა და დისპუტებში მონაწილეობა არ გიყვართ.

თქვენი გამონათქვამები ხშირად, სრულიად უსაფუძვლოდ, სარკაზმით საესეა. შეეცადეთ ამ ნაკლის გამოსწორებას.

14-18 ქულა – თქვენ კომუნიკაბელური ხართ ნორმის ფარგლებში. ცნობისმოყვარე ხართ. სიამოვნებით უსმენთ საინტერესო მოსაუბრეს, იცავთ საკუთარ თვალსაზრისს გაწინააღმდეგების გარეშე. უსიამოვნო განცდების გარეშე ამყარებთ ურთიერთობას ახალ ადამიანებთან. ამასთან ერთად, არ გიყვართ ხმაურიანი კომპანიები. ექსტრავაგანტური გამოსტომები და ზედმეტი ლაპარაკი გალიზიანებთ.

9-13 ქულა – ფრიად კომუნიკაბელური ბრძანდებით (ზოგჯერ მეტიმეტად). ცნობისმოყვარე ხართ, გიყვართ ლაპარაკი და სხვადასხვა საკითხებზე საკუთარი აზრის გამოთქმა. გიყვართ ნაცნობობის გაბმა, თხოვნაზე უარს არავის ეტყვიით, თუმცა, ყოველთვის როდი შეასრულებთ მას. ზოგჯერ ფიცხიც ხართ, მაგრამ მალე მშვიდდებით. თქვენი ნაკლია ის, რომ სერიოზული პრობლემების დროს მოთმინება და თავდადება გაკლიათ, თუმცა, თუ მოისურვებთ რაიმეს, უკან არ დაიხევთ.

4-8 ქულა – მეტიმეტად კომუნიკაბელური ხართ. ყოველთვის ყველა საქმის კურსში ხართ. გიყვართ დისკუსიებში მონაწილეობა, თუმცა სერიოზული თემები ცოტა გაფრთხობთ. გიყვართ ამა თუ იმ საკითხზე ლაპარაკი მაშინაც კი, როცა ამ საკითხში მხოლოდ ზედაპირულად ერკვევით. თავს ყველგან კარგად გრძნობთ. ნებისმიერ საქმეს მოჰკიდებთ ხელს, თუმცა შეიძლება ბოლომდე ყველა ვერც მიიყვანოთ. სწორედ ამის გამო, ზოგჯერ თქვენში ეჭვიც შეაქვთ. დაფიქრდით ამ ფაქტზე!

ახლა, ქვემოთ წარმოდგენილი ტესტით შეამოწმეთ, შეგიძლიათ თუ არა, საუბრისას გააკონტროლოთ საკუთარი თავი. თვითკონტროლი ხომ თქვენი პროფესიის ადამიანისათვის ფრიად საჭირო თვისებაა.

დასმულ კითხვაზე მხოლოდ ორი პასუხია შესაძლებელი – „დიახ“ და „არა“.

1. მე სხვა ადამიანების მიბაძვა ძნელ საქმედ მეჩვენება.
2. მე შევძლებდი, საჭიროების შემთხვევაში რაღაც სისულელე ჩამედინა, რათა მიმეპყრო ყურადღება ან გამეერთო გარშემო მყოფნი.

3. ჩემგან კარგი მსახიობი დადგებოდა.
4. ზოგჯერ ადამიანებს ჰგონიათ, რომ მე უფრო ღრმად განვიცდი რაიმეს, ვიდრე ეს სინამდვილეშია.
5. კომპანიაში მე იშვიათად ვარ ყურადღების ცენტრში.
6. სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, მე ხშირად სრულიად სხვადასხვაგვარად ვიქცევი.
7. მე მხოლოდ იმ აზრის დაცვა შემიძლია, რაშიც დარწმუნებული ვარ.
8. საქმეებსა და ადამიანებთან ურთიერთობაში, მე ხშირად სრულიად სხვადასხვაგვარად ვიქცევი.
9. შემიძლია მეგობრული ვიყო ადამიანებთან, რომლებსაც ვერ ვიტან.
10. მე ყოველთვის ისეთი ვარ, როგორც ვჩანვარ.

პასუხისათვის „არა“, დაიწერეთ 1 ქულა კითხვებზე 1, 5, 7 და, ასევე, 1 ქულა ყველა დანარჩენ ნომრებზე პასუხისათვის – „დიახ“.

შეკრიბეთ ქულები და თუ თქვენ გულწრფელი იყავით, მაშინ –

0-3 ქულა – თქვენ დაბალი კომუნიკაციური კონტროლი გაქვთ და არც ცდილობთ მის შეცვლას სიტუაციის ცვლილებებთან დაკავშირებით. ურთიერთობაში ხართ გულღია. თქვენი პირდაპირობის გამო, ზოგი „უხერხულ“ ადამიანად გთვლით.

4-6 ქულა – თქვენ გაქვთ საშუალო კომუნიკაციური კონტროლი. ხართ გულწრფელი, მაგრამ თავშეკავებული. ზოგჯერ ანგარიში უნდა გაუწიოთ გარშემოყოფთ.

7-10 ქულა – თქვენ ძლიერი კომუნიკაციური კონტროლი გაქვთ. ადვილად შედიხართ ნებისმიერ როლში, კარგად რეაგირებთ ცვალებად სიტუაციაზე და შეგიძლიათ წინასწარ განჭვრიტოთ, თუ რა ეფექტს მოაზღვრავთ.

თუ თქვენი შედეგებით არ ხართ კმაყოფილი, წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილი სავარჯიშოებით შეგიძლიათ გაიუმჯობესოთ ეს უნარი.

აღქმული ადამიანის გაგება მისი განცდების თანაზიარობის, ემოციური შთაგრძნობის მეოხებით, ანუ ემპათია, იურისტის პროფესიისათვის გამოსადეგი თვისებაა. წარმოდგენილი ტესტი დაგეხმარებათ იკვლიოთ ეს უნარი.

გაზომეთ ემათიური ტენდენცია

1. სედას მგერის ჯგუფში ეული კაცის ხილვა.
2. ადამიანები აზვიადებენ ცხოველთა მგრძნობიარობას.
3. მალიზიანებს ადამიანთა გრძნობების საჯარო გამოფენა.
4. მალიზიანებს უილბლო ადამიანი, რომელსაც თავი ეცოდება.
5. სხვების ნერვიულობა მეც ამიყოლიებს.
6. ბედნიერებისაგან ტირილი სისულელედ მიმაჩნია.
7. მეგობრის პრობლემებში, ჩვეულებრივ, ემოციურად ვერთვები.
8. ლირიული სიმღერა ზოგჯერ ძალიან მალეღვებს.
9. აღეღვებისაგან თავს ვერ ვიკავებ, როდესაც ვინმესთვის ცული ამბავი მიმაქვს.
10. ირგვლივ მყოფი ადამიანები ღიდ ზეგავლენას ახდენენ ჩემ სიტყვებზე.
11. უცხოელთა უმრავლესობა, რომელთაც შევხვედრივარ, ცივი და არაემოციური მეჩვენა.
12. ვამჯობინებ ვიმუშაო ადამიანებთან, ვიდრე წიგნებთან ან ხელსაწყობებთან მქონდეს საქმე.
13. მეგობრის ცულ ხასიათზე ყოფნა, ჩემს გუნება-განწყობაზე გავლენას ახდენს.
14. მსიამოვნებს საჩუქრის გახსნის პროცესის ყურება.
15. მარტოხელა ადამიანები, ეფიქრობ, მეგობრულნი არიან.
16. მტირალი ადამიანის ყურება ცულ ხასიათზე მაყენებს.
17. ზოგი სიმღერა ბედნიერებას მანიჭებს.
18. კითხვისას, რომანის გმირების გრძნობებში მე ჭეშმარიტად ვერთვები.
19. ძალიან ვბრაზდები, როდესაც ვხედავ, რომ ვინმეს ცულად ეპყრობიან.
20. შემიძლია შევინარჩუნო სიმშვიდე მაშინაც კი, როდესაც ჩემ გარშემო სხვები ღელავენ.
21. როდესაც მეგობარი იწყებს თავის პრობლემებზე საუბარს, კცდილობ თემა შევცვალო.
22. სხვისი სიცილი მე ვერ ამიყოლიებს.
23. კინოთეატრში სხვების ტირილი და სლუკუნი, ზოგჯერ, მართობს.
24. შემიძლია გადაწყვეტილება მივიღო ისე, რომ სხვების გრძნობებს ანგარიში არ გავუწიო.

25. რაგინდ კარგ ხასიათზე ვიყო, ხასიათს მიფუჭებს დაღონებული ადამიანის ყურება.
26. მიმძიმს იმის დანახვა, რომ ადამიანები რაღაცის გამო წონასწორობას კარგავენ.
27. ძალზე ცუდ ხასიათზე ვდგები, როცა ცხოველს რამე სტკივა.
28. წიგნებსა და ფილმებში გადაჭარბებული ჩართვა სისულელედ მიმაჩნია.
29. უსუსური მოხუცის დანახვა ჩემში გაღიზიანებას უფრო იწვევს, ვიდრე თანაგრძნობას.
30. სხვისი ცრემლის დანახვა ჩემში გაღიზიანებას უფრო იწვევს, ვიდრე თანაგრძნობას.
31. ყურებისას ფილმში ზომაზე უფრო მეტად ვერთვები.
32. ირგვლივ მყოფთა აგზნების მიუხედავად, ხშირად აუღელვებელი დავრჩენილვარ.
33. ზოგჯერ პატარა ბავშვები უმიზეზოდ ტირიან.

ემპათიური ტენდენციის საზომის ბასაღები

1. კი	12. კი	23. არა
2. არა	13. არა	24. არა
3. არა	14. კი	25. კი
4. არა	15. არა	26. არა
5. კი	16. კი	27. კი
6. არა	17. კი	28. არა
7. კი	18. კი	29. კი
8. კი	19. კი	30. არა
9. კი	20. არა	31. კი
10. კი	21. არა	32. არა
11. არა	22. არა	33. არა

რაც მეტია დამთხვევათა რიცხვი, მეტია ემპათიური ტენდენცია.

კონფლიქტი

ადამიანთა ურთიერთობის განხორციელების ფორმებია: შეჯიბრი, თანამშრომლობა და კონფლიქტი. იურისტის პროფესიული თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კონფლიქტი. კონფლიქტი არის ძნელად გადასაჭრელი წინააღმდეგობა, რომელსაც

თან ახლავს მწვავე ემოციური განცდები. არჩევენ მის რამდენიმე სახეს: კონფლიქტი პიროვნებაში, პიროვნებათაშორისი კონფლიქტი და სოციალურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი. საქმის გამოძიებისას შექმნილ სიტუაციას, როცა ადგილი აქვს საწინააღმდეგო ქმედებას, ხშირად განიხილავენ როგორც კონფლიქტს პიროვნებათა შორის. მართალია ეს კონფლიქტები დროებით ხასიათ ატარებს, მაგრამ გამოძიებული ყოველთვის უნდა შეეცადოს მის დაძლევას. კონფლიქტი საგამომძიებლო საქმეში ხანგრძლივ სახეს ლებულობს გამოძიებლის დაბალი კვალიფიკაციის, დაბალი პროფესიონალიზმის შემთხვევაში. ადამიანები მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ურთიერთობაში კონფლიქტისადმი მიდრეკილებით. ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ, შეამოწმოთ თქვენი თავი ამ თვალსაზრისით:

1. საზოგადოებრივ ტრანსპორტში კამათისას რა რეაქცია გექნებათ?
 - ა) მონაწილეობას არ მიიღებთ კამათში – 4 ქულა.
 - ბ) მოკლედ გამოვთქვამთ მოსაზრებას – 2 ქულა.
 - გ) აქტიურად ჩავებმები კამათში – 0 ქულა.
2. თათბირზე ხელმძღვანელის გასაკრიტიკებლად გამოდიხართ?
 - ა) არა – 4 ქულა.
 - ბ) მხოლოდ მაშინ, თუ სერიოზული საფუძველი მაქვს – 2 ქულა.
 - გ) ყოველთვის ვაკრიტიკებ არა მხოლოდ ხელმძღვანელობას, არამედ ვინც მათ იცავს – 0 ქულა.
3. ხშირად კამათობთ მეგობრებთან?
 - ა) იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული ვარ, რომ არ ეწყინებათ – 4 ქულა.
 - ბ) მხოლოდ პრინციპულ საკითხებზე – 2 ქულა.
 - გ) კამათი ჩემი სტიქიაა – 0 ქულა.
4. როგორ მოიტყვევით, რიგში ვინმემ თქვენი გვერდის ავლა და გასწრება რომ გადაწყვიტოს?
 - ა) აღშფოთებულმა შეიძლება ჩხუბიც კი დავიწყო – 0 ქულა.
 - ბ) შენიშვნას მივცემ – 2 ქულა.
 - გ) რეაქცია არ მექნება. ყველა ერთნაირი ხომ არ არის? – 4 ქულა.
5. სახლში, სადილზე, უმარილო კერძის მირთმევისას რა რეაქცია გექნებათ?
 - ა) წვრილმანებს ყურადღებას არ ვაქცევ – 4 ქულა.

- ბ) შენიშვნას მივცემ – 2 ქულა.
- გ) არ არის გამორიცხული, რომ საჭმელზე დემონსტრაციულად ვთქვა უარი – 0 ქულა.
6. ქუჩაში ან ტრანსპორტში ფეხი რომ დაგადგან, როგორ მოიქცევი?
- ა) აღშფოთებული შევხედავ – 4 ქულა.
- ბ) შენიშვნას მივცემ – 2 ქულა.
- გ) მივმართავ საკადრის სიტყვებს – 0 ქულა.
7. თქვენმა ახლობელმა ისეთი რამ გაჩუქათ, რაც არ მოგწონთ. როგორ მოიქცევით?
- ა) არაფერს ვიტყვი – 4 ქულა.
- ბ) ტაქტიანად ვაგრძნობინებ, რომ ამისათვის არ ღირდა შეწუხება – 2 ქულა
- გ) შეიძლება სკანდალი მოვაწყო – 0 ქულა.
8. ლატარიაში არ გაგიმართლათ. რა რეაქცია გექნებათ?
- ა) შევეცდები გულგრილი ვიყო, მაგრამ მეორედ აღარ ვითამაშებ – 4 ქულა.
- ბ) არ დავმალავ წყენას და შევეცდები რევანში ავიღო – 2 ქულა.
- გ) წარუმატებლობა დიდი ხნით გამიფუჭებს გუნება-განწყობას – 0 ქულა.

22-23 ქულა: ტაქტიანი და მშვიდობიანი ბრძანდებით. ოსტატურად არიდებთ თავს კამათს და კონფლიქტს. გაურბინართ კრიტიკულ სიტუაციებს ოჯახში და სამსახურში. ცნობილი გამოთქმა – „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია“, არასდროს ყოფილა თქვენი პრინციპი. ამიტომ, ხანდახან, შემგუებელ ადამიანს გიწოდებენ.

12-20 ქულა: შესაძლოა კონფლიქტში მონაწილეობა მიიღოთ, მაგრამ, როგორც წესი, ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ყველა სხვა ხერხი და საშუალება ამოწურულია. მყარად იცავთ საკუთარ პოზიციებს, მიუხედავად იმისა რა ზეგავლენას მოახდენს ეს თქვენს მომავალზე. ამასთან, არასდროს გამოდიხართ კორექტულობის ფარგლებიდან.

10 ქულამდე: კონფლიქტი, კამათი თქვენი სტიქიაა, რომლის გარეშე ცხოვრება თქვენთვის წარმოუდგენელია. გიყვართ სხვისი გაკრიტიკება, მაგრამ საკმარისია ვინმემ თქვენს მიმართ მცირეოდენი შენიშვნა გამოთქვას, რომ შესაძლოა, „ცოცხლად შეჭამოთ“. თქვენი

კრიტიკა კრიტიკისთვისაა და არა საქმის გამოსასწორებლად. თქვენ-თან ურთიერთობა ძალიან ძნელია როგორც თანამშრომლებისათვის, ისე ოჯახის წევრებისათვის. თქვენი თავაშვებულობა და უხეშობა მეგობრებს და ახლობლებს გაკარგვინებთ. შეეცადეთ მოითოკოთ ფეთქებადი ხასიათი.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, კონფლიქტური ტიპი დაბალი ადაპტაციის უნარით გამოირჩევა, რაც ხელისშემშლელია იურისტის პროფესიული საქმიანობისათვის.

ასევე არახელსაყრელია ემპათიის და იდენტიფიკაციის დაბალი უნარი, რადგან იგი (დაბალი დონე) ხელს უშლის მეორე პიროვნების გაგებას და ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებას, რაც აუცილებელია დაკითხვის დროს.

გამომძიებლის ტიპები

საგამომძიებლო საქმე პროფესიონალთა სხვადასხვაგვარ ტიპებს წარმოშობს. შეიძლება გამოვყოთ და დავახასიათოთ შემდეგი ტიპები:

1. გამომძიებელი-შემოქმედი – ესაა მოაზროვნე-ფსიქოლოგი, ფანტაზიორი გამომძიებელი. ჭეშმარიტების ძიებაში შემოქმედი და მორალისტი თითქოსდა ერთიანდებიან და ჩაგრავენ მშვიდ გამომძიებელს. ასეთი გამომძიებლები ტალანტები არიან. შეუძლიათ ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვება, ყველას ანცვიფრებენ სწორი აღლოთი და შორს-მჭვრეტელობით. მაგრამ საკუთარი ფანტაზიის ტყვეობაში ხშირად ვარდებიან და ამის გამო მცდარი ვერსიის მტკიცებაში შეიძლება მიუტევებელი შეცდომებიც დაუშვან. ისინი ყოველდღიური ერთფეროვანი საქმისათვის უვარგისნი არიან და, ჩვეულებრივ, მათ საყვარელ საქმიანობას საიდუმლოებით მოცული დანაშაული წარმოადგენს.

2. გამომძიებელი-ინკვიზიტორი – მას ახასიათებს თავისი საქმით დიდი გატაცება, მაგრამ მიზნისაკენ ხშირად არასწორი გზით ისწრაფვის. მასში მკვეთრადაა გამოხატული ბრალმდებლის სახე. მის, ზოგჯერ მიუღებელ, საშუალებებს კეთილი და კანონიერი მიზნები ამართლებს.

3. გამომძიებელი-შეძებარი – იგი კიდევ უფრო დაბალ საფეხურს მიეკუთვნება. ეს არის უხეში ტიპი, რომელიც ხშირად, თავის ქცევებით, არ შეესაბამება მის პროცესუალურ მდგომარეობას.

4. გამომძიებელი-ფორმალისტი – იგი ზემოთ აღწერილი ტიპის

საწინააღმდეგოა. მის მიზანს შეადგენს შესაბამისი ფორმა მისცეს ყველაფერს, რაც გამოძიების სფეროში მოხვდება. მისი ქცევის მოტივები შეიძლება იყოს – პასუხისმგებლობის შიში, სიზარმაცე, გულგრილობა, გადაღლა, უინიციატივობა. ფორმალურად მისი ქცევები სწორია იმდენად, რამდენადაც დანაშაულის გახსნისათვის უსარგებლო.

5. ამ უკიდურესობებს შორის გამოიკვეთება იდეალური ტიპი, გამოძიებელი-მოსამართლე – იგი მოქმედებს ზომიერად და შეფასების დროს, სამართლებრივი ნორმების დაცვით, შეუპოვრად მიდის მიზნისაკენ სწორი გზით. სწორედ ასეთ ტიპს უნდა ესწრაფოდეს გამოძიებელი.

არსებობს ასეთი კლასიფიკაცია:

1. გამოძიებელი-ორგანიზატორი – ასეთი ტიპის პროფესიოგრამაში სჭარბობს ორგანიზატორის ნიშნები. იგი ცდილობს საკითხების უმეტესობა კოლექტიურად – კოლეგების, ოპერატიული მუშაკების, ექსპერტების და საზოგადოების მონაწილეობით გადაწყვიტოს.

2. გამოძიებელი-მოაზროვნე – მის პროფესიოგრამაში დომინირებს რეკონსტრუქციული თვისებები. მას უყვარს დიდი, რთული საქმეები, რომელთა გამოძიება ინტელექტს მოითხოვს. იგი, ჩვეულებრივ, მართო მუშაობს. არ უყვარს სხვების ხელმძღვანელობა და არც შეუძლია ეს. არ უყვარს წვრილმანი, მისი აზრით „არასაინტერესო“ საქმეები. ასეთ პიროვნებას უმჯობესია მიენდოს რთული და ჩახლართული საქმე, რომელიც მოითხოვს დიდ პროფესიულ დახელოვნებას და ინტელექტის დაძაბვას.

3. გამოძიებელი-თანამოსაუბრე – პროფესიოგრამაში დომინირებს კომუნიკაციური თვისებები. იგი ძალზე კონტაქტურია, ადვილად შედის ურთიერთობაში უცხო ადამიანებთან, მისი საყვარელი საგამომძიებლო საქმე არის დაკითხვა. უმჯობესია მიენდოს ისეთი საქმე, რომელიც მოითხოვს მრავალრიცხოვან დაკითხვას.

4. გამოძიებელი-მაძიებელი – მისთვის დამახასიათებელია სამძებრო თვისებები. მას ახასიათებს დამკვირვებლობა, მაღალი დონის ყურადღება, კარგი ორიენტაცია. საყვარელი საგამომძიებლო საქმიანობაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ასეთი პიროვნება უმჯობესია მონაწილეობდეს „ცხელ კვალზე“ გამოსაძიებელ საქმეში.

5. გამოძიებელი-სოციოლოგი – მის პროფესიოგრამაში დომინირებს სოციალური ასპექტი. ძალიან უყვარს დანაშაულის მიზეზების და პირობების შესწავლა, ამ საკითხებთან დაკავშირებული მასალების კვლევა, მათი განზოგადება. მონაწილეობას ღებულობს

სამართლებრივი ნორმების პროპაგანდაში, დანაშაულის პროფილაქტიკის საქმიანობაში. კარგი ურთიერთობა აქვს პრესასთან. უყვარს სტატიების გამოქვეყნება და ინტერვიუ.

პრიდეთ პროფესიულ დეფორმაციას

ყველა პროფესია რაღაც დაღს ასვამს პიროვნებას, ცვლის გარკვეული მიმართულებით. ამ ცვლილებას პროფესიულ დეფორმაციას უწოდებენ. გამონაკლისს არც სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკის პროფესია წარმოადგენს. იურისტის პროფესია პიროვნებაში ავითარებს ისეთ დადებით თვისებებს როგორცაა — ზნეობრიობა, ამტანობა, სიმშვიდე, წესრიგიანობა, ადამიანებთან კონტაქტის დამყარების უნარი, ფართო თვალსაწიერი. ამასთან ერთად შეიძლება განმტკიცდეს რიგი უარყოფითი თვისებებიც როგორცაა, მაგალითად, ადამიანების ბედის, მათი განცდებისა და ინტერესების მიმართ გულგრილობა, ზედმეტი ეჭვიანობა, უხეშობა, კარიერიზმი და ა.შ.

პროფესიულ დეფორმაციას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები როგორცაა — ბრალდებულებთან, ეჭვმიტანილებთან, ცრუმოწმებთან და დაზარალებულებთან სისტემატური ურთიერთობა; საქმიანობაში ძალაუფლებისა და იძულების ელემენტების არსებობა, ხშირი კონფლიქტური სიტუაციები და ა.შ.

პროფესიული დეფორმაციის ყველაზე თვალშისაცემი გამოვლინებაა — ზედმეტი ეჭვიანობა. ამ სფეროში მომუშავე ადამიანი კარგავს რწმენას, ეჭვი შეაქვს ყველაში. ყველაფერში ხედავს ბოროტ განზრახვას, ყველა ეჭვმიტანილში კი — დამნაშავეს. ზედმეტი ეჭვიანობა და წინასწარგანწყობა ხელს უწყობს საქმის ძიების ცალმხრივ წარმართვას, თვალშისაცემი ხდება მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებიც პიროვნების უარყოფით მხარეებს უსვამს ხაზს, ანდა მხოლოდ მამხილებელი ფაქტები შეირჩევა, ხოლო გამამართლებელი და ბრალის შემამსუბუქებელი იგნორირდება.

პროფესიული დეფორმაცია, ცხადია, არ წარმოადგენს იურიდიული საქმიანობის აუცილებელ ნიშანს. შესაძლებელია მისი თავიდან აცილებაც. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ორგანიზაციას, სხვა პროფესიის ადამიანებთან ურთიერთობას, თვითკრიტიკას და თვითდისციპლინას, თვითაღზრდას. თვითაღზრდა, ცხადია, მოითხოვს თვითდაკვირვებას, თვითკონტროლს და თვითანალიზს.

ნაწილი მეორე

ფსიქოლოგიური ტრენინგე

ამ ნაწილში წარმოდგენილი სავარჯიშოები დაგეხმარებათ განივითაროთ ლოგიკური აზროვნების უნარი, მეხსიერება, დამკვირვებლობა, კომუნიკაბელობა, ნებისყოფის სიმტკიცე და სხვა, იურისტისათვის აუცილებელი, პროფესიული თვისებები

სამარჯიშო კომუნიკაციური ორიენტაციის უნარის განვითარებისათვის

აირჩიეთ ტელეპროგრამაში ფილმი ან სპექტაკლი, რომელიც არ გინახავთ და რომლის შინაარსი არ იცით. სთხოვეთ მეგობარს ან ნათესავს ნახოს ეს გადაცემა. თქვენ კი უყურეთ ფილმს 5 წუთის განმავლობაში. შემდეგ გადით მეორე ოთახში და შეეცადეთ, რაც შეიძლება დაწვრილებით დაახასიათოთ ერთი ან ორი მოქმედი გმირი, რომელიც იხილეთ აღნიშნული დროის მანძილზე. დაახასიათეთ მათი დამოკიდებულებები და, შეძლებისდაგვარად, გამოიცანით მათი შემდგომი ბედი სიუჟეტის ფარგლებში. ფილმის დამთავრების შემდეგ შეადარეთ თქვენი შთაბეჭდილებები „კონტროლიორი“ მეგობრის აზრს. შეეცადეთ, მიუთითოთ არა მარტო ანკეტური მონაცემები, არამედ ყურადღება გაამახვილოთ რაც შეიძლება მეტ ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე (ინტელექტი, ემოციურობა, ნებელობითი თვისებები, ყურადღება და ა.შ.). თავდაპირველად ისეთი ფილმი აირჩიეთ, რომლებშიც მოქმედება მიმდინარეობს თქვენთვის ჩვეული კულტურის ფარგლებში (ქართული ფილმი), შემდგომში შეგიძლიათ სხვა ფილმებიც მოსინჯოთ. ასეთი ვარჯიში რამდენიმეჯერ გაიმეორეთ. როცა შეეჩვევით მოქმედი გმირების რაც შეიძლება ზუსტ და სრულყოფილ დახასიათებას, დრო შეამცირეთ სამ წუთამდე, შემდეგ კი ერთ წუთამდე.

კონტაქტის უნარის განვითარებალი ვარჯიში

1. თქვენ ვილაცას ესაუბრებით. თქვენი თანამოსაუბრე „კონტაქტის“ ლიდერია. ინიციატივა საუბარში მას აქვს, თქვენ კი პასიური მონაწილე ხართ. შიგადაშიგ ჩაურთეთ რეპლიკა, დროდადრო კვერი დაუკარით და ა.შ. თანდათან შეეცადეთ, წაართვათ ინიციატივა და თქვენ

გახდეთ საუბრის ლიდერი (ეს უცებ არ გამოგივათ. სავარაუდოა, რომ მოსაუბრე შეეცდება ლიდერობის შენარჩუნებას).

2. ახლა პირიქით მოიქეცით. აიძულეთ თანამოსაუბრე გახდეს კონტაქტის ლიდერი (ეს უფრო რთულია. ამოცანის შესასრულებლად პირველი შემთხვევისათვის აირჩიეთ ძალიან აქტიური, ხოლო მეორისათვის – პასიური პარტნიორი).

3. თქვენ სტუმრად მიღიხართ ოჯახში, სადაც ბევრი ადამიანი თქვენთვის უცნობია. თქვენი ამოცანაა:

ა) მიიპყროთ მათი ყურადღება პირველი ხუთი წუთის მანძილზე (ეს არ უნდა მოხდეს მყვირალა ტანსაცმლის, ქცევის ექსტრავაგანტული მანერის, ანდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ხარჯზე).

ბ) თუ სტუმრებს შორის „პოპულარული“ პიროვნებაა, შეეცადეთ მიუხვდეთ იმ ხერხებს, რომლებსაც იგი იყენებს ლიდერობის მოსაპოვებლად, რათა შემდგომ თქვენ გახდეთ ლიდერი.

გ) როცა ამას გააკეთებთ (მიხვდებით მისი „პოპულარობის“ მიზეზს), შეეცადეთ წაართვათ მას ინიციატივა და ხუთი წუთის მანძილზე მაინც შეინარჩუნოთ (მხოლოდ გახსოვდეთ, რომ ეს არ გამოგივათ, თუ თქვენ მისი ხერხების კოპირებას დაიწყებთ).

4. თქვენ შეხვედით ოთახში, სადაც თქვენთვის ნაცნობი ადამიანებიან. ნუ ჩაერევით მათ საუბარში, არამედ: ა) დააკვირდით მათ პოზას. ვინ ზის „უფროსად“, სოციალური უპირატესობის პოზაში. რაში გამოიხატება ეს? არის თუ არა თანამოსაუბრეთა შორის „ხელქვეითის“ პოზაში მჯდომი ადამიანი? რაში გამოიხატება ეს? არიან თუ არა ოთახში დამატებულ პოზაში მსხდომი ადამიანები და რითაა ეს გამოწვეული? ბ) დააკვირდით მცირე ჯგუფებს, რომლებიც ასეთ სიტუაციაში იქნება. ვისგან შედგება ეს „პატარა ჯგუფები“? რა ხერხებით წარიმართება კონტაქტი ჯგუფებში? გ) დააკვირდით „თვალეზით კონტაქტს“ და შეეცადეთ გარკვეოთ – რატომ შეხედა ამ მომენტში A-მ B-ს, და რატომ გადაიტანა B-მ მზერა განზე? დ) დააკვირდით მოსაუბრეთა ჟესტებს, მანერებსა და მიმიკას. შეეცადეთ მოუნახოთ მათ სიტყვიერი გამოხატვა. დააკვირდით, როგორ ესაღმება ოთახში მყოფთ ახლად შემოსული ნაცნობი ადამიანი. ყველას ერთნაირად ესაღმება? ერთი და იგივე დისტანციას იჭერს თუ არა იგი ყველასთან პირველი კონტაქტის დროს? რაშია განსხვავება და რატომ? შეეცადეთ გააკეთოთ ახლად შემოსული ადამიანის ქცევის პროგნოზი.

5. საუბრის დროს ეცადეთ, არ უყუროთ თვალეზში მოსაუბრეს

(ეს ძალიან ძნელია). გააცნობიერეთ, საუბრის რა მომენტში გიჩნდებათ სურვილი, გადახედოთ მას?

მეორე ვარიანტი: თვალმოუშორებლად უყურეთ თანამოსაუბრეს და მიაქციეთ ყურადღება, როდის მოგინდებათ მისთვის მზერის არიდება.

6. თქვენ ნაცნობებში, ალბათ, იქნება ისეთი ადამიანი, რომელიც არ გსიამოვნებთ და მასთან თქვენი ურთიერთობა ცოტა დაძაბულია. წინასწარ შეარჩიეთ რაიმე ბუნებრივი თემა და აიძულეთ თავი, შეხვედრისას პირველმა წამოიწყოთ საუბარი.

7. მოიგონეთ მე-4 სავარჯიშო და შეეცადეთ, ამ თვალსაზრისით გაანაწილოთ საკუთარი ქცევა. აცნობიერებთ თუ არა მოსაუბრესთან თქვენი დამოკიდებულების, თქვენ შორის არსებული ურთიერთობის ხასიათს? შეეცადეთ გააცნობიეროთ რამდენად შეესაბამება თქვენი „კონტაქტის ტექნიკა“ ამ ურთიერთობებს?

ბოლო ამოცანა: შეეცადეთ ადამიანისადმი თქვენი დამოკიდებულება რაც შეიძლება სრულად და ადეკვატურად გამოხატოთ ქცევებით (კონტაქტის ტექნიკა).

8. თქვენ მშვენიერ გუნებაზე ხართ. ეცადეთ, საუბრისას ისე დაიჭიროთ თავი, რომ თქვენმა თანამოსაუბრემ საუბარი შეგაწყვეტინოთ და გკითხოთ: „რატომ ხართ დღეს ასე დათრგუნული?“ შეგიძლიათ ეს ამოცანა ცოტა გაართულოთ იმით, რომ იგივე ეფექტს მიაღწიოთ სხვადასხვა ადამიანებთან.

9. ახლა კი პირიქით მოიქეცით. ცუდ გუნებაზე ხართ. დაე, თქვენი თანამოსაუბრე ნურასოდეს მიხვდება ამას.

10. შეარჩიეთ რაიმე რთული ემოციური სიტუაცია (ძლიერი რისხვის, დაფარული სიხარულის, გაუცნობიერებელი შფოთვის) და ისაუბრეთ თქვენთვის კარგად ნაცნობ ადამიანთან, ითამაშეთ აღნიშნული ემოციები. შემდეგ ამ პიროვნებას კითხეთ, რამდენად ბუნებრივად გამოიყურებოდით და მიხვდა თუ არა თქვენი ემოციური მდგომარეობის შესახებ.

11. სთხოვეთ თქვენ ნაცნობ კინომოყვარულს, გადაგიღოთ სხვადასხვა სიტუაციაში, ანდა დროდადრო სარკის წინ გაითამაშეთ სხვადასხვა ემოციური მდგომარეობები და დააკვირდით საკუთარ თავს, პოზებს, ჟესტებსა და მიმიკას, მეტყველებას და თავდაჭერას.

**ზარმოსახვის, ხატოვანი მხსნიერებისა და
პროფესიული დაკვირვების განმავითარებელი
პარჯიშები**

1. მაგიდაზე დევს ბლოკნოტი, ავტოკალამი, ქალაღლი და ა.შ. გეძლევით დავალება: — მიღით მაგიდასთან, 5 წამის განმავლობაში ყურადღებით დააკვირდით საგნებს. შემდეგ მიბრუნდით და გონებაში აღწერეთ საგნები. მერე კი მოყვეით რომელი საგანი იღო მაგიდაზე და როგორი თანმიმდევრობით?

2. მაგიდაზე რამდენიმე წვრილ-წვრილი საგანია. გეძლევით ასეთი დავალება: — ყურადღებით დაათვალიერეთ საგნები, დახუჭვით თვალები. სამი ადამიანი მიდის მაგიდასთან, საგნებს ადგილს შეუცვლიან. თქვენ კი თვალების გახელის შემდეგ, დაალაგეთ ისინი თავდაპირველი ვარიანტით.

3. ორი ადამიანი დგას ჯგუფის წინ, დანარჩენები უყურებენ მათ 15 წამის განმავლობაში. შემდეგ ეს ორი დერეფანში გადის, რაღაცას ცვლის თავის გარეგნობაში, თმის ვარცხნილობაში, ტანსაცმელში და ისევ უკან ბრუნდება. ჯგუფის წევრებმა უნდა აღნიშნონ მომხდარი ცვლილებები.

4. რამდენიმე ადამიანი ნახევარწრეს ქმნის. ერთი, რომელიც მათ წინ დგას, ყურადღებით აკვირდება ჯგუფს (5, 10, 20 წამი), შემდეგ კი გადის ოთახიდან. მისი გასვლის შემდეგ ნახევარწრეში მდგომი ადამიანები ერთმანეთს ადგილებს უცვლიან. ოთახში დაბრუნებულმა უნდა აღადგინოს პირველდაწყებითი ნახევარწრე.

5. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე შეგიძლიათ ასეთი ექსპერიმენტი ჩაატაროთ: — ცდის პირს ევალება, შეიქმნას ადამიანის შესახებ ზოგადი წარმოდგენა სიარულის მანერის მიხედვით. მხოლოდ ფეხების მოძრაობის აღქმით გააკეთოს დასკვნა, როგორია ამ პიროვნების სახის გამომეტყველება ამ მომენტში, სად მიდის, რაზე ფიქრობს, აღწეროს მისი გარეგნობა, ასაკი და ხასიათი.

6. ინდივიდუალური ვარჯიში, აგრეთვე, გულისხმობს მოვლენებზე დაკვირვებას. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც ყველას ყურადღებას მიიპყრობს ხოლმე, არამედ ადამიანის ჩვეულებრივი ქცევები. მაგალითად, ახალგაზრდა კაცი კინოთეატრის შესასვლელთან ვიღაცას ელოდება. რა მოვლენაა ეს მის ცხოვრებაში? შეეცადეთ შეამჩნიოთ მისი მოქმედების თანმიმდევრობა, დაადგინოთ მისი აზრების მსვლელობა, გამოიცნოთ მისი შინაგანი მდგომარეობა გარეგნული ქცევების მიხედვით.

7. მხედველობითი მეხსიერების გავარჯიშება აუდიტორიაშიც შეიძლება. კარგად იცით გვერდით მჯდომის გარეგნობა? აბა, შეხედეთ მას. ეცადეთ, ისეთი რამ შეამჩნიოთ, რაც ადრე არ შეგიძინებიათ. როგორი თვალები აქვს? როგორი ფორმის ცხვირი, ტუჩები, თვალები და ნიკაპი აქვს? როგორი თმები და ყურის ფორმა აქვს? როგორი ხელები აქვს? თითების სიგრძე და ფრჩხილების ფორმა არ დაივიწყოთ. თითოეული დააკვირდით ნებისმიერ პარტნიორს და შემდეგ აღუწერეთ იგი გვერდით მჯდომ მეგობარს ისე, რომ მეგობარი მიხვდეს ვის აკვირდებოდით.

8. თითოეულმა აიღეთ თქვენი ნივთებიდან რომელიმე პატარა საგანი – სავარცხელი, ავტოკალამი, გასაღები. ვიდრე ოცამდე დავითვლიდე ყურადღებით დაათვალიერეთ საგნები... 19! 20! ახლა აღწერეთ რიგრიგობით ეს საგნები, მეგობარი კი შეამოწმებს და გაგაკონტროლებთ. არ დაივიწყოთ თვით უმნიშვნელო დეტალები, წვრილმანები. საიდანაა ეს ნაჩხაპნი გასაღებზე? როდის გაჩნდა, რისგან? აი, მეგობრის საათი. დიდი ხანია, რაც მეგობარი მას ატარებს? როგორ ფიქრობთ, იყიდა თუ აჩუქეს? რატომ ფიქრობთ ასე?

მხედველობითი მეხსიერების ვარჯიში ავითარებს წარმოსახვას და დამკვირვებლობას.

9. მხედველობითი მეხსიერების ვარჯიში დამკვირვებლობის გასავითარებლად, მუდმივად უნდა ხდებოდეს სხვადასხვა მასალაზე.

ოთახში ნივთებია დალაგებული. ერთი ან რამდენიმე ადამიანი ახდენს ოთახის და ნივთების თვალებით „ფოტოგრაფირებას“ რამდენიმე წამის განმავლობაში და გადის ოთახიდან. ვიდრე ისინი გარეთ არიან, გადაადგილებენ სკამებს, სჯობს მოხდეს განლაგების არა სრული შეცვლა, არამედ ორი-სამი სკამის მდებარეობის შეცვლა. შემოსულმა უნდა შეამჩნიოს ეს ცვლილება.

10. მაგიდაზე რამდენიმე წვრილი საგანია. შემოდიან სამნი. მათ ეუბნებიან: – მოახდინეთ საგნების „ფოტოგრაფირება“ თვალებით. შემდეგ თვალები დახუჭეთ. მე საგნებს ავურევ, თქვენ კი თვალდახუჭულმა დალაგეთ ისინი ისე, როგორც ადრე ეწყო.

11. მაგიდაზე დავაგდოთ ასანთის რამდენიმე ღერი.

– ხუთი კაცი მაგიდასთან! თვლაზე ერთი, ორი, სამი – დაიმახსოვრეთ როგორ ალაგია ასანთის ღერები.

ამის შემდეგ ასანთის ღერები ქალაღდის ფურცლით დავფაროთ.

– რამდენი ღერი იდო? რვა? აიღეთ ასანთის რვა ღერი და

დალაგეთ მაგიდის მეორე მხარეზე ისეთივე განლაგებით როგორც ადრე.

– მზადაა? ახლა კი შეამოწმეთ თქვენი ნამუშევარი.

ავაცალოთ ქალაქის ფურცელი ასანთის ღეროებს, შევამოწმოთ ნამუშევარი და გავასწოროთ შეცდომები.

12. ორი ჯგუფი, ერთმანეთისაგან ფარულად, თავიანთ „ბანაკში“ ალაგებს სხვადასხვა საგნებს გარკვეული თანმიმდევრობით.

წინასწარ შერჩეულ მსაჯს თითოეული ჯგუფი თვალდახუჭული მიჰყავს „მოპირდაპირის ბანაკში“, სამიოდე წამის განმავლობაში (თვლაზე ერთი, ორი, სამი) ისინი ათვალთქვამენ საგნებს და შემდეგ, ამ საგნებთან ზურგ შექცეულნი, მსაჯს აღუწერენ ნანახს.

მსაჯი აცხადებს გამარჯვებულს.

შეიძლება ასეთი ვარიანტიც: თითოეული ჯგუფი გამოყოფს „მხედველობით სნაიპერს“. ასეთ შემთხვევაში ერთი ჯგუფის წევრები მეორე ჯგუფის „სნაიპერს“ აჩვენებენ დალაგებულ საგნებს რამდენიმე წამის განმავლობაში. შემდეგ კი მათ ეს საგნები უნდა ჩათვალონ აღქმული თანმიმდევრობით.

13. ექსპერიმენტატორი მიმართავს მსმენელებს:

– ვიდრე 30-მდე დავითვლი, თვალებით მოძებნეთ, დაიმახსოვრეთ და ერთი წუთის განმავლობაში ჩამომითვალეთ ყველა საგანი, რომელიც ამ ოთახშია და იწყება ასო „კ“-ზე.

– კარადა, კიბე, კოლოფი, კედელი...

– ვინ დაამატებს?

– კარები, კაბა, კალამი.

– ახლა, ნახევარ წუთში მოძებნეთ ყველა საგანი, რომელიც იწყება ასო „დ“-ზე.

14. ერთ-ერთი ვარჯიში, რომელიც წვრთნის მხედველობით აღქმას, მხედველობით მეხსიერებას და ავითარებს დამკვირვებლობას და ფანტაზიას, არის ტრანსპორტში, ან ქუჩაში შემთხვევით თანამგზავრზე დაკვირვება.

ადამიანის ქცევებიდან, სხვადასხვა მოვლენებზე მისი რეაქციიდან გამომდინარე, მისი გარეგნობის და თუნდაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროთ – ვინაა იგი, სად მუშაობს, როგორი ოჯახი აქვს, ვისთან მეგობრობს, რა უყვარს და რა არ მოსწონს, რითაა ახლა დაკავებული, რას ფიქრობს და სად მიდის.

უნდა იხელმძღვანელოთ არა მარტო პირველი შთაბეჭდილებ-

ბებით, არამედ თქვენი აზრები და შეხედულებები ამ ადამიანზე გადა-
ამოწმეთ მისი ქცევების საშუალებით. შეეცადეთ განსაზღვროთ მისი
ქცევები სხვადასხვა მოსალოდნელ სიტუაციაში.

15. კიდევ ერთი ხერხი მხედველობითი მეხსიერების ტრენინგისა
და დამკვირვებლობის განვითარებისათვის.

რამდენიმე ადამიანი ქმნის ნახევარწრეს (სხდებიან სკამზე ნა-
ხევარწრეში). ერთ-ერთი მათგანი დგას ნახევარწრის წინ და ახდენს
ამხანაგების „ფოტოგრაფირებას“ თვალებით 20, 10 ან 5 წამის განმავ-
ლობაში. შემდეგ იგი გადის გარეთ, მცირე პაუზის შემდეგ სკამებზე
მსხდომნი იცვლიან ადგილებს – გადაჯდებიან სხვა ადგილზე ან
ერთმანეთს შეუნაცვლებენ ადგილებს.

„ფოტოგრაფი“ოთახში ბრუნდება და უნდა მოიგონოს ვინ სად
იჯდა ადრე.

საგარჯიშოები საგამომიყვლო პრაქტიკიდან

1. მძლოლი, რომელიც სატვირთოს მართავდა, ღამის თორმეტ
საათზე დაეჯახა ფანრის ბოძს. ქუჩა, რომელზეც იგი მოძრაობდა,
არის მშრალი, სწორი და მოასფალტებული, სიგანით 12 მ. მძლოლმა
უჩვენა, რომ მანქანა მიჰყავდა 20 კმ/სთ სიჩქარით. საპირისპიროდ
მოძრაობდა ტრანსპორტი. საპირისპიროდ მომავალი ერთი მანქანა
სხვების გასწრებას შეეცადა. მძლოლმა საჭე მკვეთრად მარჯვნივ მი-
ატრიალა, რათა ხიფათი აეცლინა და შეეჯახა ბოძს. მძლოლმა აგრეთვე
განაცხადა, რომ მას 18 წლის სტაჟი აქვს და სულ ერთი თვეა რაც
მსუბუქი მანქანიდან სატვირთოზე გადაინაცვლა.

1) არის თუ არა სიერციის აღქმა მძლოლის გამოცდილებაზე
დამოკიდებული?

2) რა ფაქტორებმა შეიძლება შეუშალოს ხელი სიერციის
აღქმაში თვით გამოცდილ მძლოლს?

3) შეაფასეთ აღწერილი სიტუაცია და მიუთითეთ შეჯახების
გამომწვევი მიზეზებზე.

2. მოქალაქე №-ი ეჭვმიტანილია თავისი შვიდი წლის შვილის
მკვლელობაში. ბავშვის გვამი ჭაში იპოვეს. გამოძიებელმა დანაშა-
ულის დამადასტურებელი მტკიცებანი ვერ აღმოაჩინა და საქმის
წარმოება შეწყდა. ცოტა ხნის შემდეგ პროკურატურამ საქმე სხვა
გამომძიებელს გადასცა. მან გადაწყვიტა №-ის დაკითხვა. როცა

დაკითხვის ტაქტიკას ირჩევდა, გამოძიებელმა გაითვალისწინა, რომ თუ მკვლელი იყო №-ი, იგი დანაშაულის მომენტიდან ემოციურ დაძაბულობას განიცდიდა და გამოძახების შემდეგ ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გამაფრებოდა. №-ს არ უკითხავს გამოძახების მიზეზი, მაშინვე დაიწყო მოყოლა. მისი თქმით, როცა იგი შვილთან ერთად გზაზე მიდიოდნენ, შეკამათდნენ, შვილმა იგი გალანძლა, გაექცა და ჭაში ჩავარდა. როცა გამოძიებელმა ჰკითხა – უწევდა თუ არა ბავშვი წინააღმდეგობას, როცა ცდილობდნენ მის ჩაგდებას ჭაში, №-მა ამოი-
ლულულა – „იგი ვერ მიხვდა, რომ ჭაში ვაგდებდი“.

1) რა არის გრძნობები და ემოციები.

2) ახსენით აღწერილი სიტუაციის ფსიქოლოგიური მომენტი.

3. გვიან შემოდგომაზე, საღამოს ათ საათზე, ორი კაცი გაჩერებასთან მანქანას ელოდებოდა. პირველი თითქმის ერთი საათით ადრე იყო მოსული, მეორე კი ის-ის იყო გამოვიდა თავისი განათებული ოთახიდან. მალე მათ მანქანამ ჩაუქროლა, მაგრამ არ გაუჩერა.

მოგვიანებით, დაკითხვისას, პირველმა აღწერა მანქანა და ხალხი, რომლებიც კაბინაში ისხდნენ. მეორემ კი განაცხადა, რომ ვერც მანქანას აღწერდა და ვერც ხალხს, მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ ეს იყო სატვირთო მანქანა.

ორივე პიროვნება ერთი და იგივე ასაკისაა, მხედველობაც ორივეს ნორმალური აქვს და ორივენი სატყეოს მუშები არიან.

1) მხედველობითი შეგრძნების რა თავისებურებები უნდა გაითვალისწინოს გამოძიებელმა მათი დაკითხვის დროს და როგორ უნდა შევაფასოთ მათი ჩვენება?

4. მკვლელობასთან დაკავშირებით საჭირო იყო ზუსტი დროის დადგენა. ერთმა მოწმემ განაცხადა, რომ მან ღამით, ტყეში გაიგონა ქალის კივილი და ზუსტად დაასახელა დრო, მაგრამ მიუთითა სრულიად საპირისპირო მხარეს იმ ადგილიდან, სადაც გვაძი იპოვეს.

1) რა უნდა ვიცოდეთ, სმენით სივრცითი აღქმის კანონზომიერებების შესახებ, რათა მოწმის ჩვენებას დავენდოთ.

5. დარაჯმა განაცხადა, რომ შვილი აგვისტოს ღამეს მას ყაჩაღები დაესხნენ თავს. ღამე ბნელი იყო, უმთვარო, მაღაზიის ტერიტორია გაუნათებელი იყო. თავდამსხმელებმა სცემეს იგი, გათოკეს, გატეხეს ბოქლომი და შევიდნენ მაღაზიაში. ერთ-ერთის ნიშნები მან კარგად დაიმახსოვრა. ის, რომელმაც მას ხელები შეუკრა, დარაჯის თქმით იყო – შავგვრემანი, მუქი თაფლისფერი თვალებით, ლურჯ ზოლიანი

ცისფერი პერანგით, საათის სამაჯური წითელ-ყვითელი პლასტმასისაგან იყო ნაკეთები.

1) შეგრძნების რა კანონზომიერებები უნდა იცოდეს გამოძიებელმა, რომ სწორად შეაფასოს დაზარალებულის ჩვენება.

6. 26 წლის №-ი საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, მრავალსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე. მის გარდა სამოთახიან ბინაში კიდევ 10 ქალიშვილი ბინადრობდა. 19 თებერვალს დილის 7 საათზე ყველა სამუშაოდ წავიდა, №-ი კი დარჩა, რადგან სასწავლო შევებულებაში იმყოფებოდა. 12 საათზე ოთახის მეზობელი დაბრუნდა შინ და იპოვა №-ის გვამი, რის შესახებაც მაშინვე მილიციას აცნობა.

შემთხვევის ადგილზე მოსულმა გამოძიებელმა დაათვალიერა იქაურობა. №-ის გვამი ერთ-ერთი ოთახის იატაკზე იდო. მოკლულის თავსა და ხელებზე მრავალი ნაჩხვლეტ-ნაჭრილობები და დაჟეჟილი ადგილი მოჩანდა. გარდა ამისა, ყელზე, სახეზე და ხელებზე ეტყობოდა ნაკაწრები, სისხლჩაქცევები და დაბეგვილი. იატაკზე, სისხლის გუბეში, ორი ბლუჯა თმაც ეგდო. №-ის ჩექმის მარჯვენა ძირზე სისხლი ეცხო. მარცხენა ფეხის ჩექმა გვამის შორიანხლო ეგდო, ხოლო ამ ფეხის წინდის ტერფი სისხლით იყო გაუღენთილი. დაზარალებულს ეცვა პალტო, რომლის შიგა გვერდითი ჯიბე ამობრუნებული იყო. ხელზე ეკეთა საათი, რომლის ისრები აჩვენებდა 11 სთ და 30 წთ-ს (საათი გაჩერებული იყო). გვამის ქვეშ და მის გარშემო უხვად ეყარა სისხლში მოსერილი სკამის ნამსხვრევები. შემთხვევის ადგილზე იპოვეს გასისხლიანებული ნაჯახი და სუფრის დანა, რომელიც აქ მცხოვრებ გოგონებს ეკუთვნოდა. სამზარეულოში იყო განსვენებულის პროდუქტების ჩანთა, რომელშიც ელაგა კარტოფილი, სტაფილო და პური. მაგიდაზე ჩანთის გვერდით ეწყო პილმენების გაუხსნელი კოლოფი და კატლეტის შეკვრა.

მეზობლის დაკითხვის შემდეგ დადგინდა, რომ დამნაშავემ ოთახიდან მოიპარა პალტო, ჩექმები, თავსაფარი, ხალათი, ზეწარი, ორი ბალიშისპირი, პირსახოცი, რომლებიც მათ ეკუთვნოდა. ამასთან ერთად, ოთახში ხელუხლებელი იყო უფრო ძვირფასი ნივთები.

გამოძიებელმა, სხვათა შორის, ერთი ასეთი ვერსიაც წამოაყენა: — მკვლელი ქალია. იგი შევიდა საერთო საცხოვრებელში საქურდავად, მაგრამ მას მაღაზიიდან დაბრუნებულმა №-მა წაასწრო და იმიტომ მოკლა, რომ არავის ემხილებინა.

1) დაასაბუთეთ ფსიქოლოგიურად წარმოდგენილი ვერსია. გამოიყენეთ შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგები.

7. დაკითხულმა №-მა გამოძიებელს უაბბო, რომ 18 დეკემბერს საღამოს იგი ქუჩიდან შევიდა საერთო საცხოვრებლის №5 ოთახში, დანახა, რომ ნაცნობი, რომელსაც სწორედ იმ საღამოს უნდა შეხვედროდა, საწოლზე იწვა, მივიდა და შეეხო, მაგრამ იგი არ განძრეულა.

გამომძიებლის შეკითხვაზე დაკითხულმა უპასუხა, რომ შეხები-სას სიცივე არ უგრძნია და ჩათვალა, რომ მის ნაცნობს ეძინა.

1) რა შეკითხვები უნდა დაუსვას გამომძიებელმა №-ს და რა გარემოებები უნდა გაარკვიოს მათი მეშვეობით?

8. კუჭიდან ამოღებული სითხის სასამართლო-ქიმიურმა ექს-პერტიზამ დაადგინა, რომ დაზარალებულის მიერ მიღებულმა ნიკო-ტინის სითხემ მხოლოდ იმიტომ არ იმოქმედა, რომ, ვიდრე საწამლავი ორგანიზმში გაიწოვებოდა, ჰქონდა პირღებინება.

დაკითხვამდე დაზარალებულმა განაცხადა, რომ ვიდრე ცუდად გახდებოდა, საქმროსთან ერთად ჩაის სვამდა. ეჭვი გამოითქვა, რომ სწორედ მას უნდოდა მოეწამლა.

გამომძიებელმა ეჭვი შეიტანა ასეთ ჩვენებაში.

1) გემოს შეგრძნების რა კანონზომიერების ცოდნა იყო გამომძიებლის ეჭვის საფუძველი?

2) რა შეკითხვები უნდა დაესვას დაზარალებულებს ასეთ სიტუაციაში?

9. მოქალაქე A-ს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სა-კითხის გადასაწყვეტად, №-ის მიერ ჩადენილი მკვლელობისა და გვამის დაწვის დაფარვასთან დაკავშირებით, გასარკვევია, შეიგრძ-ნობდა თუ არა A შენობაში დამწვარი ხორცის სუნს. მკვლელობა და გვამის დაწვა მოხდა იმ დროს, როცა A სამუშაოდ იყო წასული. იგი შინ რომ დაბრუნდა, ოთახის ფანჯრები და სარკმელი დაკეტილი იყო. მოქალაქე ამტკიცებს, რომ არავითარი უსიამოვნო სუნი არ შეუგრძნია.

A-ს შეგრძნების ორგანოებში ნორმიდან გადახრა არ შეიმჩნევა.

1) რა წინააღმდეგობაშია A-ს ჩვენება ყნოსვის შეგრძნების კანონზომიერებასთან?

10. მოქალაქე №-ის ჩვენებამ, ცოლის სიკვდილის გარემოებასთან დაკავშირებით, გამომძიებელი ეჭვში ჩააგდო. №-მა განაცხადა, რომ დილით, სამსახურში რომ მიდიოდა, ცოლს შუბლზე აკოცა და ვერა-ფერი შენიშნა ისეთი, რაც მიახვედრებდა, რომ იგი მკვდარი იყო. სამ-სახურიდან შინ დაბრუნებულს ცოლი დახვდა საწოლში, იგივე პო-ზაში, მოწამელის ნიშნებით. სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სიკვდილი 15 საათის წინ დადგა.

1) შეხების შეგრძნების რომელი თავისებურების ცოდნამ მისცა საფუძველი გამოძიებელს ეჭვი შეეტანა №-ის ჩვენებაში.

2) როგორი შეკითხვა უნდა დაესვას №-ს, რომ იგი მხილებული იქნეს ტყუილში?

11. მოქალაქემ მილიციას აცნობა, რომ მის სახლში მოკლულია უმცროსი ვაჟი, რომელიც მეგობრებთან ერთად თავის ოთახში სვამდა. უფროსი შვილები მკვლელობის მომენტში ეზოში იმყოფებოდნენ. თვით დედას კი გვერდით ეძინა. მას გამოელვინა დერეფანში ატეხილი ყვირილის და ფეხის ხმაზე. შეამჩნია, რომ ვიღაც ორმა უცნობმა მამაკაცმა ეზო გადაირბინა და ქუჩაში მიიმალა.

დათვალიერებისას გამოძიებელმა დაადგინა, რომ მოკლულის გვაში იდო იატაკზე, თავზე რალაც მძიმე საგნით მიყენებული ჭრილობა მოუჩანდა. მაგიდაზე ელაგა: ბოთლი, რომლის 1/4-ში ესხა გამჭვირვალე სითხე, რომელსაც ეთილის სპირტის სუნი ასდიოდა, ნახევარი პური, დაჭრილი თევზი, პომიდორი და რამდენიმე ქლიავი. პური და პომიდორი ხელუხლებელი იდო, თევზები და ჩანგლები სუფთა იყო და არც თევზის ძვლები და ქლიავის კურკები ეყარა სადმე. ეზოს დათვალიერებისას დადგინდა, რომ პარმალიდან ჭიშკრამდე გზა აგურით იყო მოფენილი, ერთგან კი აგური აკლდა.

ვიდრე დათვალიერება მიმდინარეობდა, ოპერატიულად დადგინდა, რომ, ერთი მხრივ, დედას და უფროს შვილებს და, მეორე მხრივ, უმცროს შვილს შორის იყო ცუდი დამოკიდებულება.

1) შექმენით ვერსიები და ახსენით რა ფსიქოლოგიური ფაქტორი განაპირობებს მხილებას თითოეული ვერსიის შემთხვევაში.

12. მოქალაქე №-ის გვაში იპოვეს მისივე ბინის სააბაზანოში. აბაზანა თითქმის პირთამდე იყო სავსე, ისე რომ გვაში ნიკაპით ლამის წყალს ეხებოდა. წყლის ზედაპირზე შავი პირნალები მასა ტიექტივებდა.

სამზარეულოს მაგიდაზე იდგა ლიმონათიანი ბოთლი და ჭიქა, რომელშიც ცოტა სითხე ესხა, ნუშის სურნელი იმაზე მეტყველებდა, რომ ლიმონათში ციანმჟავა ერია. მაგიდაზე იდო შემდეგი შინაარსის ბარათი: „ძვირფასო დედა, მპაპტიე თუ ტკივილი მოგაყენე, სხვა გამოსავალი არ იყო“.

დათვალიერების შემდეგ გამოძიებელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ №-მა თავი არ მოიკლა, არამედ ვიღაცამ მოწამლა, რადგან ისეთი სწრაფი და ძლიერმოქმედი შხამის შემდეგ, როგორიცაა ციანმჟავა,

შეუძლებელი იქნებოდა სამზარეულოდან სააბაზანოში გასვლა და აბაზანაში ჩაწოლა.

1) შექმენით ვერსიები და დაასაბუთეთ.

13. დამნაშავემ აღიარა, რომ სამუშაოდან შინ დაბრუნებისას, გზაში სამი უცნობი მამაკაცი დაეწია. მათ იგი გააჩერეს და სიგარეტი სთხოვეს, უარი რომ მიიღეს, სცემეს. მაშინ იგი მივარდა სახლში, აიღო დატენილი თოფი და ესროლა თავდამსხმელებს, რის შედეგადაც ერთი მათგანი სასიკვდილოდ დაიჭრა.

1) მიეცით შეფასება მის ჩვენებას.

2) დაახასიათეთ ცნებები: გუნება, განწყობა, აფექტი, ფრუსტრაცია.

3) როგორია აფექტის ფიზიოლოგია? აღწერეთ აფექტის ფსიქოლოგიური თავისებურებები.

14. 2 მარტის ღამეს მილიციის განყოფილებას შეატყობინეს, რომ რკინიგზის სადგურის მახლობლად ნაპოვნია უცნობი ქალის გვამი. შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ მივიდა გამოძიებელი და რამდენიმე პოლიციელი. აღმოჩნდა, რომ გვამი იმყოფებოდა დასახლების განაპირას. სოფელ №-ისკენ მიმავალ გზაზე. ოოვლზე, რომელიც ძლივს ფარავდა მიწას, მსუბუქი მარხილის კვალი ეტყობოდა. კვალი სოფლისაკენ მიდიოდა. სხეულის რაიმე დაზიანება გვამზე ვერ აღმოაჩინეს. მიცვალებულის ტანსაცმელი წესრიგში იყო. თმები კი კარგად ჰქონდა დავარცხნილი.

დათვალიერების საფუძველზე გამოძიებელმა ივარაუდა, რომ გვამი მარხილით იყო მიტანილი, ქალი კი სხვა ადგილზე მომკვდარიყო.

1) ფსიქოლოგიურად გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია და წარმოადგინეთ ალტერნატიული ვერსიები.

15. 26 იანვარს მოქალაქე №-მა პოლიციაში განაცხადა, რომ ყოფილი ქმარი მისსავე სახლში, სისხლის გუბეში აღმოაჩინა.

ოპერატიულმა მუშაკებმა მკვლელობის მოწმის დადგენის მიზნით ახლომახლო ქუჩები და სახლები მოიარეს და მაცხოვრებლები დაკითხეს. სახლში ორი მოხუცი ძმა ცხოვრობდა. ისინი ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, თავისთან არავის უშვებდნენ. ნაცნობობა ნაკლებად ჰყავდათ, მეზობლებთან იშვიათად ჰქონდათ ურთიერთობა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებით გაირკვა, რომ სახლში იყო ოთხი ოთახი და დერეფანი, რომელიც სახლს ორ ტოლ ნაწილად ყოფდა. კარის საკეტები მთელი იყო. პარმალის კარები კი - ღია. დერეფნის კედლები, კარი და ოთახის კედლები სისხლით იყო მოსვრილი.

დერეფანში, ოთახის კარებს შორის, ეგდო გვამი. მას მხოლოდ საცკლები ეცეა. თავზე ღრმა ჭრილობა აჩნდა, გვამის ქვეშ – სისხლის გუბე იდგა.

ოთახები იყო არეული, აქეთ-იქით ეყარა ნივთები, მაგიდის უჯრები გამოწეული იყო, ლოგინები აყრილი, კარადის კარები გაღებული.

ოთახსა და დერეფანში მიყრილ-მოყრილ ნივთებს შორის ბევრი სისხლიანი საგანი ერია, რომელიც მკვლელობის იარაღად გამოდგებოდა. ლითონის ჩაქურჩი, ჯოხი, ხელჯოხი, სარანდავი, ხის ჩაქურჩი, ჯირკი.

დერეფანში გამავალი კარი ღია იყო, ერთ-ერთ ოთახში ენთო სანთელი. დერეფანში გაზქურისა და გაზგაყვანილობის მილის ონკანები გაღებული იყო. აფეთქება მხოლოდ იმიტომ არ მოხდა, რომ დერეფნის ჭერს და ოთახის კედლებს ბევრი ხერელი ჰქონდა და გაზი არ დაგროვდა. სანთლის ნამწვავზე ეტყობოდა, რომ ხუთი საათი მაინც ენთო. ექსპერტის დასკვნის მიხედვით, სიკვდილი გვამის აღმოჩენამდე ხუთი საათით ადრე დამდგარიყო.

საოჯახო ქალაღდებს (ჩანაწერები, წერილები) შორის იპოვეს წერილი, რომელიც სხვა ქალაქიდან იყო გამოგზავნილი. ავტორი აწ გარდაცვლილს ატყობინებდა, რომ მისი 15 წლის შვილი სახლიდან გაიქცა სწორედ იმ ქალაქში, სადაც გარდაცვლილი ცხოვრობდა. წერილი იტყობინებოდა, რომ გაქცეული, ალბათ, მათაც მოინახულებდა.

1) წარმოიდგინეთ იმ ვერსიათა ფსიქოლოგიური ანალიზი, რომელიც აღნიშნულ სიტუაციასთან დაკავშირებით შეიძლება შეიქმნას.

16. პარიზის პოლიცია დიდი ხანი უშუდეგოდ ეძებდა მინისტრის მიერ მოპარულ, ერთი დიდგვაროვანი ქალბატონის წერილს. ინტრიგანი მინისტრი ამ წერილით დიდ გავლენას ახდენდა ქალბატონზე. მას ნებისმიერ მომენტში შეეძლო წერილის გამოყენება მიზნების მისაღწევად. მინისტრი წერილს თან ვერ ატარებდა, რადგან შეიძლება პოლიციის აგენტები თავს დასხმოდნენ. სადმე შორს ვერ დამალავდა, რადგან შეიძლება ყოველ წუთს დასჭირვებოდა. ამიტომ წერილი მას ან სახლში უნდა დაემალა, ან ეზოში. სამი თვის მანძილზე, მინისტრის შინ არყოფნის მომენტში, სახლი ჩუმად იჩხრიკებოდა. სახლი მონაკვეთებად დაყვეს და თითოეული მონაკვეთი გულდაგულ გაჩხრიკეს. რაიმე სამალავის არსებობა გამოირიცხა, რადგან მთელი ზედაპირი დიდი ღუპით დაათვალიერეს ისე, რომ უფაქიზესი ხერელები და უსწორმასწორო ადგილებიც კი შეამოწმეს. ავეჯი დაშალეს და

დაათვალიერეს, ბალიშები სპეციალური წერილი ნემსებით შეამოწმეს. დაათვალიერეს ყველა წიგნი და საგულდაგულოდ გამოიკვლიეს მათი ყდები. ეზო აგურით იყო მოფენილი, აგურებს შორის ხაკის ხელუხლებელი. ძიება უშუდგო აღმოჩნდა. ასეთი სიტუაციაა აღწერილი პოს მოთხრობაში – „გატაცებული წერილი“ იმ მომენტისათვის, როცა საქმეში დიუპენი ჩაება. მან პოლიციის პრეფექტს ჰკითხა, თუ როგორ გამოიყურებოდა გარეგნულად წერილი და ცოტა ხანში კიდევ მიუტანა. აი რას ყვება იგი:

„რაც უფრო მეტს ვფიქრობდი მინისტრის გონებასაზვიანობასა და მოხერხებულობაზე, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ მან წერილის დაფარვის ემპაკური ხერხი აირჩია, ისე, რომ იგი სულაც არ დაუმალავს.

ბოლოს მინისტრის ოთახში ხეტიალისას ჩემი ყურადღება მიიქცია სავიზიტო ბარათების ძველმა მოწულმა ჩანთამ. იგი ბაფთით იყო შეკრული და ბუხრის თაეთან სპილენძის მათულზე ჩამოკონწიალებული. ჩანთაში რამდენიმე სავიზიტო ბარათი და რაღაც წერილი ეგდო. წერილი სანახევროდ შუაზე იყო გაფხრეწილი, თითქოს ვილაცას მისი დახევა და გადაყრა სურდა და მერე გადაიფიქრა. წერილს შავი ბეჭედი აჩნდა და თვით მინისტრს ეკუთვნოდა. შევხედე თუ არა ამ წერილს, მაშინვე ვიფიქრე, რომ სწორედ მას ვეძებდი, თუმცა წერილი გარეგნულად სრულიად არ შეესაბამებოდა იმას, პრეფექტმა რომ ამიწერა. ეს ბეჭედი იყო დიდი და შავი. ის კი პატარა და წითელი. აქ მინისტრის სახელი ეწერა წვრილი ქალური ხელწერით, იქ კი – დედოფლის სახელი იყო გაბედულად, გაშლილად დაწერილი. მხოლოდ ზომით ემთხვეოდნენ ერთმანეთს, მაგრამ კონტრასტებმა კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი ეჭვი. ჭუჭყიანი და მიგდებული წერილი, რაც მინისტრის ჩვევებს არ შეესაბამებოდა, ნახევრად დახეული და თითქმის უვარგისი, როგორც ველოდი ყველაზე თვალსაჩინო ადგილას იდო“.

17. ექვმიტანილი N-ის საძინებლის გაჩხრეკისას საკმაო განძეული იპოვეს. მთელი ამ პროცესის განმავლობაში N-ი ძალზე ნერვიულობდა, ხოლო როცა საძინებლიდან სასადილო ოთახში გავიდნენ, იგი დამშვიდდა. გამომძიებელმა შენიშნა ეს ცვლილება და გადაწყვიტა საძინებელი ხელმეორედ გაეჩხრეკა. თავდაპირველად ჩხრეკა უშუდგო აღმოჩნდა. მაგრამ როცა ტანსაცმლის კარადა კიდევ ერთხელ დაათვალიერეს, მათი ყურადღება კარადის მასიურმა უკანა კედელმა მიიქცია. მიუხედავად N-ის წინააღმდეგობისა კედლის საფარი მოხსნეს და იპოვეს სამალავი. ჩხრეკის ოქმის შედგენისას ერთ-ერთმა მონა-

წილემ მოიგონა, რომ საძინებელში ჩხრეკის დამთავრებისას, N ხშირად იყურებოდა ოთახის კუთხისაკენ და იცრემლებოდა კიდეც. ამიტომ გადაწყვიტეს ოთახის კუთხე ხელმეორედ გაეჩხრიკათ. კუთხესთან კედელი ცოტა უთანაბრო ჩანდა, რამდენიმე აგური აიღეს და აღმოაჩინეს კიდე ერთი სამალავი.

1) ჩხრეკის ჩატარების დროს ნივთის დამმალავი პიროვნების რა ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი უნდა ახსოვდეს გამ-ჩხრეკს?

2) როგორია ნივთის დამმალავი პიროვნების რეფლექსური აზროვნების თავისებურება ნივთის დასამალი ადგილის არჩევისას?

3) რას ნიშნავს დაკვირვება და დამკვირვებლობა?

4) რაში შეიძლება გამოიხატოს გასაჩხრეკი პიროვნების უნებ-ლიე რეაქციები სამალავთან მიახლოებისას.

18. მოლარის მიერ ფულის გატაცების საქმესთან დაკავშირებით გამოძიებულს მისი ბინის გაჩხრეკა მოუხდა. გაჩხრეკამდე მან დაადგინა, რომ მოლარე მეფუტკრეობით იყო გატაცებული და რამდენიმე სკა ფუტკარიც ჰყავდა. ბინის გაჩხრეკამ შედეგი არ გამოიღო, მაშინ გამოძიებულმა სკები დათვალიერა და თანხა აღმოაჩინა.

1) დაასახელეთ გასაჩხრეკის ფსიქოლოგიური თავისებურებანი. მისი რეფლექსური აზროვნება ნივთის დამალვისას. მისი პროფესიული და პიროვნული თავისებურებების გავლენა სამალავის არჩევაზე.

2) დაახასიათეთ ჩხრეკის ტაქტიკის ფსიქოლოგიური საფუძველი.

19. პოლიციის მუშაკებმა გაჩხრიკეს ბრალდებული N-ის ბინა და სამალავში საძებნი განძეული აღმოაჩინეს. მათ უნდოდათ ჩხრეკა ამით დაემთავრებინათ და დასასრულს წინკარის ზერელედ დათვალიერებას შეუდგნენ. სწორედ ამ დროს ბრალდებულის ცოლი, რომელიც აქამდე წყნარად იყო, ცუდად გახდა, ეზოში გამოვარდა, თოვლზე დაეცა და კრუნჩხვა დაემართა.

მოსულმა ექიმმა ქალი გასინჯა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს შეტევა სიმულაცია იყო. ამან გამოძიებელი და პოლიცია დააეჭვა. ისინი შებრუნდნენ სახლში და დაიწყეს წინკარის დათვალიერება. დათვალიერებისას ყურადღება მიაქციეს იმას, რომ კედელზე მიმაგრებული იყო რამდენიმე ფიცარი, რომელშიც ლურსმნები იყო ჩარჭო-

ბილი (ამ ფიცრებსა და ლურსმნებს ძველმანების დასაკიდად თუ იყენებდნენ). როცა პოლიციის მუშაკმა ერთ-ერთი ლურსმანი დაქაჩა, ფიცრები კარებივით გაიღო. მათ უკან, სამალავში, კედლებს შორის, იპოვეს დამალული ნათესავი, რომელსაც მკვლელობაში ედებოდა ბრალი. დამნაშავე დააკავეს.

1) დაასახელეთ გამჩხრეკთა ქცევებზე გასაჩხრეკის და მისი ოჯახის წევრების რეაქციებზე დაკვირვების წესები.

2) დაასახელეთ ის ხერხები, რომლებსაც შეიძლება მიმართონ გასაჩხრეკმა პიროვნებებმა, რათა გამჩხრეკთა ყურადღება სხვა რაიმეზე გადაიტანონ.

3) დაასახელეთ გასაჩხრეკი პიროვნების მიერ აქტიური და პასიური შენიღბვის შესაძლო ფორმები.

20. ბრალდებულის სახლი რამდენიმეჯერ გაჩხრიკეს, მაგრამ ამაოდ. მეოთხე გაჩხრეკისას გამოძიებელმა ღერეფანში თვალი მოჰკრა დაქანგულ ქილას. მან გადაწყვიტა ქილის დათვალიერება და არც შემცდარა, საძებნი ნივთები სწორედ აქ აღმოჩნდა დამალული.

1) რატომ აირჩია ბრალდებულმა დასამალად აღნიშნული ადგილი?

2) ახსენით ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განმეორებითი (მეოთხე) გაჩხრეკის ფუნქციონირება.

21. ცნობილია შემთხვევა, როცა გამოძიებელი გასაჩხრეკად ოჯახში საუზმის დროს მივიდა. მაგიდაზე ჩაის ჭურჭელი ელაგა. ჩხრეკამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. უცებ გამოძიებელს მოაფიქრდა შეემოწმებინა საშაქრე. სწორედ აქ იპოვეს საძებნი ძვირფასეულობა.

1) მიუთითეთ აღწერილი შენიღბვის ფსიქოლოგიურ საფუძველზე. აღწერეთ აზროვნება (მსჯელობა), რომელმაც განსაზღვრა გასაჩხრეკის მოქმედება.

22. გამოძიებელმა, რომელმაც წინასწარ შეისწავლა ბრალდებულის საცხოვრებელი, გაჩხრეკისას შეამჩნია, რომ მცირეწლოვანი გოგონას საწოლი მეორე ოთახში გაეტანათ. მან ამის თაობაზე ბავშვის დედას ჰკითხა, ქალი დაიბნა. ჩხრეკისას აღმოჩნდა, რომ იმ ადგილზე, სადაც საწოლი გადაეტანათ, იატაკის ქვეშ ინახებოდა საძებნი იარაღი.

1) ჩამოთვალეთ ხერხები, რომელთა მეშვეობით შეიძლება გასაჩხრეკის უნებლიე რეაქციების გამოწვევა.

2) დაასახელეთ გასაჩხრეკ პიროვნებაზე დაკვირვების წესები.

23. ყალბი დოკუმენტების დამზადებაში ეჭვმიტანილი პირის ბინის გაჩხრეკისას, კარადაში ორმაგი ძირი იქნა აღმოჩენილი. იქ

ინახებოდა ქალის ხელჩანთა, რომელშიც საკმაოდ დიდი თანხა იპოვეს. ფული თითქოსდა ამართლებდა სამალავის არსებობას, მაგრამ გამოძიებლის ეჭვი ჩანთამ აღძრა. ხელჩანთის გაჩხრეკისას ნახეს, რომ სარჩულის შიგნით აბრეშუმის ორი ნაჭერი იდო. მათი გამოკვლევისას გამოვლინდა შრიფტი.

1) დაახასიათეთ გასაჩხრეკის ფსიქოლოგია, მისი რეფლექსური აზროვნება ობიექტის შენიღბვისას.

2) დაახასიათეთ გამოძიებლის რეფლექტორული აზროვნება ჩხრეკის დროს.

24. ცნობილია შემთხვევა, როცა გამოძიებელმა ჩხრეკისას სხვადასხვა ოთახებში იპოვა ფაიფურის ქანდაკება, რომლებსაც არავითარი ეჭვი არ აღუძრავს. ჩხრეკის დამთავრებისას, როცა გამოძიებელმა ქონებაზე ყაღალა დაადო, ფაიფურის ნივთები შეაგროვა და მათი აღწერა დაიწყო, შეამჩნია, რომ ერთი ქანდაკება უფრო მძიმე იყო, ვიდრე მეორე. როცა მიზეზის გარკვევას შეეცადა, დაადგინა, რომ ნახევარი ქანდაკება თაბაშირით იყო სავსე. სწორედ აქ აღმოჩნდა ძვირფასეულობა.

1) ჩამოთვალეთ გამოძიებლის პროფესიული თვისებები.

2) დაასახელეთ დამკვირვებლობა, როგორც ფსიქიკური თვისება და მისი მნიშვნელობა.

3) გაარკვიეთ, რაში მდგომარეობს შედარების მეთოდის გამოყენება ჩხრეკის დროს.

25. ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა რამდენიმე სამალავი, რომლებშიც ინახებოდა ნაქურდალი ნივთები, ოქროს და ბრილიანტის ნაკეთობანი. მათი ნაწილი იპოვნეს მურაბის ქილებსა და ერბოს ქონებში. როცა ჩხრეკა თავდებოდა, ბრალდებულის ცოლი ისტერიული ყვირილით მივარდა ქილებს და ისინი ოთახის ერთ კუთხეში იატაკზე მოისროლა. მილიციის მუშაკებმა ეს მოქმედება შეაფასეს როგორც რალაცის შენიღბვის მცდელობა. ამ ადგილზე იატაკი აყარეს და აღმოაჩინეს სამი კილო ოქრო.

1) დაასახელეთ გამოძიებლის პროფესიული თვისებები.

2) ჩამოთვალეთ ის ხერხები, რომლითაც გასაჩხრეკი პიროვნებები ცდილობენ გამჩხრეკის ყურადღების გადატანას.

26. ბრალდებული N-ის მეუღლის დაკითხვისას გამოძიებელმა დაადგინა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ჩხრეკისას იპოვეს და წამოიღეს სხვა და არა ის ტანსაცმელი, რომელიც ბრალდებულს ეცვა. მან დაადგინა აგრეთვე, რომ ეს ტანსაცმელი დაკითხულის სახლშია.

გამომძიებელმა შესთავაზა მას თვითონ მიეტანა ტანსაცმელი პროკუ-
რატურაში.

1) რა შეცდომა დაუშვეს პოლიციის თანამშრომლებმა და რამ
განაპირობა ეს შეცდომა.

2) რა შეცდომა დაუშვა გამოძიებელმა.

3) რა საგამომძიებლო ოპერაცია უნდა ჩატარებინა გამოძიებელს.

27. სოფეში დაიკარგნენ ღები, რომლებიც თავის ნათესავთან ცხოვ-
რობდნენ. ეჭვი ნათესავზე მიიტანეს. მისი სახლის გაჩხრეკისას იატაკის
ფიცრებს შორის სისხლიანი კვალი აღმოაჩინეს, ხოლო ღუმელში
ფეხსაცმლის აბზინდა, ტყავისა და ქსოვილის ნახევრად დამწვარი ნაჭ-
რები. დაათვალიერეს ყველა ახლო-მახლო ნაგებობა, ორმოები და
არხები, სოფლის მიგდებული ადგილები, მაგრამ გვაშები ვერ იპოვეს.

ერთმა ბიჭმა გამოძიებას აცნობა, რომ სწორედ იმ დღეს, როცა
ღები დაიკარგნენ, იგი შეხვდა ეჭვმიტანილს, რომელიც სახლიდან
ტყეში მიდიოდა ზურგზე ტომარაგადაკიდებული. საძებნელად მთელი
სოფელი გამოვიდა. ისინი გამოძიებლის ხელმძღვანელობით შეუდგ-
ნენ ტყის გაჩხრეკას. როცა ჩხრეკა თითქმის დამთავრებული ჰქონდათ,
ხეზე ჩამოკიდებულ გვამს წააწყდნენ. აღმოჩნდა, რომ იგი მეორე სოფ-
ლის მცხოვრები, სულიერად დაავადებული კაცი იყო. ამ ვითარების
გამო ჩხრეკა შეწყდა და აღარ განახლებულა. მხოლოდ მოგვიანებით
გაირკვა, რომ ღების გვამი ჩამარხული იყო იმ ადგილიდან რამდენიმე
მეტრის დაშორებით, სადაც ჩხრეკა შეწყდა.

1) დაასახელეთ რა პროფესიული თვისება ვერ გამოავლინა
გამომძიებელმა.

27. ჩხრეკისას საძებნი დოკუმენტები ვერ იპოვეს. მაშინ პატრონი
ოთახიდან გაიყვანეს და მთელი ავეჯი გადაადგილეს. შემდეგ პატ-
რონი ისევ შემოიყვანეს და დააკვირდნენ მას. სახლის პატრონის გაო-
ცებულმა და მოუსვენარმა მშვერამ ყველა ნივთი მოათვალიერა და ერთ-
ერთ კარადაზე შეჩერდა. სწორედ აქ აღმოჩნდა დამალული დოკუმენტები.

ტიფაპარაზიტის როლზე ტიპს შეისახავევა

ფეხვით მოყვანილი დახასიათება

1. გამოირჩევა ცვალებად პირობებთან სწრაფი შეგუებით; გარ-
შემო მყოფ ადამიანებთან დიდი კონტაქტებით და კომუნიკაბელობით.
გრძნობები სწრაფად აღმოუცენდება და უქრება სწრაფადვე. ახასი-
ათებს მოძრავი სტერეოტიპი. ახალ გარემოში არ გრძნობს შებოჭი-

ლობას, შეუძლია ყურადღების გადანაცვლება და მოქმედებათა სწრაფი ცვლა.

2. ახასიათებს მომატებული რეაქციები, მოქმედების სწრაფი ტემპი და სიმკვეთრე, ენერგიულობა და სწორხაზოვნება ურთიერთობაში, გუნების მკვეთრი ცვლა, ძლიერი აგზნებადობა, არახელსაყრელ პირობებში სიფიცხე და აგრესიულობა. მოტივაციის არსებობისას შეუძლია სიძნელების დაძლევა და საქმით გატაცება. უკეთეს შედეგებს აღწევს ისეთი საქმიანობისას, რომელიც მოითხოვს რეაქტიულობას და ძალების დაძაბვას.

3. ძალზე მგრძობიარეა. ახასიათებს ღრმა განცდები. თვით უმნიშვნელო მოვლენების შემთხვევაშიც კი გრძობები მალე აღმოუცენდება და ძნელად შეიკავებს. გარეგნულად გრძობებს ადვილად გამოხატავს. ძლიერი გარეგანი ზემოქმედება აძნელებს მოქმედებას. ინტროვერტულია, ჩაკეტილი, უცხო ადამიანებთან კონტაქტს გაურბის, ერიდება ახალ გარემოს. გარკვეულ პირობებში ახასიათებს მორცხეობა, სიფრთხილე და შიშიც კი, განსაკუთრებით ისეთ საქმიანობაში, რომელიც მოითხოვს მგრძობიარობას და რეაქტიულობას. სტაბილურ ვითარებაში შეუძლია წარმატების მიაღწევა.

4. რეაქციები შენელებულია, გუნება-განწყობა მყარი, ემოციური სფერო გარეგნულად ნაკლებად გამოხატული. ცხოვრებისეულ რთულ პირობებში მშვიდია და თავშეკავებული. არ ახასიათებს იმპულსური მოქმედება, რადგან აგზნების და შეკავების პროცესები გაწონასწორებულია. თავის ძალებს კარგად აფასებს. დიდ გულმოდგინებას იჩენს, რათა საქმე ბოლომდე მიიყვანოს. მისი სტერეოტიპი ნაკლებ მოძრავია და, ზოგიერთ შემთხვევაში, არასაკმარისად მოქნილი. წარმატებას აღწევს უფრო ისეთ საქმიანობაში, რომელიც მოითხოვს ძალების თანაბარ დაძაბვას, მდგრად ყურადღებას, დიდ მოთმინებასა და გულმოდგინებას.

აღწერილი მახალითების მიხედვით განსაზღვრეთ ტემპერამენტის ტიპი

გიორგი მესამე კლასის მოსწავლეა. უყვარს სხვადასხვა საქმეებით გატაცება. ხშირად ისეთ საქმეს კიდებს ხელს, რომელიც მის ძალას აღემატება. ძალზე მოძრავია. ყოველ წუთში გაქცევაზე უჭირავს თვალი. ხელ-ფეხს მოუსვენრად ამოძრავებს. თავს ხშირად აქეთ-იქით

აქნევს. ადვილად აიგზნება. მასალას სწრაფად და სწორად ითვისებს, მაგრამ სიჩქარისაგან მცდარ პასუხს იძლევა. სულ უნდა შეახსენო: „დაფიქრდი, მაშინვე ნუ მპასუხობ, ნუ ჩქარობ“. მხიარულება ადვილად ეცვლება სიბრაზით და პირიქით. თუ გაბრაზდა, თავშეუკაცებელია. უყვარს, როცა კარგ ნიშანს ღებულობს.

ზაზა ნელია, აუჩქარებელი. საუბრობს ნელა და თანმიმდევრულად. გაკვეთილზე ზის გულგრილი სახით. ხელს არ აიწევს, მაგრამ მასწავლებლის შეკითხვებზე სწორად პასუხობს. თუ მასწავლებელი ჰკითხავს, ხელი რატომ არ აიწიეო, პასუხობს – „ისე“... ძნელია მისი გაბრაზება ან გამხიარულება. თვითონ ამხანაგებს არ აწყენინებს, სხვების ჩხუბს გულგრილად უყურებს. არ არის გულბოროტი. ამხანაგისათვის დახმარება ეზარება. საუბარში იშვიათად ჩაერთვება. უფრო ხშირად დუმს. ახალ მასალას სწრაფად ვერ გებულობს, რამდენიმეჯერ უნდა გაუმეორო. მერე კი სწორად და ფაქიზად ასრულებს და ვალებას. უყვარს წესრიგი. ბავშვებს ძნელად უმეგობრდება.

გურამი მხიარული, სიცოცხლით სავსე ბავშვია, გულისხმიერი, გულკეთილი. დავალებას ნაჩქარევად ასრულებს, მოუფიქრებლად. ხშირად დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიყავს. ერთხელ, დღესასწაულისათვის, ლექსი მისცეს დასასწავლად, სიამოვნებით შეუდგა საქმეს, მაგრამ ორი-სამი დღის შემდეგ რაღაც „მიზეზები“ გამოუჩნდა, ლექსიც უინტერესოდ მოეჩვენა და მის დასასწავლად დრო აღარ ეყო.

თეა ძალზე მოძრავი გოგონაა. გაკვეთილებზე ერთი წუთითაც არ ზის წყნარად. გაუთავებლად იცვლის პოზებს, ხელში სულ რაღაცას ათამაშებს და მეზობელს ელაპარაკება. სიახლით ადვილად ინტერესდება, მაგრამ გულაცრუებაც უცებ იცის. უფრო ხშირად კმაყოფილი და მხიარულია. შეკითხვაზე – „როგორაა საქმე?“, გიპასუხებს: „ძალიან კარგად!“ თუმცა ყოველთვის კარგ ნიშნებს როდი ღებულობს. თუ ხუთიანი მიიღო, სახლში ყველას მიახარებს, არც ოთხიანებს დამალავს და თან დაამატებს: „ეს ისე, შემთხვევით მომივიდა“. ზოგჯერ იბუტება და ტირის კიდევ, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება. დისციპლინიანია. საინტერესო გაკვეთილზე დიდ ენერჯიას და შრომისუნარიანობას ავლენს. ადვილად უმეგობრდება. ახალ მოთხოვნებს ადვილად ეგუება. უყვარს ბევრი ლაპარაკი.

დათო ცოცხალი, მოძრავი, ენერგიული ბიჭია. თითქოს ამოუ-
წურავი ენერგია აქვს. დავალებებს ადვილად ასრულებს. მოძრაობები
სწრაფი აქვს და მკვეთრი. მასზე იტყვიან: ნივთებს კი არ იღებს, იტა-
ცებს, კი არ ღებს, არამედ ყრის. გაკვეთილებზე და საზოგადოებრივ
ცხოვრებაში აქტიურია. მასალას ადვილად ითვისებს. ამოცანებს სწო-
რად და ადვილად ხსნის. უყვარს პირველობა. მეტყველება სწრაფი
და ენერგიული აქვს. მოძრავი თამაშების ინიციატორია. ყოველთვის
თვითდარწმუნებულია. ამხანაგებთან კამათში თავის აზრებს გამე-
ტებით იცავს. ხშირად აგზნებული და კონფლიქტი მოსდის ბავშვებთან.

თინიკო ნაკლებ მოძრავი, წყნარი, სერიოზული გოგოა. დავა-
ლების შესრულებისას უყვარს წინასწარ მოფიქრება. სამუშაოს ნელა
ასრულებს, მაგრამ ყოველთვის კარგად. ეს კარგად ხჩანს საკონტროლო
სამუშაოებში. რეგულს ყოველთვის ბოლოს აბარებს, მაგრამ, სამაგი-
ეროდ, ყოველთვის აქვს ამოხსნილი. გაკვეთილს ყვება მონოტონურად
და გარკვევით.

ლევანი შთაბეჭდილებიანი ბავშვია. პატარა უსიამოვნებაც კი
წონასწორობას აკარგვინებს. ხშირად ტირის უბრალო რაიმეზე. ერთ-
ხელ იმის გამო იტირა, რომ ჩანთაში საკალმე ვერ იპოვნა. ძალზე ად-
ვილად წყინს. დიდხანს ახსოვს წყენა და ავადმყოფურად განიცდის მას.
მეოცნებეა. ხშირად დაფიქრებული იყურება ფანჯარაში, იმის მაგიე-
რად, რომ ბავშვებთან ითამაშოს. წესებს ემორჩილება. ბავშვთა კო-
ლექტივში პასიურია. ხშირად ამჟღავნებს, რომ თავისი ძალების არ
სჯერა. თუ რაიმე სიძნელეს წააწყდა, იბნევა და საქმე ბოლომდე არ
მიჰყავს. მაგრამ თუ დააძალებთ ამოცანის ამოხსნას, უმეტეს შემთხ-
ვევაში სხვებზე ნაკლებად არ გააკეთებს.

ლაშა წყნარია, მარტოსული და სევდიანი. განაწყენება დიდხანს
გაყვება. მერხის მეგობარს თუ წაერხნება, მთელი დღე აღარ დაელა-
პარაკება. თავისი ძალების არ სჯერა, ამის გამო გაკვეთილებს ცუდად
პასუხობს. გაკვეთილებზე მალე იღლება. თუ ვინმე წააქეზებს და და-
ეხმარება, დავალებას უკეთესად და უფრო გულმოდგინედ შეასრულებს.

რეზო სერიოზული და ჩუმი ბავშვია. სკოლაში მხიარული ის
არავის უნახავს. ბავშვებთან იშვიათად თამაშობს. უფრო ხშირად სხვის

თამაშს აკვირდება, ან წიგნს კითხულობს. ადვილად იცის განაწყენება და წყენა დიდხანს გაყვება. თუ შენიშენას მკაცრი ტონით მისცემ, ანდა პასუხის გაცემისას ჩაერევი მის საუბარში, — გაჩუმდება და საერთოდ ხმას აღარ ამოიღებს. ცუდ ნიშანს ძალზე განიცდის. გულჩახვეულია, გულს ადვილად არავის გაუხსნის. შრომა უყვარს, მაგრამ საზოგადოებრივ დავალებებს არ ასრულებს, თვლის, რომ თავს ვერ გაართმევს.

რჩევები ნებისყოფის განაწმენად

დაისახე მიზანი და ისწრაფე მისკენ. ყურადღება გაამახვილე გადასაწყვეტ ამოცანაზე. გააკეთე არა ის, რაც გინდა, არამედ რაც საჭიროა. გახსოვდეს, დაბრკოლება იმისათვის არსებობს, რომ გადაილახოს. შეიმუშავე დღის რეჟიმი (გეგმა) და ეცადე ყოველთვის დაიცვა იგი. მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გადაინაცვლე მეორე საქმეზე, როცა პირველი არ დაგიმთავრებია. დღის ბოლოს შეამოწმე, რამდენად კარგად დაიცავი დღის რეჟიმი. ეცადე, დღეში ერთხელ მაინც, გააკეთო ისეთი საქმე, რომელიც არ გაინტერესებს.

ნუ დაელოდები, ვიდრე ვინმე გიკარნახებს შენს გასაკეთებელ საქმეს. იყავი ინიციატივიანი, იმოქმედე საკუთარი თაოსნობით. ყურადღება მიაქციე საკუთარ ქცევებს და წარუმატებლობის მიზეზი, პირველ რიგში, ეძებე საკუთარ თავში. თვითონვე იყავი საკუთარი თავის ყველაზე მკაცრი მსაჯული.

თანდათან ისწავლე თავდაუფლება. ჯერ კარგად გააცნობიერე შენი ქცევები, მერე გამოიტანე გადაწყვეტილება და ეცადე შეასრულო იგი. ეცადე, ყველაფერი რასაც აკეთებ, კარგად და ბოლომდე გააკეთო. იმოქმედე ზუსტად, ფაქიზად, თანამიმდევრულად და წინასწარ გაითვალისწინე შენი მოქმედების მიზანი და საბოლოო შედეგი.

ცვლილებები ნებისყოფის ძალაში მიიღწევა ხანგრძლივი, თანმიმდევრული ვარჯიშის შედეგად.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ლოგიკური აზროვნების, დამკვირვებლობის, რეფლექსიის უნარის განმავითარებელ სავარჯიშოებს.

1. დავიწყებული ხელთათმანი

ბატონი ალმუსის ოთახიდან გამოსულმა გაზის სუნმა, საბედნიეროდ, მეზობლის ყურადღება მიიქცია, რომელიც სასწრაფო სამუშაოთი იყო დაკავებული და იმ ღამეს გვიანობამდე არ დასძინებია. ინსპექტორი ვერნერი და სერჟანტი გამოძახებისთანავე აღვილზე გაჩნდნენ. ალმუსი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, იგი „სასწრაფოთი“ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

— მკვლელმა შეცდომა დაუშვა, — თქვა ინსპექტორმა და მიუთითა ხელთათმანზე, რომელიც შემოსასვლელში, სკამზე იდო და სახლის პატრონს (როგორც თვითონ ალმუსმა განაცხადა) არ ეკუთვნოდა.

— ის ტიპი სახლში შემოიპარა, გაზი მოუშვა და სიჩქარეში ხელთათმანი დაავიწყდა. შეიძლება იგი ისევ დაბრუნდეს ხელთათმანისათვის, კვალი რომ დაფაროს, — მსჯელობდა სერჟანტი.

ღეტექტივებმა ოთახში შუქი ჩააქრეს და „სტუმარს“ დაელოდნენ. მართლაც, ნახევარი საათის შემდეგ კარმა გაიჭრიალა და ვილაც ჩუმად შემოვიდა შემოსასვლელში, თან გზას ასანთით ინათებდა.

— ხელეები მალა, — შესძახა ინსპექტორმა.

სერჟანტმა სინათლე ჩააქრო და შემოსულს მიუბრუნდა:

— თქვენ ხელთათმანისათვის მოხვედით, ასე არაა?

უცნობი დაეთანხმა, მაგრამ მკვლელობის მცდელობის ბრალდებას გადაჭრით უარყოფდა. სერჟანტმა შეახსენა აღიარების შემთხვევაში სასჯელის შერბილების თაობაზე, მაგრამ ვერნერმა სერჟანტი გვერდზე გაიხმო და უთხრა:

— ღამის ვიზიტი ძალზე საეჭვოა, მაგრამ მე არა მგონია ეს კაცი იყოს დამნაშავე.

რატომ მივიდა ვერნერი ამ დასკვნამდე?

2. ტყუილი აღიბი

იმ ცხელი ზაფხულის დღეს, ოფლად გაღვრილი ინსპექტორი ვერნერი ქალაქის ქუჩებში ცნობილ განგსტერს, „გრძელ ჯიმს“, დასდევდა. უცებ, თითქმის ინსპექტორის თვალწინ, „გრძელი ჯიმი“ უსულოდ დავარდა გამველი მანქანიდან გასროლილი ტყვიით განგმირული.

— ეს ჰაუსენის, ჯიმის კონკურენტთა მეთაურის ნახელავია, — უთხრა სერჟანტმა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ისინი ჰაუსენის ბინაში იყვნენ.

კარი თვით ჰაუსენმა გაულო, გვერდით ხელჩაკიდებული შვილი ეღბა.

— მე ნახევარი საათის წინ დავბრუნდი და სახლიდან არ გავესულვარ, — განაცხადა ჰაუსენმა ინსპექტორის შეკითხვაზე. სწორედ ამ დროს ბავშვი ხელიდან გაუსხლტა და გადააყირავა პატარა მაგიდა, რომელზედაც ოდნავ მომდნარი ნაყინი და ლიმონათი იღბა.

— საზიზღარი ბავშვი, — გაჯავრდა განგსტერი და ნაყინზე მიუთითა. — მენაყინე ტომი, რომელიც აქვე დგას, სახლის წინ, დამიდასტურებს, რომ მე ნახევარი საათის წინ მოვედი და აღარ გავესულვარ.

— მე ვიცი ტომი და მისი კაცშირი შენს ბანდასთან, — უპასუხა ინსპექტორმა. — მას შეუძლია ყოველ წუთში დაგიდასტუროს ტყუილი ალიბი:

როგორ მიხვდა ინსპექტორი, რომ ჰაუსენი სტყუოდა?

3. მკვლელთა ვილაში.

ტყვია შიგ გულში ჰქონდა მოხვედრილი. რევოლვერი იქვე, მოკლულის გვერდით იდო. ექიმმა დაამოწმა, რომ გარდაიცვალა წინა საღამოს. ახლა კი დილის რვა საათი იყო. ინსპექტორი ვერნერი ამ პატარა, ერთსართულიან ვილაში თხუთმეტიოდე წუთის წინ მოვიდა. იგი ყურადღებით უსმენდა ქვრივის მონათხრობს.

— გუშინ საღამოს მატარებლით ჩამოვედი. მატარებელი 19.30-ზე იყო სადგურში, რამდენიმე წუთში უკვე შინ ვიყავი. ქმრის კაბინეტში არც შევსულვარ, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ თავის ნაცნობთან იყო სოფელში. ჩემი ნივთები ამოვალაგე, დავწექი და წიგნის კითხვა დავიწყე. გვიან დავიძინე, მაგრამ საეჭვო არაფერი შემიმჩნევია. დილით, ადრე, ქმრის მდივანმა გამაღვიძა და ეს ტრაგედია მაცნობა.

— შეფმა მიხოვა დღეს ცოტა ადრე მოვსულიყავი, — ყვებოდა მდივანი ქალი. — მინდოდა, როგორც ყოველთვის, მის კაბინეტში ტერასიდან შევესულიყავი, მაგრამ კარზე დაკაკუნებაზე არავინ მიპასუხა. შუშის კარებს მიღმა დავინახე, რომ იგი იატაკზე იწვა, გვერდით პისტოლეტი ედო. პირველი, რაც თავში მომივიდა, თვითმკვლელობა იყო. სახლს შემოვუარე და მთავარ კარებზე დავრეკე. კარი შეფის ცოლმა გამიღო, მას ყველაფერი მოვუყევი, რაც დავინახე, პოლიციაში დავრეკეთ და აი, მხოლოდ ახლა, პოლიციელებთან ერთად შემოვედი ამ ოთახში...

მისი სიტყვები ზარის ძლიერმა ხმამ გაწყვიტა. მოულოდნელო-

ბისაგან ყველა შეხტა. ეს მიცვალებულის დივანთან დადებულმა საათმა დარეკა.

— არა, ეს არ ყოფილა თვითმკვლელობა. ერთ-ერთი თქვენგანი ტყუის!

ვინ ტყუის?

4. ცალი ხელთათმანი

ვილის პატრონი, პარკლენდი, საკუთარ გარაჟში მოკლეს თავში ჩაქურჩის ჩარტყმით. მისი გეამი სიკვდილიდან ორი საათის შემდეგ იპოვეს. ჩაქურჩი მოკლულის გვერდით იღო. ამას გარდა, ინსპექტორმა ვერნერმა შორიახლო მარცხენა ხელის ახალთახალი ხელთათმანი იპოვა. ხელთათმანი მოკლულის არ იყო. რადგან მის ხელს ზომით არ შეეფერებოდა. ვერნერმა ხელთათმანი აიღო და უახლოეს მაღაზიაში წავიდა. მაღაზიის პატრონმა უთხრა, რომ ასეთი ხელთათმანი საწყობში მართლაც ჰქონდა, მაგრამ ძალიან ცუდად სალდებოდა. უკანასკნელ ხანს სულ ორმა ადამიანმა შეიძინა.

ეჭვი, პირველ რიგში, პარკლენდის ორ მეზობელზე მიიტანეს, რომლებთანაც მას ხშირად ჰქონდა ჩხუბი და სასამართლოშიც უჩიოდა. ესენი იყვნენ ჰეინი და კოკნერი. ჰეინმა, როგორც კი სთხოვა ინსპექტორმა, მაშინვე ამოიღო ყუთიდან ზუსტად ისეთი ხელთათმანი, როგორიც გარაჟში იპოვეს და განაცხადა, რომ მეორე ცალი ერთი კვირის წინ საღლაც დაკარგა. სერჟანტის კითხვაზე, თუ როდის ნახა უკანასკნელად პარკლენდი, ჰეინმა ხელზე წამოცმული ხელთათმანი გადაიწია, საათს დახედა და თქვა:

— ახლა ორი საათია, პარკლენდი დილის ათზე ვნახე, როცა თავის გარაჟს აღებდა.

მეორე მეზობელმა, კოკნერმა, განაცხადა, რომ მას საერთოდ არ აქვს ხელთათმანიები. როცა მას გარაჟში ნაპოვნი ხელთათმანი აჩვენეს, გამოტყდა, რომ იგი გავს იმ ხელთათმანს, რომელიც მას ადრე ჰქონდა, მაგრამ მოტოციკლეტის შეკეთებისას ისე დასვარა, რომ იძულებული იყო გადაეყარა.

ინსპექტორმა ორივეს მოუსიძნა, მოეთათბირა სერჟანტს, რომელიც ჰეინის დაკავებას ფიქრობდა.

— არა, ჰეინი უდანაშაულოა, — უთხრა ინსპექტორმა. — აი, კოკნერი კი უფრო კარგად უნდა გავიცნოთ.

რატომ მოხსნა ეჭვი ჰეინს ინსპექტორმა?

5.

საავიაციო განყოფილებაში მუშაობენ პატაპოვი, შედრინი, სემიონოვი, კონოვალოვი და სამოილოვი. მათი სპეციალობებია: პილოტი, შტურმანი, ბორტმექანიკოსი, რადისტა და სინოპტიკოსი.

განსაზღვრეთ რა სპეციალობა აქვს თითოეულს, თუ ცნობილია შემდეგი ფაქტები:

შედრინმა და კონოვალოვმა არ იციან თვითმფრინავის მართვა, პატაპოვი და სემიონოვი შტურმანობისთვის ემზადებიან. შედრინის და სამოილოვის ოთახები რადისტის ოთახის გვერდითაა, სემიონოვი დასასვენებელ სახლში შეხვდა შედრინს და სინოპტიკოსის დას. პატაპოვი და შედრინი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ბორტმექანიკოსთან და პილოტთან ჭადრაკს თამაშობენ. კონოვალოვი, სემიონოვი და სინოპტიკოსი ბოქსით არიან გატაცებულნი. რადისტს ბოქსი არ აინტერესებს.

6.

სოფელ კლამპერში მცხოვრებლებს ორი გვარი ჰქონდათ, ან ბინგენი, ან სლიმენი. ბინგენები ყოველთვის სიმართლეს ამბობდნენ, სლიმენები კი ყოველთვის ტყუოდნენ.

ერთხელ, ერთი ჩამოსული კაცი ქუჩაში ოთხ კლამპერელს შეხვდა და ჰკითხა მათ, ვინ იყვნენ — ბინგენები თუ სლიმენები. პირველმა უპასუხა: „ჩვენ ყველანი სლიმენები ვართ“. მეორემ თქვა: — „მხოლოდ ერთი ჩვენგანია სლიმენი“. მესამემ თქვა: — „არა, ჩვენს შორის ორი სლიმენია“. მეოთხემ კი ამაყად წარმოთქვა: — „ბინგენი მე ვარ“.

ის, ვინც თქვა — „მე ბინგენი ვარ“ — შეიძლება ბინგენიც იყოს და სლიმენიც.

მართლა ბინგენია თუ არა მისი გვარი?

7.

ერთხელ გამოძიებულმა ერთდროულად სამი მოწმე დაკითხა: კლოდი, ჟაკი და დიკი. მათი ჩვენებები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. თითოეული მათგანი სხვას აბრალებდა ტყუილს. კლოდი ამტკიცებდა, რომ ჟაკი ცრუობს, ჟაკი დიკს დებდა ტყუილში ბრალს. დიკი კი გამოძიებულს არწმუნებდა, არც ერთისთვის არ დაეჯერებინა. მაგრამ გამოძიებულმა მალე დაადგინა სიმართლე, ისე რომ მათთვის არც ერთი შეკითხვა არ მიუცია.

რომელი მოწმე ამბობდა ტყუილს?

8.

გთავაზობთ ცხრა მსჯელობას, რომელთაც, ერთი შეხედვით, საერთო არაფერი აქვს, მაგრამ მათ საფუძველზე უნდა გაკეთდეს ლოგიკური დასკვნა:

1. კაფე „სტამბოლში“ ყოველთვის აქვთ თურქული ყავა.
2. არც ერთი სტუდენტი, რომელსაც ბეთჰოვენი მოცარტზე მეტად მოსწონს, არ დადის ტრამვაით სანაპირომდე.
3. ყველა სტუდენტმა იცის ფრანგული.
4. არც ერთი სტუდენტი, რომელიც ბერეტს არ ატარებს, ფილატელისტად არ ითვლება.
5. ნებისმიერი სტუდენტი, რომელმაც იცის ფრანგული ენა, შეიძლება იყოს დრამწერის წევრი.
6. ნებისმიერი სტუდენტი, რომელიც ფილატელისტია, დადის კაფე „სტამბოლში“.
7. ყველა სტუდენტი, რომელიც დრამწერეში მონაწილეობს, მოცარტს უფრო ამჯობინებს, ვიდრე ბეთჰოვენს.
8. მხოლოდ იმ სტუდენტებს მოსწონთ ყავა, რომლებიც დადიან კაფე „სტამბოლში“.
9. მხოლოდ ის სტუდენტები ატარებენ ბერეტს, რომლებიც სანაპირომდე ტრამვაით დადიან.

9.

– განყოფილებაში უნდა გამოძვევთ, ბატონო ლოგან, – თქვა ინსპექტორმა. – დღეს დილით ნახეს: როგორ მიჰქროდით გზაჯვარედინიდან, სადაც მანქანამ ბიჭი გაიტანა.

– აქ რაღაც გაუგებრობაა, – უპასუხა ლოგანმა, ტანმალაშა, ორიოდე მეტრის კაცმა. – მე, უკვე ორი დღე იქნება, საჭესთან არ დავმჯდარვარ.

– დამტკრეული ბიჭის მეგობარი კი სავსებით დარწმუნებულია, რომ საჭესთან მალალი კაცი იჯდა, – შეეპასუხა ინსპექტორი.

ლოგანმა გულიანად გაიცინა.

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეცდომაა. ერთადერთი, ადამიანი ვინც დღეს ჩვენი მანქანით დადიოდა, ჩემი ცოლია, მაგრამ ძნელია იგი მალალ კაცში შეგეშალოს.

ინსპექტორმა ქალბატონი ლოგანი შეათვალიერა. იგი ერთი ქერათმიანი, მინიატურული ქალი იყო.

– დიახ, თქვენ მართალი ხართ, – დაეთანხმა ინსპექტორი. – იცით, კიდევ რა, ის მანქანა, ბიჭს რომ დაეჯახა, ძალიან ხმაურობდა, თითქოს რაღაც არ ჰქონდა წესრიგში.

– თვითონ ნახეთ, ჩემი მანქანა როგორ მუშაობს, – თქვა ლოგანმა და ინსპექტორს გარაუქმი შეუძღვა.

ლოგანმა ჯიბიდან გასაღების ასხმულა ამოიღო, საჭესთან დაჯდა და ძრავა უხმაუროდ ჩართო.

– მანქანა სრულიად უხმაუროდ მუშაობდა, – ყვებოდა შემდეგ ინსპექტორი, – მაგრამ სანამ დავრწმუნდებოდი, რომ მას ახალი ნაწილი ჰქონდა დაყენებული, მე უკვე ვიცოდი, რომ ლოგანი ცრუობდა.

როგორ მიხვდა ინსპექტორი, რომ ლოგანი ცრუობდა?

10. დაღუპული ექსპედიცია

1935 წელს სამხრეთ ამერიკაში, „მწვანე ჯოჯოხეთში“ (ასე ჰქვია სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებს), უკვალოდ გაქრა სტეფან დოლმანის ექსპედიცია. ცოტა ხნის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ ექსპედიციას თავს დაესხა იმ კუთხის მცხოვრები ერთ-ერთი ტომი. ექსპედიციაში შედიოდნენ: ხელმძღვანელი სტეფან დოლმანი, მისი ცოლი სილვანა, კუზიანი ფოტოგრაფი ბობ ტრეფორტი, ერთ-ერთი ამერიკული გაზეთის კორესპონდენტი; ჯონ ჰარდი, დოლმანის კოლეგა, ერთი უდიდლამო და სუსტი კაცი, რომელთან ერთადაც დოლმანი აფრიკაში ლომებზე ნადირობდა და ალვარო კოლესი, დოლმანის ახლო მეგობარი.

სტეფანის დედა, ლუცია დოლმანი, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გარდაიცვალა. მას უკანასკნელ წუთამდე სჯეროდა, რომ მისი შვილი ცოცხალი იყო და შინ დაბრუნდებოდა. სიკვდილის წინ შეიღს დიდი ქონება დაუტოვა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ლონდონში გამოჩნდა კაცი, რომელიც სამხრეთ ამერიკიდან დაბრუნდა და თავს სტეფან დოლმანად ასაღებდა. მას ჰქონდა პირადობის მოწმობა და ისეთ ისტორიებს ყვებოდა, რომ დოლმანის დედის ანდერძის აღმსრულებლებმა იგი მის შვილად და მემკვიდრედ ჩათვალეს. იმ კაცის დაბრუნებამ, რომელიც უკვე მკვდარი ეგონათ, დიდი სენსაცია მოახდინა. პრესა დიდი გულმოდგინებით აღწერდა მის თავგადასავალებს, ქვეყნდებოდა მასთან ინტერვიუ და ტარდებოდა პრეს-კონფერენციები.

ერთხელ პოლიციაში დარეკა იმ ბანკის დირექტორმა, სადაც ლუცია დოლმანის ქონება ინახებოდა და აცნობა, რომ მემკვიდრემ მთელი

ფული მოხსნა ანგარიშიდან და სამხრეთ ამერიკაში მიემგზავრება. ინსპექტორმა, ანტონი სლეიდმა, მაშინვე მონახულა ბანკის დირექტორი, რომელმაც მას ქვითრები აჩვენა. ყველა ქვითარზე აბსოლუტურად ერთნაირი ხელწერა იყო, ოდნავადაც კი არ განსხვავდებოდა. სლეიდმა ყურადღებით დაათვალიერა ყველა დოკუმენტი და ბანკის დირექტორს ჰკითხა, იცნობდა თუ არა იგი სტეფან დოლმანს. „ოდესღაც, ომამდე, იგი იყო ჩემთან ჯონი ჰარდთან ერთად. ვიზიტი ხანმოკლე იყო და მათი სახეები ცუდად დამამახსოვრდა. დოლმანმა ბევრი რამ გადაიტანა და ძალიან შეცვლილია, შეცვლილია სახის ნაკეთები და ზმაც კი. გულახდილად გითხრათ, ეჭვები გამიჩნდა და ამიტომ დაგირეკეთ“. — უპასუხა დირექტორმა.

სლეიდმა უკან დაბრუნებისთანავე მოითათბირა თავის თანაშემწესთან და დამნაშავის დაკავების ბრძანება გასცა.

ვინ დააპატიმრა სლეიდმა? რამ გასცა დამნაშავე?

11.

ქარხანაში მუშაობენ ხარატიშვილი, ზეინკლიშვილი, მჭედლიშვილი და დურგლიშვილი. პროფესიით არიან ხარატი, ზეინკალი, მჭედელი და დურგალი. მაგრამ არც ერთის პროფესია არ შეესაბამება გვარს.

როცა შევეცადე თითოეულის პროფესია გამერკვია, მე შემდეგი მაცნობეს: ხარატიშვილი მუშაობს დურგლად, ზეინკლიშვილი — ხარატი, მჭედლიშვილი არ არის დურგალი. დურგლიშვილი არ არის მჭედელი.

ეს ინფორმაცია მცდარი მეჩვენა, რადგან მჭედლიშვილი სპეციალობით მჭედელი არ არის. თვითონ მუშებმა კი მითხრეს, რომ ოთხი ცნობიდან, სამი სინამდვილეს არ შეეფერება.

დაასახელოთ ზეინკლის გვარი.

12. ვინ, სად, როდის მოკლა მაგიტი?

— დამნაშავეებმაც კი იციან, რომ ზოგჯერ სიმართლე უნდა ილაპარაკონ, — შენიშნა ინსპექტორმა. — შეხედე ამ ჩვენებებს, — მიუბრუნდა იგი სერუანტს.

— სხვათა შორის, თითოეულმა დაკითხულმა ორჯერ სიმართლე სთქვა და სამჯერ იცრუა.

აი რა წაიკითხა სერუანტმა:

„კონომენის ჩვენება: მაგიტი ავტომატით მოკლეს საღამოს 10 საათზე, სანაპიროზე. გვამი ჩააგდეს მდინარეში. მკვლეელია პიკლოკი.“

პიკლოკის ჩვენება: მაგიტი 45 კალიბრიანი კოლტით მოკლეს. სა-
ლამოს 9 საათზე, ჩესლიში. გვამი წყალში ჩააგდეს. მკვლეელი ჯენისონია.

ჯენისონის ჩვენება: მაგიტი 45 კალიბრიანი კოლტით მოკლეს
სალამოს 11 საათზე, სანაპიროზე. გვამი ავტომანქანის საბარგულში ჩაგდეს.
მკვლეელია სლიკინსი.

სლიკინსის ჩვენება: მაგიტი ავტომატით მოკლეს, შუალამისას,
პანტიში. გვამი სანაგვე ყუთში ჩააგდეს. მკვლეელია კონომენი“.

– ახლა მითხარი სერჟანტო, – გააგრძელა ინსპექტორმა, – რა
იარაღი იყო გამოყენებული, სად და როდის მოკლეს მაგიტი, სად წაი-
ღეს გვამი და ვინ მოკლა იგი?

სერჟანტმა გამოიცნო.

თქვენ?

13.

ნიჩბოსნობაში შეჯიბრისათვის ორმა გუნდმა გადაწყვიტა ნაკრები
შეედგინა და თითოეულისაგან სამ-სამი კაცი ამოერჩია. ერთმა გუნდმა
5 კანდიდატი დაასახელა: არტური, ბობი, ჰარი, მაიკი და ჯონი. მეორე-
მაც თავისი ხუთეული წარმოადგინა: ტომი, პიტი, კლაიკი, ედი, სემი.

თითოეული ხუთეულიდან სამის ამორჩევა ძნელი იყო, სხვა სიძ-
ნელეებმაც იჩინა თავი: ერთ გუნდს არ უნდოდა, რომ ნაკრებში პიტი და
ედი ერთად ყოფილიყვნენ, მეორე გუნდმა საპასუხოდ განაცხადა, რომ
არ უნდოდათ ნაკრებში ჰარი და არტური ყოფილიყვნენ ერთად. უფრო
მეტეიც, პირველმა გუნდმა მოითხოვა, სემი არ ჩაერთოთ ნაკრებში,
თუკი იქ ტომი და პიტი იქნებოდნენ. მეორე გუნდმაც ახალი პირობა
წამოაყენა, თუ პიტი არ შევიდოდა ნაკრებში, მაშინ ისინი მაიკისა და
ჰარის მიღების წინააღმდეგი იქნებოდნენ, ხოლო თუ სემს არ ჩარ-
თავდნენ, მეორე გუნდი ჯონს არ დაუჭერდა მხარს. პირველი გუნდი
ვალში არ დარჩენილა, მათ განაცხადეს, რომ უარს იტყოდნენ ნაკრებში
ბობის მიღებაზე, თუ მეორე გუნდი მის შემადგენლობაში სემს ჩარ-
თავდა, ხოლო მეორე გუნდმა საპასუხოდ განაცხადა, რომ კლაიკი
უარს იტყოდა თამაშზე, თუ ნაკრებში იქნებოდა მაიკი.

ცუდი ვითარება შეიქმნა, მიუხედავად ამისა, გუნდის ხელმძღვა-
ნელებმა მოახერხეს ნაკრების დაკომპლექტება ისე, რომ არ დაურღ-
ვევიათ მოღავე მხარეების არც ერთი მოთხოვნა.

როგორ მოახერხეს ეს?

14.

ხუთმა სტუდენტმა ველოსიპედით ქალაქგარეთ გაისეირნა. სტუდენტებს ერქვათ სერგეი, ბორისი, ლეონიდი, გრიგორი და ვიქტორი. ისინი სხვადასხვა ქალაქებიდან იყვნენ: რიგიდან, პენზიდან, ლვოვიდან, ხარკოვიდან და მოსკოვიდან. ველოსიპედები, რომლებზეც ისინი ისხდნენ, სწორედ ამ ქალაქებში იყო დამზადებული, მაგრამ არც ერთი არ იჯდა თავის ქალაქში გაკეთებულ ველოსიპედზე.

სერგეი რიგაში დამზადებული ველოსიპედით მიდიოდა, სადაც ბორისი იყო დაბადებული. ბორისს პენზაში დამზადებული ველოსიპედი ჰქონდა, ვიქტორს – მოსკოვის, ხოლო გრიგორს – ხარკოვისა. პენზა იმ ველოსიპედის მფლობელის სამშობლოა, რომელიც დამზადებულია ქალაქში, სადაც ლეონიდი დაიბადა. ვიქტორი წარმოშობით ლვოვიდანაა.

რა ჰქვია მოსკოველ სტუდენტს!

15.

ხუთი მეგობარი ეჯიბრებოდა ერთმანეთს სირბილში. ვიქტორი განაწყენდა, რომ პირველი ადგილი ვერ დაიკავა. გრიშა ფინიშთან დიმიტრის შემდეგ მესამე მივიდა. ვიქტორმა შენიშნა, რომ დიმიტრის არ დაუკავებია მეორე ადგილი, ხოლო ანდრეი არც პირველ ადგილზე ყოფილა და არც ბოლოზე. ბორისმა თქვა, რომ მან ფინიშთან ვიქტორის კვალდაკვალ მიიბრინა.

ვინ რომელი ადგილი დაიკავა შეჯიბრებაში?

16.

მჭედლიშვილი, ხარატიშვილი, ზეინკლიშვილი და მღებრიშვილი დომინოს თამაშობდნენ. თითოეული მათგანის პროფესია, რომელიმე დანარჩენის მოთამაშის გეარს შეესაბამება. მჭედლიშვილის პარტნიორი ზეინკალია, მღებრიშვილისა – მღებავი. ზეინკლიშვილის მარჯვნივ ზის ხარატი.

ვინ ზის მჭედლის მარცხნივ?

17.

ერთხელ მეტეოსადგურმა ასეთი პროგნოზი გადმოსცა:

„თუ დღეს წვიმა არ იქნება, მაშინ ხვალ იქნება ქარიანი ამინდი. თუ დღეს იწვიმებს, ხვალ ნალექი აღარ მოვა. თუ დღეს სიცივე იქნება,

მაშინ ჰაერის ტენიანობა იქნება მაღალი, მაგრამ თუ დღეს სიციხე იქნება, ხვალ უქარო ამინდი იქნება. თუ დღეს ქარი იქნება, მაშინ ხვალ ტენიანობაც დაბალი იქნება და იწვიმებს კიდეც. თუ ხვალ ნალექი არ მოვა, მაშინ სიცივე იქნება, ტენიანობა კი იგივე დარჩება, როგორც დღესაა“.

რითაა ცუდი პროგნოზი?! – ან ცივა, ან ცხელა, ან წვიმს, ან არ წვიმს, ან ქარია, ან სიწყნარე, ტენიანობაც ან დაბალია, ან მაღალი. სხვათა შორის, არც მთლად გაურკვეველი პროგნოზია. დაეუშვათ, რომ მეტეოროლოგთა თითოეული ვარაუდი სწორია, მაშინ პროგნოზი დღევანდელი და ხვალინდელი დღის ტემპერატურის, ნალექების, ტენიანობის ან ქარიანობის შესახებ სრულიად გარკვეულ პასუხს გვაძლევს.

მხოლოდ დაფიქრებაა საჭირო.

18.

ძველ საბერძნეთში ცხოვრობდა ოთხი ქალიშვილი – ალფა, ბეტა, გამა და ომეგა. ისინი ემზადებოდნენ, რომ გამხდარიყვნენ წინასწარმეტყველები, მაგრამ ოცნების ასრულება მხოლოდ ერთმა შესძლო. დანარჩენებიდან – ერთი პროფესიონალი მოცეკვავე გახდა, მეორე – მსახიობი, მესამე კი – დიასახლისის.

სწავლის დროს ქალიშვილები წინასწარმეტყველებაში ვარჯიშობდნენ. ერთხელ ალფამ იწინასწარმეტყველა, რომ ბეტა არასდროს არ იქნებოდა პროფესიონალი მოცეკვავე, ბეტამ თავის მხრივ თქვა, რომ გამა წინასწარმეტყველი იქნება. გამამ თქვა, რომ ომეგა არავითარ შემთხვევაში არ იქნება მსახიობი, ხოლო ომეგამ იწინასწარმეტყველა, რომ იგი ცოლად გაყვება კაცს, რომელსაც ქვია ატაქსერქსი. ამ წინასწარმეტყველებიდან მხოლოდ ის ახდა, რომელიც იმ ქალიშვილმა თქვა, შემდგომში რომ პროფესიონალი წინასწარმეტყველი გახდა.

ვინ რა გახდა? გაყვა თუ არა ომეგა ატაქსერქსს?

19.

ერთი კაცი სამსახურში მოწყობას აპირებდა. წელიწადში 1 000 დოლარს აძლევდნენ. პირობების გაცნობისას მას უთხრეს, რომ კარგი მუშაობის შემთხვევაში დანამატიც ექნებოდა. დანამატი ორი ვარიანტიდან თვითონვე შეეძლო აერჩია: ერთ შემთხვევაში სთავაზობდნენ 50 დოლარს ყოველ ნახევარ წელიწადში დაწყებული წლის მეორე ნახევრიდან. მეორეში – 200 დოლარს ყოველ წელს, მეორე წლიდან.

არჩევანის თავისუფლება რომ მისცეს, დამქირავებლებს უნდოდათ არა მარტო ხელფასის ეკონომია გაეწიათ, არამედ შეემოწმებინათ ახალი თანამშრომლის გონიერებაც. ერთი წუთის ფიქრის შემდეგ მან სწორი არჩევანი გააკეთა.

რომელ ვარიანტს მიეცა უპირატესობა? რატომ?

20.

კარლმა კლარას მოპარა კაკალი მაშინ, როცა იგი ორჯერ დიდი იყო ვიდრე კლარა, კარლს რომ კლარნეტი მოპარა და როცა კარლი იმხელა იყო რამხელაღც კლარა, როცა მას კაკალი მოპარეს. კაკლის მოპარვისას რომ კარლი 8 წლით დიდი ყოფილიყო, მაშინ ამ ასაკთან შედარებით კლარა სამჯერ უფროსია, ვიდრე იქნებოდა იგი მაშინ, როცა კარლი იყო მისი ტოლი.

რამდენი წლის იყო კარლი, როცა მან დაკარგა კლარნეტი?

21.

ოლიმპიადის საორგანიზაციო ცენტრი ასეთ ინფორმაციას ფლობს: „100 მოსწავლიდან მეორე ტურში გავიდა 82. გამოსაშვები კლასის სულ 75 მოსწავლე იყო. მათგან მეორე ტურში გავიდა 57. გოგონები იყვნენ სულ 42, მათგან მეორე ტურში გავიდა 36. გამოსაშვები კლასის გოგონები იყვნენ სულ 35, მათგან მეორე ტურში გავიდა 30“.

დაამტკიცეთ, რომ ეს ინფორმაცია არ არის ზუსტი.

22.

სალამოვდებოდა, როცა ნასრედინმა ბუხარაში ჩააღწია. ჩაიხანაში წაიხემსა და რამდენიმე მონეტა ღამის გასათევად შემოინახა. ალაპი ახსენა, დაწვა და ის იყო ჩაძინებას აპირებდა, რომ მის გვერდით მწოლიარე ოთხი კაცის ლაპარაკმა გამოაღვიძა.

მეტად საინტერესო კომპანია ჩანდა. ერთმანეთში სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ და ხშირად ერთი მეორეს უთარგმნიდა მესამის ნათქვამს. ხოჯა მალე მიხვდა თუ რა ერქვა თითოეულ მათგანს. ისიც შეამჩნია, რომ არ არსებობდა ენა, რომელიც ოთხივეს ეცოდინებოდა, მაგრამ ყოველმა მათგანმა ორი ენა იცოდა. სალაპარაკო ენები კი ასეთი იყო: სომხური, სპარსული, ბერძნული და თურქული.

ოთხიდან ყველაზე უმცროსმა, სალალმა, სპარსული არ იცოდა, მაგრამ თარჯიმანი იყო, როცა მოხუც სპარს, აბდულას, სურდა რაიმე

ეთქვა მუქამედისათვის. ბოსფორელი მუქამედი კარგად ფლობდა მშობ-
ლიურ თურქულს და თავისუფლად საუბრობდა იუსუფთან, თუმცა მას
თურქულის არაფერიც მძოდდა.

არც სალალმა, არც აბდულამ და იუსუფმა არ იცოდნენ ისეთი
ენა, რომ ერთმანეთში ესაუბრათ. მათ შორის არ იყო ისეთი პიროვნება,
რომელიც ერთდროულად თურქულად და სომხურად ილაპარაკებდა
და მხოლოდ ერთს, ხოჯა ნასრედინს მშვენივრად ესმოდა მათი ენა.

რომელ ენაზე ლაპარაკობდა თითოეული?

23.

ბაბუაჩემის საათის მოძებნა დავაპირე. ვიცოდი, იგი ექვსიდან
ერთ-ერთ დეიდას ჰქონდა. არავის რომ არ სწყენოდა, დეიდები ოჯა-
ხის რელიქვიას დროდადრო ერთმანეთში ცვლიდნენ. ისინი ჩემგან
და ერთმანეთისაგანაც შორს ცხოვრობდნენ და ამიტომ ჩვენ მხოლოდ
წერილებით ვუკავშირდებოდით ერთმანეთს, სტუმრად კი იშვიათად
დავდიოდით.

წერილზე დეიდა ფროსიამ მიპასუხა: „ძვირფასო, ჩემი დებიდან
თითოეულმა, დარიას გარდა, სხვადასხვა დროს გამომიგზავნეს ხოლმე
საათი, მაგრამ მე მაშინვე უკან ვუბრუნებდი მათ“.

დეიდა დაშამ მომწერა: „ჩემმა დებმა (ფროსიას გარდა) თითოჯერ
გამომიგზავნეს ბაბუას საათი. მეც გავუგზავნე თითოჯერ ყველას
(ფროსიას გარდა). მოიკითხე დეიდა ალათასთან“.

ალათამ ასე მიპასუხა: „მე საათი ერთხელ ვასილისას გავუგზავნე
და ერთხელ კლავდიას. მაგრამ არც ერთს და არც მეორეს ჩემთვის
არასდროს გამოუგზავნიათ. საათი არასდროს გაგვიგზავნია ერთმანე-
თისათვის მე და მარიას“.

ვასილისამ მომწერა: „საათმა ერთხელ იბოგზავრა მარიასა და ჩემს
შორის, მაგრამ კლავდიას არასდროს გამოუგზავნია“.

ვის აქვს ბაბუას საათი?

24.

ჭერში ერთმანეთისაგან ოცდაათი სანტიმეტრის დაშორებით
კიდია ორი თოკი. ისინი უნდა მოიჭრას და რაც შეიძლება გრძლად.
ვინც ამ დავალებას მიიღებს, ეძლევა მჭრელი დანა და მან უნდა
იცოდეს თოკზე ცოცვა.

როგორ მოახერხებთ ამას?

25.

— ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ რემერი კონტრაბანდას ეწევა, მაგრამ მისი მხილება ძნელია, — მოახსენა სერჟანტმა ფიტმა ინსპექტორ ვერნერს. — რემერი ზოგჯერ საზღვარგარეთ დადის ფირმის საქმეებზე და ზოგიერთი ცნობები გვარწმუნებს, რომ იქიდან შემოაქვს პეროინი. საბაჟოზე შემოწმება არაფერს იძლევა. რემერი ყოველთვის პატარა ნესესერით დადის. მე შევადგინე იმ საგნების სია, რომლებიც მას ჩვეულებრივ თან დააქვს ხოლმე.

ინსპექტორმა ვერნერმა ქალაქის ფურცელს დახედა: პიჟამო, ორი პერანგი, ბრიტვა, სამართებელი, საპარსი საპნით, კბილის პასტის კოლოფი, ხელის საპონი, ოდეკოლონი, პირსახოცი, სამაგრები, ფრჩხილების ჯაგრისი, ქლიბი, ჩუსტები, საქალაქე და თბილი შარფი.

— ეს სრული სიაა? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— ღიახ, უკანასკნელი მგ ზავრობისას მას ეს ნივთები ჰქონდა, წარსულშიც იგივე ნივთები ჰქონდა, გარდა თბილი შარფისა, რადგან ზაფხული იყო.

— მაშინ გასაგებია, როგორ ახერხებს იგი პეროინის გატანას. ამის შემდეგ ნარკოტიკი ეძებეთ...

სად? რა დასკვნამდე მივიდა ვერნერი?

26.

ერთხელ პარკში, გრძელ სკამზე, შვიდი მეგობარი იჯდა. უცებ ერთმა მათგანმა თქვა:

— გინდათ შევამოწმო თქვენი დამკვირვებლობა?

— მოდი შეამოწმე, — უპასუხეს დანარჩენებმა.

— ახლაზანს ჩვენს წინ კაცმა ჩაიარა, დაინახეთ?

— დავინახეთ.

— მაშინ თითოეულმა თქვენგანმა თქვას: რა ფერის თმა და თვალები ჰქონდა მას, რა ფერის კოსტუმი ეცვა, რამდენი წლისა იქნებოდა.

ჩაფიქრდნენ მეგობრები, შემდეგ კი რიგრიგობით დაიწყეს დასახელება. ანდრომ თქვა: „მწითური იყო, ცისფერთვალება, ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა და, ასე, 34 წლის იყო“. ვლადიმერმა თქვა: „ქერა იყო, შავთვალა, ცისფერი კოსტუმი ეცვა, 30 წლის იქნებოდა“. გრიგორიმ თქვა: „წაბლისფერი თმა ჰქონდა, ცისფერი თვალები, კოსტუმი არ მახსოვს, მაგრამ ყავისფერი არ ყოფილა. 30 წლის იქნებოდა“. დიმიტრიმ თქვა: „შავთმიანი იყო და შავთვალა, ნაცრისფერკოსტუმიანი,

28 წლის“. ეგვენიმ თქვა: „ქერა იყო, თაფლისფერთვალეა, ცისფერ-
კოსტუმიანი, 32 წლისა“.

ნიკამ გადაიხარხარა:

— თუ გინდათ, სიმართლე გითხრათ, თითოეული თქვენგანი სამ-
ჯერ შეცდა. თითოეულ კითხვაზე ექვსი პასუხიდან ერთი მაინც
სწორია. მე კარგად ვიცნობ ამ კაცს, იგი ჩემი კარის მეზობელია.

— დიდი ამბავი, — უპასუხეს მათ და კიდევ გაარკვიეს.

თქვენ თუ შეძლებთ გარკვევას?

27.

— ეინმე დევიდ ლიპარტმა, — მოახსენა ინსპექტორ ვერნერს სერ-
ჟანტმა, — გვაცნობა, რომ მას მოპარეს ძვირფასი მონეტა. ლიპარტს
მშვენიერი ნუმისმატური კოლექცია აქვს. ახალი მონეტა რამდენიმე
დღის წინ შეიძინა. იგი რამდენიმე წელიწადს ეძებდა მას და როგორც
იქნა იშოვა. მასთან მისი ორი ძმა ცხოვრობს. ისინიც კოლექციონერები
არიან. უფროსი, ფრედერიკი, მარკებს აგროვებს, უმცროსი, ლეონი,
კი — ძველ წიგნებს. ძმები სულ ეჭვით უყურებენ ერთმანეთს და თუ
ერთმა რაიმე კარგი მოიხელთა, სხვები ბრაზდებიან. ყველას კო-
ლექცია ერთ დიდ, საერთო ოთახში ინახება, კარადაში. კარადის გა-
საღები ბუხრის თავზე ვაზაში დევს. გუშინ დევიდს მისი ნაცნობი
იანეკი ეწვია. დევიდმა მას თავისი მონეტა უჩვენა. მონეტა იანეკს
ისე მოეწონა, რომ მაშინვე დიდი ფული შესთავაზა, მაგრამ დევიდმა
არ გაყიდა. დღეს დილით იანეკმა ისევ დაურეკა დევიდს და თავისი
წინადადება ისევ გაუმეორა. დევიდმა კვლავ უარი უთხრა და შემდეგ
დიდი ოთახისაკენ გასწია, რათა ერთხელ კიდევ ენახა ახალი მონეტა.
მონეტა ადგილზე აღარ აღმოჩნდა. კარადა გასაღებითაა გაღებული,
რადგან ბოქლომი მთელია.

— თითის ანაბეჭდები? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— არ აღმოჩნდა. ის ადგილები, რომელსაც ადამიანის ხელი შეიძ-
ლება შეხებოდა, გულმოდგინედ იყო გაწმენდილი. ფრედერიკი იფი-
ცება, რომ არაფერი იცის. ლეონი კი დღეს დილით ადრე გავიდა
სახლიდან და დაკითხვა ვერ მოხერხდა.

— ვიცი, ვინც აიღო ამ სამიდან მონეტა, — თქვა ინსპექტორმა.

ვინ?

ბრძენი ჰასან-საიდის ქება-დიდება ყოველთვის წინ უსწრებდა მის გამოჩენას. როგორც კი დიდმა ვეზირმა შეიტყო მისი მობრძანება თავის სამფლობელოში, მოისურვა მასთან შეხვედრა.

– ჩემი ბრძენთა საბჭო, – მიუბრუნდა ჰასან-საიდს დიდი ვეზირი, – შედეგება თორმეტი ადამიანისაგან. თითოეული მათგანის სიბრძნეში მე არაერთხელ დავრწმუნებულვარ, მაგრამ მე მსურს დავრწმუნდე მთელი საბჭოს სიბრძნეში. შესძლებ, ისეთი გამოცდა მოუწყო საბჭოს, რომელსაც მხოლოდ მაშინ ჩააბარებენ თუ თითოეული მათგანი შესაბამის სიბრძნეს გამოიჩენს?

– კარგი, – უთხრა ჰასან-საიდმა, – შეკრიბე შენი საბჭო.

როდესაც ბრძენთა საბჭო შეიკრიბა, ბრძენთა-ბრძენმა მათ შემდეგი სიტყვებით მიმართა:

– ყოველი თქვენგანის წინ თითო ზარდახშა დევს. გთხოვთ რიგ-რიგობით გახვიდეთ დარბაზიდან. ამ დროს თქვენ ზარდახშაში ჩავდებ ერთ-ერთ ძვირფას ქვას, ლალს ან ზურმუხტს, ყველა დანარჩენი დანახავს რაც ჩავდე.

პირველ ბრძენს ჰასან-საიდმა ლალი ჩაუდო, მეორეს და მესამეს ზურმუხტი. ერთი მეორეს მიყოლებით გადიოდნენ ისინი დარბაზიდან და თითოეულის კოლოფში ერთ-ერთ ძვირფას ქვას დებდნენ. როცა დარბაზში დაბრუნდა ბოლო ბრძენი, ბრძენთა-ბრძენმა უთხრა მათ:

– ყველა თქვენგანმა ნახა, ვის რომელი ქვა ჩავუდე, მხოლოდ ის არ იცის, საკუთარ ზარდახშაში რა დევს, მაგრამ თუ თქვენ ბრძენი ხართ და თვალი და მეხსიერება არ გლალატობთ, შეასრულეთ ჩემი თხოვნა, – ყველამ ვის ყუთშიც ზურმუხტი ჩავდე, მიიტანოს კოლოფი დიდ ვეზირთან.

ყველა ბრძენი ჩუმად იდგა, არც ერთს არ გადაუდგამს ნაბიჯი. დიდი ვეზირი განრისხდა და ბრძანა საბჭოში შემავალი ყველა ბრძენი სასახლიდან გაეგდოთ, მაგრამ ჰასან-საიდმა დაიცვა ისინი. ვეზირს უთხრა, რომ თვითონაც ასე მოიქცეოდა. 10 წუთის შემდეგ ჰასან-საიდმა თხოვნა გაიმეორა:

– ყველამ, ვისაც ზარდახშაში ზურმუხტი უდევს, დადეთ იგი ვეზირის წინ.

ყველა ისევ თავის ადგილზე დარჩა. ყოველ 10 წუთში იმეორებდა ჰასან-საიდი თავის თხოვნას, მაგრამ მხოლოდ პირველი თხოვნიდან ერთი საათის შემდეგ, რამდენიმე ბრძენი მივიდა ვეზირთან და თავისი

ზარდახმა დაუდო წინ. მათში ზურმუხტი იდო, დანარჩენ ზარდახმაში კი ლალი. ამ ხნის მანძილზე არც ერთ ბრძენს არაფერი უკითხავს, ხმაც კი არ ამოუღია.

— ო, დიდო ვეზირო, შენ შეგიძლია იამაყო, შენს საბჭოში მართლაც ბრძენი ხალხია თავმოყრილი, — მიულოცა ბრძენთა-ბრძენმა და სასახლე დატოვა.

რამდენი ზურმუხტი ჩადო ჰასან-საიდმა ზარდახმაში? როგორ მიხვდნენ, ვის რომელი ქვა ჰქონდა?

29.

თითქმის ყველა პიანისტს პატარ-პატარა უცნაურობები სჭირს. საქმეში ჩაუხვდავი კაცისათვის ისინი შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ თუ ცოტას დავაკვირდებით, ამ ადამიანთა საქმიანობაში ბევრ საოცრებას ვნახავთ.

გადავხედოთ ერთ-ერთი ცნობილი, შეიძლება ითქვას, გამოჩენილი პიანისტის უკანასკნელი კონცერტის პროგრამას. მან შეასრულა ბეთჰოვენის, ბრამსის, მოცარტის, ლისტის და შოპენის ნაწარმოებები. მაგრამ თითოეული კონცერტისათვის მუსიკოსი ამ კომპოზიტორების მხოლოდ ოთხ პიესას ირჩევდა, თანაც ისე, რომ არ ყოფილა შემთხვევა პროგრამაში ოთხივე კომპოზიტორი ერთი და იგივე მიმდევრობით ყოფილიყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, ბეთჰოვენი და მოცარტი ერთ პროგრამაში არასდროს ყოფილა ჩართული. მაგრამ თუ რომელიმე საღამოს პიანისტი არ უკრავდა ბეთჰოვენს, მაშინ აუცილებლად ასრულებდა მოცარტის ნაწარმოებებს და მათ შორის შოპენის ნაწარმოებებს. თუ მოცარტი არ იყო პროგრამაში, პიანისტი თავის კონცერტს ბრამსის პიესით ამთავრებდა. ამას გარდა, მას წესად ჰქონდა, თუ პროგრამაში იყო ბრამსი, კონცერტი უნდა დაწყებულიყო ლისტით.

ვთქვათ, თქვენ იცით, რომ ამ სერიის სამი კონცერტი ერთი და იგივე კომპოზიტორის ნაწარმოებებით მთავრდებოდა. შეეცადეთ დაადგინოთ, რომელი კომპოზიტორების მუსიკა სრულდებოდა ბოლო კონცერტზე და რა თანმიმდევრობით.

30.

პალიჯანი სანაპიროზე იჯდა, ფილატელისტ მერფის სახლის წინ, და ყურადღებით ათვალიერებდა თოლიის ნაკვალევს. ნაკვალევი წყლის პირას წყდებოდა.

– თოლია ნახევარი საათის წინ აფრენილა, – თქვა მან, – თორემ მის კვალს მოქცევა წაშლიდა.

– მე თქვენ იმისთვის გამოგიძახეთ, რომ ბატონი დეკოვეა დაამ-
შვიდოთ, როცა მოვა და არა იმისათვის, რომ თოლიებზე მელაპარა-
კოთ, – წამოიძახა მერფიმ.

– ვიცი. თქვენ ისიც მითხარით, რომ გქონდათ ჩვენ ღრომდე შემონახული 1857 წლის ორადღორი მარკა.

– ღიახ, ორივე მარკა ჩემს მაგიდაზე იდო, მე ისინი მოვამზადე, რათა დეკოვეის ენახა. იგი 10 000 მარკას მიხდიდა მათგან საუკეთესოში.

– ხოლო მაგიდასთან რომ ფანჯარაა, გაღებული იყო, არა?

– ღიახ, დიდიდანვე ოკეანის მიმართულებით ქარი ქროდა. უცებ ფანჯარა მთლიანად გაიღო, ერთ-ერთი მარკა ქარმა აიტაცა და პირ-
დაპირ ოკეანისაკენ წაიღო, მეორე კი ძლივს გადავარჩინე.

– მაგრამ, ახლა რომ ქარი არ ქრის?

– ქარი ნახევარი საათის წინ ჩადგა, სწორედ მაშინ, მე რომ დაგირეკეთ.

– ახლა, გადარჩენილი მარკის ფასი ავტომატურად ორჯერ გაიზრდება, არა? თქვენ გსურთ, რომ მე მყიდველთან თქვენი მონაყოლი დაგიდასტუროთ? არა, მე ამას არ გავაკეთებ, რადგან „დაკარგული“ მარკა თქვენ გაქვთ.

როგორ მიხვდა პალიჯანი ამას?

31.

ღეიდა დაშას რვა დედალი ჰყავდა. ყველა კვერცხს დებდა, მაგრამ ყველა როდი დებდა ყოველდღე. ნაწილი დღეგამოშვებით დებდა კვერცხს, ნაწილი – ორი დღის შემდეგ, ხოლო დანარჩენი – ყოველდღე.

ორშაბათს დიასახლისმა რვა კვერცხი აიღო, ხოლო ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, ე.ი. ექვს დღეში – 31 კვერცხი.

ცნობილია, რომ ორ-ორი დღის შემდეგ კვერცხის მადებარი ქათმების რიცხვი სამჯერ ნაკლებია იმ ქათმებზე, რომლებიც ყოველ-
დღე და დღეგამოშვებით დებს კვერცხს.

რამდენი ქათამი დებს კვერცხს ყოველდღე, ორ-ორი დღის შემდეგ და რომელ უახლოეს დღეს ამოიღებს დაშა საბუდარიდან 8 კვერცხს.

32.

შვიდი მეგობარი თავიანთ რაიონებში დღეგამოშვებით მორიგეობს. თითოეული – თითო საღამოს. ზაზა სანდროს შემდეგ, გურამი ორი

დღით ადრე, ვიდრე გიორგი, დათო ნიკოს მორიგეობიდან ერთი დღის გამოშვებით, ვაჟას მორიგეობის დღე ხუთშაბათია და იგი სანდროს სამორიგეო დღეების შუაშია.

ვინ როდის მორიგეობს?

33.

აბელი, ბაბელი და ვაბელი ერთ ავენიუზე ცხოვრობენ, რომელსაც სახელად ჰქვია „აბრაკადაბრა სტრიტი“, მაგრამ სხვადასხვა სახლებში. ერთი მათგანი პოლიტიკოსია, მეორე — მეეზოვე, მესამე — კლერკი. ქუჩის სახლებს ასეთი ნომრები აქვთ. კენტები 1-დან 99-მდე, ლუწები 2-დან 100-მდე.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ, შემთხვევით, მათ გვერდით აღმოჩნდით ერთ მაგიდასთან და სტუმრად მიგიწვიეს.

აბელმა გითხრა: „ჩემი სახლის ნომერი უნაშთოდ იყოფა 4-ზე, ბაბელისა — 3-ზე და ვაბელისა 36-ზე“.

ბაბელმა განაცხადა: „აბელის სახლის ნომერი იყოფა 8-ზე, ჩემი იყოფა 12-ზე და ვაბელისა 24-ზე“.

ვაბელმა დაასკვნა: „მე ვიცი, რომ აბელის სახლის ნომერი იყოფა 32-ზე, ბაბელისა 7-ზე ჩემი კი — 5-ზე“.

თავისი სახლის ნომერი არც ერთმა არ გითხრა. დაუმატებთ, რომ პოლიტიკოსი ყოველთვის ცრუობს, მეეზოვე არასდროს არ ცრუობს, კლერკი კი, როგორც ყოველთვის, ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევს. მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ კლერკი იმ სახლში ცხოვრობს, რომლის ნომერი რაღაც რიცხვის კვადრატია, ხოლო პოლიტიკოსი და მეეზოვე ერთმანეთთან რომ მივიდნენ სტუმრად, ქუჩა უნდა გადაკვეთონ.

შეგიძლიათ თუ არა, თქვათ ვისი სახლი რა ნომერია?

34.

აცნობეს თუ არა, რომ ნაცრისფერმა „შევროლემ“, რომლის ნომერი ექვსიანით იწყებოდა, გაიტანა ქალი და მიიძალა. ინსპექტორი ვერნერი და სერჟანტი ფიტი ბატონ ნილენდერის ვილისაკენ გაემართნენ, რომლის მანქანა თითქოსდა შეესაბამებოდა აღწერილს. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ ისინი უკვე ადგილზე იყვნენ.

ნაცრისფერი „შევროლე“ სახლის წინ იდგა. დაინახა თუ არა პოლიციელები, მასპინძელი პირდაპირ ხალათით ჩავიდა მათთან.

– მე დღეს არსად გავსულვარ, – განაცხადა მან, როცა ინსპექტორს მოუსმინა.

– ვერც შეეძლებდი, გუშინ მანქანის გასაღები დაეკარგე, ახალი კი მხოლოდ პარასკევს იქნება მზად.

ფიტმა, რომელსაც უკვე მოესწრო მანქანის დათვალიერება, ინსპექტორს ურჩია:

– ჩანს მართალს აზრობს, მანქანას დაჯახების კვალიც არ ეტყობა.

ინსპექტორი მანქანის კაპოტს დაეყრდნო და უპასუხა:

– ეს არაფერს ნიშნავს, დარტყმა ძლიერი არ ყოფილა, დაზარალებული ხომ ცოცხალია. თქვენი ალიბი კი, ბატონო ნილენდერ, ძალზე საეჭვო მეჩვენება. სად დამალეთ გასაღები და რატომ ცდილობთ დამიმალოთ, რომ ეს ესაა შინ ამ მანქანით დაბრუნდით?

რა საბაბით შეიტანა ინსპექტორმა ეჭვი?

35.

მებაღეები კმაყოფილნი დარჩნენ. მარწყვი ბევრი მოვიდა. გაზარებული პეტრე მეზობლის მოსაველითაც დაინტერესდა. აღმოჩნდა, რომ მან სამჯერ მეტი მარწყვი მოკრიფა, ვიდრე პავლემ. ამ აზრით იმდენად გაახარა, რომ ისიც კი არ სწყენია, როცა შეიტყო, რომ ივანემ მასზე ორჯერ, ხოლო სერგომ სამჯერ მეტი მარწყვი მოკრიფა.

ცოლები მურაბის ხარშვას შეუდგნენ. თეკლეს ბევრად მეტი მარწყვი აღმოაჩნდა, ვიდრე მართას, მაროს კი 55 კგ-ით მეტი, ვიდრე ანიკოს.

რა ჰქვია პეტრეს ცოლს? რამდენი მარწყვი ერგო მას?

36. იპოდრომზე

იპოდრომზე გამართულ შეჯიბრებაში ექვსი ჟოკეი ღებულობდა მონაწილეობას. ივანიძე, პეტრიაშვილი, პავლიაშვილი, ჭინჭარაული, შეთეკაური, გომელაური. მათ სხვადასხვა ფერის კამზოლები ეცვათ: ლურჯი, წითელი, მწვანე, ყვითელი, მელნისფერი, ცისფერი. ცხენების სახელებია: მეტეორი, შმაგი, ლურჯა, ქურანა, ნიავეი, ისარი. სტარტზე ისინი შემდეგნაირად განლაგდნენ:

კენტ ბილიკებზე (I, III, V) – ივანიძე, ლურჯკამზოლიანი ჟოკეი და ისარი.

წვილ ბილიკებზე (II, IV, VI) – პეტრიაშვილი, წითელკამზოლიანი ჟოკეი და ქურანი.

ნიავე პეტრიაშვილის მარჯვნივ იყო, შმაგი მარცხნივ. ჭინჭარა-ული არ ყოფილა მარცხენა განაპირა მხარეს, ხოლო მწვეანეკამზო-ლიანი ჟოკეი – მარჯვენა განაპირა მხარეს. შეთეკაური ქურანასა და წითელკამზოლიან ჟოკეის შორის იყო. ხოლო ლურჯ კამზოლიანი ჟოკეი – გომელაურსა და ლურჯას შორის. წითელკამზოლიანი ჟო-კეის მცდელობა, გაესწრო გვერდით მიმავალი ჰავლიაშვილისა და ისარისათვის, უშედეგოდ დამთავრდა.

ცისფერკამზოლიანი ჟოკეი ჩამორჩა ლურჯას, ყვითელკამზო-ლიანმა ჟოკეიმ გაუსწრო შეთეკაურს.

რომელ გზაზე მიჰქროდნენ ისინი, რა ფერის კამზოლი ეცვა თითოეულს და რომელ ცხენზე იჯდა?

37. შეჯიბრება

მძლეოსნობის ოთხ სახეობაში – სიმაღლეზე ხტომა, სიგრძეზე ხტომა, შუბის კერა, სირბილი – გამართულ შეჯიბრებაში მონაწილე-ობდნენ ოთხი ორგანიზაციის – „დინამო“, „ქარიშხალა“, „სპარტაკი“, „შრომა“ – სპორტსმენები. სპორტის თითოეულ სახეობაში პირვე-ლობისათვის აკუთვნებდნენ ჩემპიონის ტიტულს და აძლევდნენ 4 ქულას. მეორე ადგილისათვის – 3 ქულას, მესამე ადგილისათვის – 2 და მეოთხესათვის – 1 ქულას. შეჯიბრების შემდეგ თითოეულმა სპორტსმენმა შეაგროვა 10 ქულა.

გაარკვიეთ: რამდენი ქულა დააგროვა თითოეულმა სპორტსმენმა სპორტის თითოეულ სახეობაში, თუ ცნობილია, რომ:

სირბილში „სპარტაკელმა“ სპორტსმენმა იგივე ადგილი დაიჭირა, როგორც „ქარიშხალელმა“ სიმაღლეზე ხტომაში.

სპორტსმენმა „ქარიშხალადან“ შუბის ტყორცნაში უფრო მეტი ქულა მიიღო, ვიდრე „დინამოელმა“ სიმაღლეზე ხტომაში.

„დინამოელი“ სპორტსმენი უკეთესად ხტოდა, ვიდრე სპორტსმენი „ქარიშხალადან“.

სპორტსმენმა „ქარიშხალადან“ შუბის ტყორცნაში ნაკლები ქულა მიიღო, ვიდრე სპორტსმენმა „შრომიდან“ სიგრძეზე ხტომაში.

რამდენი ქულა დააგროვა თითოეულმა სპორტსმენმა სპორტის ცალკეულ სახეობაში?

38. სტუდენტური გატაცება

ოთხი სტუდენტი სპორტს მისდევს და მონაწილეობს მხატვრულ თეიმოქმედებაში. განსაზღვრეთ ვინ რითაა გატაცებული, თუ ცნობილია:

1. მოკრივეს ბადრიჯანი უყვარს, მიხოს ყაბაყი.
 2. სტუდენტი, რომელიც ბალეტზე დადის, ძალოსანთან მეგობრობს.
 3. გიორგი დიდი ორიგინალია.
 4. სტუდენტი, რომელიც დადის მხატვრული შემოქმედების წრეში, თვლის, რომ მოჭადრაკე ისევე ძლიერი რომ იყოს, როგორც ლაშა და მოხერხებული როგორც მიხო, გოგონებში დიდი წარმატება ექნებოდა.
 5. დათო ყოველ დღით ფეხსაცმელებს წმენდს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ძალოსანზე.
 6. სტუდენტი, რომელიც ქარგვის წრეშია, ცისფერთვალებაა.
 7. მოკრივე ბალეტის წრეში მონაწილეობას არ თვლის თავისი ღირსების შესაფერისად. ლაშა ასე არ ფიქრობს, მაგრამ თვითონ ამ წრეში არ მონაწილეობს.
 8. ძალოსანი ლაშას არ იცნობს და არც სურს, რომ გაიცნოს.
 9. მოკრივეს მერი უყვარს, მერის დათო, დათო კი გუნდში მღერის.
 10. მეოთხე სტუდენტი ფეხბურთელია.
- ვინ რითაა გატაცებული?*

39.

შეჯიბრების წინ მწვრთნელმა გადაწყვიტა მსუბუქი წონის ოთხ მოკრივეს შორის შეხვედრა ჩაეტარებინა. თითოეულ მოკრივეს დანარჩენ სამთან თითო ბრძოლა უნდა ჩაეტარებინა. შეჯიბრებები სამი შაბათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ყოველ შაბათს ორ-ორი შეხვედრა.

პირველ შაბათს კახა შეხვდა მამუკას და მეორე რაუნდში დაამარცხა. მეორე კვირას კახამ ისევ წააგო, ამჯერად სანდროსთან, მაგრამ თავის ბოლო შეხვედრაში მან წარმატებას მიაღწია. მეორე თარსიანი, რომელმაც ასევე სამიდან ერთი შეხვედრა მოიგო, იყო სანდრო.

ყველა დიდი ინტერესით ელოდა მამუკასა და ნიკოს შეხვედრას, რომლებიც ამ ოთხიდან ყველაზე პერსპექტიული მოკრივეები იყვნენ.

ვინ მოიგო ეს შეხვედრა, რომელ შაბათს შედგა იგი?

მეზობლები, სტოუნი და კლარკი, ერთმანეთთან კარგ ურთიერთობაში იყვნენ, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვოდით მათი შვილებისა და ცოლების შესახებ. როცა გაზაფხულის წყლებმა ხიდი წალეკა, რომელიც ბაზართან აკავშირებდათ, სერიოზული პრობლემა გაჩნდა. ბაზარში რომ წასულიყვნენ, ორივე ოჯახი მეორე ნაპირზე უნდა გადასულიყო, მათ კი ერთი პატარა, ორადგილიანი ნაეი ჰქონდათ. სწორედ ამიტომ, როცა სამივე სტოუნი და სამივე კლარკი ნაპირს მიაღწა, თავსატეხი გაუჩნდათ: ორივე მამაკაცი სიამოვნებით იმგზავრებდა ერთმანეთის კომპანიაში, მაგრამ ძალიან სარისკო იყო, თუ ნაეში ერთად აღმოჩნდებოდნენ სხვადასხვა ოჯახის ქალები ან ბიჭები და მათ გვერდით მამაკაცი არ იქნებოდა. გარდა ამისა, ნიჩბის მოსმა მხოლოდ უფროსებს შეეძლოთ, ბიჭები ჯერ პატარები იყვნენ.

გაარკვიეთ როგორ გადაცუროს მდინარე ამ ექვსმა ადამიანმა?



1. ვერნერი ამ დასკვნამდე მივიდა იმის გამო, რომ შემოსულმა აანთო ასანთი. თუ გაზი ამ უკანასკნელის ჩართული იყო, ასანთს არ აანთებდა.

2. ნახევარ საათში სიცხეში ნაყინი მთლიანად დნება.

3. ტყუილა ცოლი, რადგან ვინც თავის მოკვლას აპირებს მეორე დღისათვის საათს არ მომართავს. საათი საღამოს იყო მომართული, როცა მოკლული შინ მარტო იყო და ცოლის მოსვლისათვის იგი ცოცხალი იყო. ამასთან, ცოლი ამტკიცებდა, რომ სროლის ხმა არ გაუგონია, ეს კი შეუძლებელი იქნებოდა.

4. პევენმა ცალი ხელთათმანი მარცხენა ხელზე ჩაიცვა, რომელზეც საათი ეკეთა, ნაპოვნი ხელთათმანიც მარცხენა ხელისაა.

5. ამოკანის ამოხსნისას შეგიძლიათ ისარგებლოთ ქვემოთ მოყვანილი სქემით:

გვარი პროფ.	პატაპოვი	შედრინი	სეზიონოვი	კონოვალოვი	სამოილოვი
პილოტი	-	-	+	-	-
შტურმანი	-	+	-	-	-
ბორტმექანიკოსი	-	-	-	+	-
რადისტი	+	-	-	-	-
სინოპტიკოსი	-	-	-	-	+

განიხილეთ თითოეული გვარი და „+“ „-“ -ის გამოყენებით გამორიცხეთ პროფესიები. ტექსტიდან გამომდინარე: შედრინმა არ იცის თვითმფრინავის მართვა, ე.ი. არ არის პილოტი, არ არის რადისტი, არ არის ბორტმექანიკოსი და არც სინოპტიკოსი, ე.ი. იგი შტურმანია და ა.შ.

6. პირველი მცხოვრები არის სლიმენი და ცრუობს, რადგან ბინგენი ამას არ იტყოდა. ბინგენი არ იტყოდა სლიმენები ვართო, ე.ი. ოთხიდან ერთი მაინც არის ბინგენი.

მეორე მცხოვრებიც სლიმენია, რადგან იგი ბინგენი რომ ყოფილიყო, მაშინ იქნებოდა სამი ბინგენი და მესამე მცხოვრებიც იქნებოდა ბინგენი. მესამე მცხოვრების ნათქვამი კი ეწინააღმდეგება ამას.

მესამე სლიმენია, იგი შეიძლება ბინგენი ყოფილიყო, მაგრამ მაშინ იქნებოდა ორი ბინგენი მისი სიმართლიდან გამომდინარე. ეს კი ეწინააღმდეგება მეოთხის ნათქვამს: „ბინგენი მე ვარ“. ე.ი. სამი სლიმენია და მეოთხე ბინგენი. იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ამჟამად მხოლოდ სიმართლეს ამბობენ.

7. კლოდი და ჟაკი, ჟაკი და დიკი, დიკი და კლოდი ერთდროულად სიმართლეს ვერ იტყოდნენ, რადგან მოწმეების თითოეულ წყვილში ერთი მეორეს სდებს

სიკრუეში ბრალს. ამიტომ, ან ერთი მოწმე ამობოდა მართალს, ან სამივე ცრუობდა. ისინი იგივე მიზეზის გამო ერთდროულად ვერც ტყუილს იტყობდნენ. აქედან გამომდინარე, უაკი ამობოდა მართალს, დიკი და კლოდი კი ცრუობდნენ.

8. მსჯელობა უნდა დალაგდეს განსხვავებული თანმიმდევრობით. შეიძლება დაეინფოთ ნებისმიერი მსჯელობიდან, ვთქვათ ასე:

I. მხოლოდ იმ სტუდენტებს მოსწონთ თურქული ყავა, რომლებიც დადიან კაფე „სტამბოლში“ (8).

II. კაფე „სტამბოლში“ ყოველთვის აქვთ თურქული ყავა (1).

III. ნებისმიერი სტუდენტი, რომელიც ფილატელისტია დადის კაფე „სტამბოლში“ (6).

IV. არც ერთი სტუდენტი, რომელიც ბერეტს არ ატარებს, ფილატელისტად არ ითვლება (4) (ე.ი. ფილატელისტია ის ვინც ბერეტს ატარებს).

V. ბერეტს ის სტუდენტები ატარებენ, რომლებიც სანაპირომდე ტრამპაით დადიან (9).

VI. არც ერთი სტუდენტი, რომელსაც ბეთპოვენი მოცარტზე მეტად მოსწონს არ დადის სანაპირომდე ტრამპაით (2) (ე.ი. სანაპირომდე ტრამპაით დადის ის, ვისაც მოცარტი ბეთპოვენზე მეტად მოსწონს).

VII. ყველა სტუდენტი, რომელიც ღრამწრეში მონაწილეობს, მოცარტს უფრო ამჯობინებს, ვიდრე ბეთპოვენს (7).

VIII. ნებისმიერი, ვინც იცის ფრანგული, შეიძლება იყოს ღრამწრის წევრი (5).

I. ყველა სტუდენტმა იცის ფრანგული (3).

დასკვნა: ყველა სტუდენტს მოსწონს თურქული ყავა და დადის კაფე „სტამბოლში“.

9. ლოგანი იყო ახოვანი კაცი. თუ მანქანაში მისი მინიატურული ცოლი იჯდა, მაშინ თავის ზომაზე უნდა მოეწყო საჭე და სავარძელი. ლოგანი კი მაშინვე მოხერხებულად მიუჯდა მას.

10. ადამიანის ხმა არ იცვლება.

11. ვთქვათ, პირველი ცნობა სწორია, მაშინ დანარჩენი სამი მცდარია და მივიღებთ, რომ ხარატიშვილი და მჭედლიშვილი ორივე ღურგალია. ეს კი ეწინააღმდეგება პირობას. ე.ი. პირველი ცნობა მცდარია.

დაკუმვათ, სწორია მეორე ცნობა (ზეინკლიშვილი ხარატია). მაშინ მცდარია დანარჩენი სამი და, აქედან გამომდინარე, მჭედლიშვილი არის ღურგალი, ღურგლიშვილი არის მჭედელი, ხარატიშვილი არის ზეინკალი, ხოლო ზეინკლიშვილი ხარატი.

ვთქვათ, სწორია მესამე ცნობა (მჭედლიშვილი არ არის ღურგალი), მაშინ მცდარია ყველა დანარჩენი და მივიღებთ, რომ ღურგლიშვილი არის მჭედელი, ხარატიშვილი არ არის ღურგალი, არ არის მჭედელი, არ არის ხხარატი. მაშინ იგი ზეინკალია. მჭედლიშვილი ღურგალი არ არის, გვარის გამო მჭედელი ვერ იქნება, ზეინკალიც არ არის. ე.ი. იგი ხარატია. ზეინკლიშვილი არ არის ხარატი. არ არის ზეინკალი, არ არის მჭედელი, ე.ი. ღურგალია. ახლა ვიცი ყველა გვარი და პროფესია.

დურგლიშვილი მჭედელია; ხარატიშვილი ზეინკალია, მჭედლიშვილი ხარატია, ზეინკლიშვილი კი დურგალია:

ზეინკლის გვარია ხარატიშვილი.

12. რადგან თითოეულმა დაკითხულმა სიმართლე ორჯერ თქვა და სამჯერ იცრუა, სწორი პასუხის ოდენობა იქნება 8. ამის გათვალისწინებით ყველა ჩვენებები ცხრილის სახით წარმოვიდგინოთ:

მკვლელი	იარაღი	მკვლელობის ადგილი	მკვლელობის დრო	სადაადაპა- ლული გვამი
პიკლოკი	ავტომატი	სანაპირო	10 სთ	მდინარეში
ჯენისონი	კოლტი	ჩელსი	9 სთ	მდინარეში
სლივენსი	კოლტი	სანაპირო	11 სთ	საბარგულში
კონომენი	ავტომატი	პანტი	12 სთ	ნაგვის ყუთში
1	2	2	1	2

ბოლო სტრიქონში მითითებული რიცხვები არის სწორი მტკიცებების მაქსიმალური ოდენობა თითოეული სვეტისათვის. რადგან სწორი მტკიცებების რიცხვი სულ არის 8, სწორი მტკიცებების მაქსიმალური რაოდენობა სვეტებისათვის „იარაღი“, „მკვლელობის ადგილი“, „დამალვის ადგილი“ – არის 2. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მკვლელობა მოხდა სანაპიროზე და გვამი მდინარეში ჩააგდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს კონომენის ჩვენებებია, მაშინ მისი ყველა დანარჩენი ჩვენება მცდარია და მკვლელობა ჩადენილია არა ავტომატით, არამედ კოლტით. დუ შემოთ თქმულთან ერთად, საითთაოდ გავითვალისწინებთ, დანარჩენის ჩვენებებს, ვნახავთ, რომ სლივენსის ჩვენებაში ტყუილია მკვლელობის იარაღი, გვამის დამალვის ადგილი, მკვლელობის ადგილი. ე.ი. დანარჩენი ორი ცნობა სწორი უნდა იყოს (პირობიდან გამომდინარე) – მკვლელობა მოხდა შუალამისას 12 საათზე და მკვლეელია კონომენი.

ამრიგად, სერჯანტი მივიდა დასკვნამდე – მაგიტი მოკლა კონომენმა კოლტით. ეს მოხდა სანაპიროზე, ღამის 12 საათზე. გვამი მდინარეში ჩააგდო.

13. ამოცანის პირობები მოკლედ ჩამოვწეროთ. ნაკრების კანდიდატები მათი სახელების საწყისი ასოებით აღვნიშნოთ:

1. პ+მ – შეუძლებელია
2. ბ+ბ – შეუძლებელია
3. თუ ტ+ბ, მაშინ გ გამორიცხულია
4. თუ არ არის ბ, არ არის მ+ბ
5. თუ ს არაა, მაშინ არაა ჯ
6. თუ არის ს, მაშინ ბ არაა
7. თუ არის მ, მაშინ ბ არაა.

პირველი გუნდის კანდიდატებია: ბ+ბ+მ+ბ+ჯ

მეორეს კანდიდატებია: ტ+ბ+ბ+მ+ს

დავუშვათ ნებისმიერად, რომ კ შედის ნაკრებში, მაშინ (7) პირობის მიხედ-
ვით იქ ვერ შევა მ და (2) პირობიდან გამომდინარე იქ ვერ შევა ბ+პ, მაშინ
პირველი გუნდიდან ნაკრებში შეიძლება შევიდეს ბ+ბ+პ, ან ბ+პ+პ. ორივე
შემთხვევაში მონაწილეობს ბ, მაშინ (6) პირობის მიხედვით იქ ვერ შევა ს,
ხოლო (5)-ის თანახმად ვერ შევა პ და ჩვენ წინააღმდეგობაში ჩავეარდით, ე.ი.
ამოსავალი დაშვება იყო მცდარი.

თუ დავუშვებთ, რომ მ არ შევა ნაკრებში, ენახაეთ, რომ ამჯერად არ
შეემცდარვართ. მაშასადამე მ არ შევა ნაკრებში.

რადგან (1)-ის თანახმად მ+მ შეუძლებელია, ხოლო მეორე გუნდიდან
ნაკრებში არ შეიძლება შევიდეს ტ+პ+ს (3)-ის თანახმად, მაშინ რჩება ტ+მ+ს.

პირველი გუნდიდან, (6)-ის თანახმად, ვერ შევა ბ და (4)-ის თანახმად ვერ
შევა მ+პ, ხოლო (2)-ის თანახმად ბ+პ ვერ შევა. ამრიგად, პირველი გუნდიდან
დარჩა ბ+მ+პ.

ნაკრების შედგენილობა განსაზღვრულია: არტური, მაიკლი, ჯონი, ტომი,
ელი, სემი.

14.

სტუდენტის სახელი	დაბადების ადგილი	ველოსიპედის დამზადების ადგილი
სერგეი	მოსკოვი	რიგა
ბორისი	რიგა	პენზა
ლეონიდი	ხარკოვი	ლვოვი
გრიგორი	პენზა	ხარკოვი
ვიქტორი	ლვოვი	მოსკოვი

ცხრილიდან ჩანს, რომ ლეონიდის ველოსიპედი ლვოვში უნდა იყოს დამზა-
დებული. ლეონიდი არ არის რიგიდან და არც ლვოვიდან. იგი ვერ იქნება პენზი-
დან, რადგან მაშინ პენზაში დაბადებული პენზაშივე დამზადებულ ველოსიპედზე
აღმოჩნდებოდა, ეს კი ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას. ამრიგად, ლეონიდი
ან მოსკოველია ან ხარკოველი. მოსკოველი იგი ვერ იქნება, რადგან ასეთ შემთხ-
ვევაში აღმოჩნდებოდა, რომ ვიქტორი პენზაში დაიბადა და არა ლვოვში, ე.ი.
ლეონიდი ხარკოვში დაიბადა, გრიგორი კი პენზაში.

ამრიგად მოსკოველ სტუდენტს ჰქვია სერგეი.

15. 1. დიმიტრი 2. ანდრეი 3. გრიშა 4. ვიქტორი 5. ბორისი

დიმიტრი უნდა გასულიყო პირველ ადგილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში,
თუ იგი მეორეზე გავიდოდა, გრიშა გავიდოდა მეხუთეზე, ვიქტორი მესამეზე,
ბორისი მეოთხეზე და ანდრეი აღმოჩნდებოდა პირველ ან მეხუთე ადგილზე,
რაც პირობას ეწინააღმდეგება. თუ დიმიტრი მესამეზე გავიდოდა, მაშინ გრიშა
სულ ამოვარდებოდა ხუთეულიდან, რაც ასევე პირობას ეწინააღმდეგება, ე.ი.

დმიტრი პირველ ადგილზეა, გრიშა – მესამეზე, ვიქტორი – მეოთხეზე, ბორისი – მეხუთეზე, ანდრეი – მეორეზე.

16. მჭედლიშვილი და მღებრიშვილი პარტნიორები არ არიან. პირობის მიხედვით მჭედლიშვილის პარტნიორი არის ზეინკალი, ზეინკალი გვარად ზეინკალიშვილი ვერ იქნება, ამიტომ მისი გვარი ხარატიშვილია. მღებავის გვარი კი იქნება ზეინკალიშვილი.

მჭედლიშვილი მჭედელი ვერ იქნება, იგი არის ხარატი, ხოლო მღებრიშვილი კი არის მჭედელი. მოთამაშეები პირობის მიხედვით, შეიძლება ისხდნენ ასეთნაირად:

(ხარატი) მჭედლიშვილი – მღებავი (ზეინკალიშვილი)
 მღებრიშვილი (მჭედელი) – ზეინკალი (ხარატიშვილი)
 მჭედლის მარცხნივ ზის მჭედლიშვილი (ხარატი).

17. განვიხილოთ ფრაზა:

„თუ დღეს ქარი იქნება, მაშინ ხვალ ტენიანობაც დაბალი იქნება და იწვიმებს კიდევ“. დაბალი ტენიანობა და წვიმა შეუთავსებელია, ე.ი. დღეს არ იქნება ქარი, ხვალ კი იქნება წვიმა და მაღალი ტენიანობა. რადგან ხვალ ნალექი იქნება, ამიტომ დღეს აღარ იწვიმებს („თუ დღეს იწვიმებს ხვალ ნალექი აღარ მოვა“). მაგრამ თუ დღეს არ იწვიმებს, პირობის მიხედვით, ხველ იქნება ქარიანი ამინდი. რადგან ხვალ ქარიანი ამინდია, დღეს აღარ იქნება სიცხე, ე.ი. იქნება სიცივე („თუ დღეს სიცხე იქნება, ხვალ უქარო ამინდი იქნება“). ხოლო თუ დღეს სიცივე იქნება, პირობის მიხედვით, ჰაერის ტენიანობა იქნება მაღალი. მაშასადამე:

დღეს: ცივა, ქარი არ ჰქრის, ჰაერის ტენიანობა მაღალია, არ წვიმს.

ხვალ: იწვიმებს, იქროლებს ქარი, ჰაერის ტენიანობა მაღალია.

18. ბეტა ვერ გახდება წინასწარმეტყველი, რადგან მაშინ ორი წინასწარმეტყველი იქნება (ბეტა და გამა). ვერც გამა გახდება წინასწარმეტყველი, რადგან მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ბეტას წინასწარმეტყველების ახდენა (ბეტამ იწინასწარმეტყველა, რომ გამა იქნებოდა წინასწარმეტყველი). ვერც ომეგა იქნებოდა წინასწარმეტყველი, რადგან მაშინ ახდებოდა მისი წინასწარმეტყველება, რაც შეუძლებელია – მაშასადამე წინასწარმეტყველი გახდა ალფა. ყველა დანარჩენის წინასწარმეტყველება მცდარია. ამიტომ: ომეგა მსახიობია, ბეტა არ არის მოცეკვავე, ე.ი. იგი დიასახლისია, გამა არის მოცეკვავე. ომეგა არ გაყოლია ატრაქსერქსს.

19.

მუშაობის დრო	ხელფასის რაოდენობა	
	პირველი ვარიანტი 50 დოლარი	მეორე ვარიანტი 200 დოლარი
ნახევარი წელიწადი	500	500
მეორე ნახევარი წელიწადი	550	–
სულ ერთი წელიწადი	1050	1000
მესამე ნახევარი წელიწადი	600	–
მეოთხე ნახევარი წელიწადი	650	1200
სულ ორი წელიწადი	1250	1200

20. კარლსა და კლარას შორის ასაკობრივი განსხვავება აღნიშნოთ x -ით x წლის წინ კარლი იმხელა იყო, რამხელა კლარა. როცა მას კაკალი მოჰარეს ე.ი. ახლა კარლი კლარაზე $2x$ წლით უფროსია ვიდრე კლარა, როცა მან კლარნეტი მოიპარა. ამრიგად, ახლა კარლი $4x$ წლისაა, ხოლო კლარა x წლით უმცროსია, ანუ $3x$ წლისაა. კარლი რომ 8 წლით უფროსი ყოფილიყო, მაშინ $X+8$ წლის წინ შესრულდებოდა პირობა:

$$3x = 3(2x-8), 3x = 6x-24; 3x = 24; x = 8$$

კარლი კლარნეტის დაკარგვისას იქნებოდა $3x + 8 = 24$ წლის.

21. მეორე ტურში გავიდა 82, არ გავიდა $100-82=18$. ისინი არიან გამოსაშვები კლასის მოსწავლეები, რადგან გამოსაშვები კლასის 75 მოსწავლიდან 57 გავიდა, ხოლო $75-57=18$ ვერ გავიდა. გოგონები იყვნენ სულ 42, აქედან 36 გავიდა. ე.ი. ვერ გავიდა 6. გამოსაშვები კლასის გოგონები სულ 35-ია. მათგან 30 გავიდა, 5 – ვერა. ე.ი. ერთი გოგონა, რომელიც ვერ გავიდა; არაგამოსაშვები კლასიდანაა. მაგრამ ჩვენ ზემოთ უკვე გაუარკვიეთ, რომ ყველა მოსწავლე, რომელიც მეორე ტურში ვერ გავიდა არის გამოსაშვები კლასიდან, ე.ი. ინფორმაციაში უზუსტობაა.

22. ვისარგებლოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილით:

სახელი \	სალალი	აბდულა	იუსუფი	მუჰამედი
სომხური	+	-	+	-
სპარსული	-	+	-	-
ბერძნული	-	+	+	+
თურქული	+	-	-	+

ცხრილში „+“-ით აღნიშნულია ენის ცოდნა, „-“-ით ენის არცოდნა. განვიხილოთ თითოეული მოსაუბრე: მუჰამედმა იცის თურქული, პირობის მიხედვით მან არ შეიძლება იცოდეს სომხური, არც სპარსული იცის (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აბდულას ნათქვამს უთარჯიმნოდ გაიგებდა). აქედან გამომდინარეობს, რომ მან იცის ბერძნული. იუსუფმა, პირობის მიხედვით, არ იცის თურქული, მაგრამ რადგან მუჰამედი მასთან თავისუფლად საუბრობს, ე.ი. იცის ბერძნული. აბდულა სპარსია და იცის სპარსული. სალალმა სპარსული არ იცის, რადგან, პირობის მიხედვით, სალალს, აბდულას და იუსუფს არა აქვს საერთო სასაუბრო ენა ე.ი. იუსუფმაც არ იცის სპარსული. მაშინ მან მეორე სალაპარაკო ენად უნდა იცოდეს სომხური. აბდულამ არ იცის თურქული, რადგან მას მუჰამედთან თარჯიმნობას უწევდა სალალი, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მან მეორე ენა იცის ბერძნული. რადგან სალალს, აბდულას და იუსუფს საერთო სალაპარაკო ენა არა აქვთ, უნდა ვიფიქროთ, რომ სალალმა არ იცის ბერძნული. პირობის მიხედვით მან არც სპარსული იცის, მაშინ უნდა იცოდეს სომხური და თურქული.

ამრიგად:

სალალმა იცის სომხური და თურქული;

აბღულამ – სპარსული და ბერძნული;

იუსუფმა – სომხური და ბერძნული;

მუჰამედმა – ბერძნული და თურქული.

23. მსჯელობის ერთი ვარიანტი:

საათი არ არის ფროსიასთან და დაშასთან (დარია), რადგან მათ თითოჯერ, ვისგანაც მიიღეს საათი, ისევე უკან დაუბრუნეს, ზოლო ერთმანეთისათვის საერთოდ არ გაუგზავნიათ. დარჩენენ ალათა, ვასილისა, კლავდია და მარია. პირობის მიხედვით დარიამ საათი ბოლოს ალათას გაუგზავნა (მოიკითხე ალათასთან – წერს იგი წერილში). ალათამ საათი მიიღო ორჯერ (ფროსიასგან და დარიასგან) და ორივეჯერ გაუგზავნა დებს – ვასილისას და კლავდიას. მათგან ალათას საათი აღარ დაბრუნებია, არც მარიას გაუგზავნია მისთვის საათი, ე.ი. ალათასთან საათი არ არის. დარჩენენ ვასილისა, კლავდია და მარია. მარიამ საათი ერთხელ გაუგზავნა ვასილისას და ვასილისამ, პირობის მიხედვით, გაუგზავნა კლავდიას. რადგან მას კლავდიასგან საათი არასდროს არ მიუღია, ე.ი. ამჯერად საათი არის კლავდიასთან.

მსჯელობის მეორე ვარიანტი: არც ერთ დეიდასთან, რომლებმაც პასუხი მოსწერეს წერილზე, საათი არ არის (წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეატყობინებდნენ ამის თაობაზე). ე.ი. გამოირიცხნენ ფროსია, დამა, ალათა და ვასილისა. დარჩენენ კლავდია და მარია. მარიამ საათი გაუგზავნა, პირობიდან გამომდინარე, ფროსიას და უკან დაუბრუნდა, შემდეგ – დარიას და უკან დაუბრუნდა, შემდეგ – ვასილისას და უკან აღარ დაბრუნებია. ე.ი. საათი არ არის მარიასთან. მაშინ კლავდიასთან ყოფილა.

24. თოკები ძირს ერთმანეთზე გადავებათ. შემდეგ ავცოცდეთ ერთ-ერთზე ბოლომდე და მეორე თოკი იმ ზომაზე გადავჭრათ, რომ ზემოთ დარჩენილი ნაწილიდან გაკეთდეს მარყუჟი. დავეკიდეთ ამ მარყუჟზე და პირველი თოკი ჭერთან მოვჭრათ. მისი მოჭრილი ბოლო მარყუჟში გავუყაროთ და თოკი გადაბმის ადგილამდე ამოვქაჩოთ. შემდეგ ორივე თოკზე დაბლა ჩამოვცურდეთ და უკვე იატაკიდან, თოკი მარყუჟიდან ამოვაცუროთ.

25. ნარკოტიკი ეძებთ კბილის საპასტეში, რადგან რემერი კბილის ჯაგრისსთან არ ატარებს.

26. თუ თითოეული მათგანი სამჯერ შეცდა, მაშინ ერთხელ უთქვამთ სწორი და სწორი პასუხის საერთო რაოდენობა იქნება ექვსი. თვალის შესახებ გაცემული პასუხებიდან სწორი უნდა იყოს მხოლოდ ორი. შესაბამისად, ყველა დანარჩენ კითხვაზე სწორი იქნება მხოლოდ ოთხი, მაგრამ რადგან თითოეულ კითხვაზე, სულ მცირე, ერთი სწორი პასუხია, დანარჩენ სამ კითხვაზე ორჯერ გასცეს სწორი პასუხი.

განვიხილოთ კოსტუმის ფერი: თუ ჩავთვლით, რომ სწორია პასუხი: „კოსტუმში ყოველ შემთხვევაში ყვეისფერი არ არის“, სწორი უნდა იყოს კიდევ ოთხი

პასუხი, ეს კი ეწინააღმდეგება ადრე გაკეთებულ დასკვნას, ე.ი. კოსტუმის ფერია ყავისფერი. მაშინ ვლადიმერის თვალსაზრისი თმების, თვალების და ასაკის შესახებ არ არის სწორი. რახან ასეა, მაშინ ანდრეის ერთ-ერთი სწორი პასუხი ეხება თვალების ფერს – ე.ი. თვალები ცისფერია. რადგან გრიგორიცი ამას ამბობდა, მისი დანარჩენი პასუხები მცდარია. ერთ-ერთი სწორი პასუხი თმების ფერის შესახებ არის, რომ კაცი ქერაა. ეს კაცი მხოლოდ 28 წლის შეიძლება იყოს. ყველა სხვა ვარიანტები გამოირიცხება. ისარგებლეთ ცხრილით:

სახელი	თმები	თვალები	კოსტუმი	ასაკი
ა	მწითური	ცისფერი	ნაცრისფერი	34
ბ	ქერა	შავი	ლურჯი	30
ვ	მწითური	თაფლისფერი	ყავისფერი	34
გ	წაბლისფერი	ცისფერი	არა ყავისფერი	30
დ	შავთმიანი	შავი	ნაცრისფერი	28
ე	ქერა	თაფლისფერი	ლურჯი	32

27. მონეტა აიღო იანეკმა, რადგან მხოლოდ იგი თუ წაშლიდა გულმოდგინედ თითის ანაბეჭდებს. დანარჩენები იყვნენ ოჯახის წევრები და მათი თითის ანაბეჭდები სხვა საგნებზეც იქნებოდა დარჩენილი.

28. ზარდახშაში 7 ზურმუხტი იღო. პირობის მიხედვით ჰასან-საიდ ერთი საათის განმავლობაში, ყოველ 10 წუთის შემდეგ იმეორებდა თავის თხოვნას. ე.ი. მან სულ 7-ჯერ გაიმეორა შეკითხვა.

როცა ერთი ზურმუხტია ჩადებული, მაშინ ზურმუხტის მფლობელმა იცის რომ სხვებს ზარდახშაში აქვს ლალი და აქედან ლოგიკურად ასკენის, რომ ზურმუხტი აქვს მას.

როცა ორი ზურმუხტია ჩადებული, მაშინ ზურმუხტის თითოეული მფლობელმა იცის, რომ მეორეს აქვს ზურმუხტი, მაგრამ არ იცის თვითონ აქვს თუ არა. ისინი მსჯელობენ ასე: „ერთი ზურმუხტი ნამდვილადაა ჩადებული, ჩემი თვალით ვნახე, მაგრამ მართო ერთი რომ იყოს, მაშინ მისი პატრონი პირველი კითხვის შემდეგ გავიღოდა, ე.ი. მან იცის, რომ მეორე ზურმუხტიც დევს და ეს მეორე ჩემს ზარდახშაშია; რადგან ჩემი თანდასწრებით ერთის გარდა ზურმუხტი არავისთვის ჩაუღიათ, ესე იგი, ჩვენ ორივეს ზურმუხტები გვაქვს“ ორივე ბრძენი მეორე შეკითხვის შემდეგ გადის და მიართმევს ჰასან-საიდს ზარდახშას.

როცა სამი ზურმუხტია ჩადებული, თითოეულმა იცის მინიმუმ ორი ზურმუხტის არსებობის შესახებ, ამევე დროს ითვალისწინებს, რომ დანარჩენმა ორმა იცის მინიმუმ თითო ზურმუხტის შესახებ, მაგრამ თუ ისინი პირველი და მეორე შეკითხვის შემდეგ არ გადიან, ასკენის, რომ კიდევ არის ერთი ზურმუხტის მფლობელი და ეს თვითონაა.

თუ ოთხი ზურმუხტია, მაშინ ოთხივე იცის, რომ მინიმუმ სამი ზურმუხტია ჩადებული და ელოდება მესამე შეკითხვას და თუ არაწინ გადის, აკეთებენ დასკვნას, რომ თვითონ აქვს მეოთხე ზურმუხტი და გადის მეოთხე შეკითხვის შემდეგ და ა.შ.

რადგან ყველა ბრძენი მეშვიდე შეკითხვის შემდეგ გავიდა, სულ შვიდი ზურმუხტი ყოფილა ზარდახმაში.

29. შევადგინოთ ყველა პროგრამის შესაძლო ვარიანტი ამოცანის პირობების გათვალისწინებით. ბეთპოვენი და მოცარტი ერთ პროგრამაში გამორიცხულია. ეთქვათ სრულდება ბეთპოვენი, მაშინ, პირობის მიხედვით, ორი ასეთი პროგრამაა შესაძლებელი: ლისტი, ბეთპოვენი, შოპენი, ბრამსი. ან კიდევ – ლისტი, შოპენი, ბეთპოვენი, ბრამსი. ხოლო თუ სრულდება მოცარტი, მაშინ პროგრამა სრულდება ასეთი თანმიმდევრობით: ლისტი, მოცარტი, შოპენი, ბრამსი ან – ლისტი, ბრამსი, მოცარტი, შოპენი. პირობის მიხედვით, თუ პროგრამაში ბრამსია, კონცერტი ყოველთვის ლისტით იწყება. ლისტი, ბრამსი და შოპენი კი ყველა პროგრამაშია.

რადგან ვიცით, რომ წინა სამი კონცერტის პროგრამა ერთი და იგივე კომპოზიტორით მთავრდება, ეს კომპოზიტორი კი, როგორც ჩვენ მიერ პირობის მიხედვით შედგენილი პროგრამიდან ჩანს, ბრამსია, ამიტომ უკანასკნელი კონცერტის პროგრამა ასეთი ყოფილა: ლისტი, ბრამსი, მოცარტი, შოპენი.

30. თოლიები ჩვეულებრივ ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ფრენენ. ე.ი. ნახევარი საათის წინ ქარი ქროდა არა ზღვის მიმართულებით, არამედ ზღვიდან და, შესაბამისად, მარკას ზღვისაკენ ვერ გაიტაცებდა.

31. ეთქვათ ყოველდღე და დღეგამოშვებით კვერცხისმადებარი ქათმების რიცხვია X . მაშინ დღეგამოშვებით კვერცხისმადებარი ქათმების რიცხვი იქნება $-x:3$. პირობის მიხედვით $x+(x:3)=8$; $3x+x=8\cdot3$; $4x=24$; $x=24:4=6$; ე.ი. ყოველდღე და დღეგამოშვებით 6 ქათამი დებს კვერცხს, ხოლო ორი დღის გამოშვებით $6:3=2$ ქათამი. ორი დედალი 6 დღეში, ორ-ორი დღის გამოშვებით, დებს სულ 4 კვერცხს. დანარჩენი 27 კვერცხი კი მხოლოდ ასე განაწილდება: 3 დედალი ყოველდღე დებს, 6 დღეში დადებს 18 კვერცხს, ხოლო დანარჩენი სამი, დღეგამოშვებით, 6 დღეში დადებს 9 კვერცხს. 8 კვერცხს დედლები კვირას დადებენ.

32. ზაზა მორიგეობს კვირას, ნიკო – ორშაბათს, გურამი – სამშაბათს, დათო – ოთხშაბათს, ვაჟა – ხუთშაბათს, გიორგი – პარასკევს, სანდრო – შაბათს.

33. აბელის სახლის ნომერი, რომელიც იყოფა 4-ზე და 32-ზე, არის 64; ბაბელის სახლის ნომერი, რომელიც იყოფა 3-ზე და 7-ზე, არის 21; ხოლო ვაბელის სახლის ნომერი არის რიცხვი, რომელიც რაღაცის კვადრატია და იყოფა 36-ზე – ეს არის 36. თქვენ ეს ლოგიკური მსჯელობით უნდა დაამტკიცოთ.

34. მანქანის კაპოტი იყო ცხელი.

35. სულ მოკრეფილი მარწყვის ოდენობაა: $x+3x+6x+9x$. მოკრეფილი მარწყვის ოდენობის მიხედვით მებაღეები ასე განლაგდებიან: პავლე, პეტრე, ივანე, სერგო.

ამოცანის პირობიდან გამომდინარე, ამ ჯამიდან რომელიღაც ორ წევრს შორის სხვაობა 55-ის ტოლია. ეს წევრებია $6x$ და x , ხოლო სხვაობა $6x-x=55$ (მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიყოფა 55 უნაშთოდ). აქედან, შეგვიძლია გავარკვიოთ, რომ: პავლეს ცოლს პქვია ანიკო, ივანეს ცოლს – მარო, პეტრეს ცოლს – მართა, სერგოს ცოლს – თეკლე.

36.

ბილიკის №	გვარი	ტანსაცმლის ფერი	ცხენის სახელი
I	ივანიძე	ცისფერი	შმაგი
II	პეტრიაშვილი	მწვანე	ლურჯა
III	პავლიაშვილი	ლურჯი	ნიაფი
IV	გომელაური	წითელი	მეტეორი
V	შეთეკაური	მელნისფერი	ისარი
VI	ჭინჭარაული	ყვითელი	ქურანა

37. პირობიდან გამომდინარე: „ქარიშხალას“ სპორტსმენის მიერ შუბის ტყორცნაში მიღებული ქულა, რომელიღაც ქულაზე მეტია და რომელიღაცაზე ნაკლები. ამიტომ იგი ვერ იქნება 4-ის ან 1-ის ტოლი, მაშინ უნდა იყოს 2-ის ან 3-ის ტოლი. 2-ის ტოლი ვერ იქნება, რადგან, პირობიდან გამომდინარე, იგი უნდა აღემატებოდეს „დინამოელის“ ქულას სიმაღლეზე ხტომაში, ხოლო ეს უკანასკნელი უნდა აღემატებოდეს „ქარიშხალას“ სპორტსმენის ქულას ხტომაში, ამიტომ ეს ქულაა 3. ამოცანის ყველა პირობის გათვალისწინებით შევადგენთ ცხრილს:

	სიმაღლეზე ხტომა	სიგრძეზე ხტომა	შუბის ტყორცნა	სირბილი
დინამო	2	3	1	4
სპარტაკი	3	1	4	1
ქარიშხალა	1	2	3	4
შრომა	3	4	2	1

38. დათო მღერის გუნდში (4), (9) პირობიდან გამომდინარეობს, რომ მხატვრული თვითმოქმედების წრეში მონაწილეობს გიორგი. (7) ცნობილია, რომ ლაშა ბაღეცის წრეში არ მონაწილეობს, ე.ი. იგი ქარგვის წრეშია, მაშინ ბაღეცის წრეშია მიხო. (4) გამონათქვამის მიხედვით გიორგი, ლაშა და მიხო მოჭადრაკეები ვერ იქნებიან, ე.ი. მოჭადრაკეა დათო. (7) პირობიდან გამომდინარე მიხო და ლაშა მოკრივეები ვერ იქნებიან, დათო მოჭადრაკეა, ე.ი. მოკრივეა გიორგი. (2) პირობის მიხედვით ლაშა არაა ძალოსანი, მაშინ იგი ფეხბურთელია, ხოლო მიხო ძალოსანი.

სპორტის სახეობა	სახელი	გატაცება
მოკრივე	გიორგი	მხატვრული შემოქმედება
ფეხბურთელი	ლაშა	ქარგვა
ძალოსანი	მიხო	ბაღეტი
მოჭადრაკე	დათო	სიმღერა

39. ამოცანის ყველა პირობის გათვალისწინებით შედგება ასეთი ცხრილი:

შეხვედრის დრო	მოიგო	წააგო
I შაბათი	მამუკა ნიკო	კახა სანდრო
II შაბათი	სანდრო ნიკო	კახა მამუკა
III შაბათი	კახა მამუკა	ნიკო სანდრო

ნიკო და მამუკა ერთმანეთს შეხვდნენ მეორე შაბათს, მოიგო ნიკომ.

40. სტოლუნი მეორე ნაპირზე გადაიყვანს ჯერ ცოლს, მერე შვილს, შემდეგ კლარკს, კლარკის ცოლს და კლარკის შვილს. იგივე შეეძლო გაეკეთებინა კლარკს.



თავი მესამე

მს სანიტმარესო და საფურადღებო სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკთათვის

თვალის ადატაცია (მიჩვევა) სინათლისადმი მატულობს 24 საათის განმავლობაში, განსაკუთრებით ინტენსიურად პირველი ნახევარი საათის მანძილზე, ხოლო 60-80 წუთის შემდეგ, პრაქტიკულად უმნიშვნელო ხარისხით.

გარკვეული ფერის სინათლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად ამ ფერისადმი მგრძობიარობა სუსტდება და ბოლოს სულაც იკარგება: ადამიანი მოცუბულ ფერს კვლარ შეიგრძნობს, ყველაზე სწრაფად ადატაცია ხდება ლურჯისა და იისფერისადმი, შემდეგ წითელი ფერის, ხოლო ყველაზე ნაკლებად მწვანე ფერის მიმართ.

მხედველობით შეგრძნებას ახასიათებს მკაფიოდ გამოხატული კონტრასტის მოვლენა, კონტრასტული ფერება: თეთრი და შავი, წითელი და მწვანე, ლურჯი და მომწვანო ყვითელი, ნარინჯი და მწვანე, იისფერი და ყვითელი.

აღსანიშნავია ფერთა კონტრასტული მოქმედების შემდეგი სახეები: ფონის ფერი ცვლის მასზე მოცუბულ ფერს თავის საწინააღმდეგო მიმართულებით; შვე ფონზე რუხი ფერი მოთეთროდ აღიქმება, თეთრზე კი იგივე რუხი - მოშავოდ. წითელ ფონზე ბაცი რუხი ქაღალდი მწვანე ელფერს მიიღებს, ხოლო მწვანეზე - წითელს. ლურჯი განათებისას სავნის რუხი ჩრდილი მონარინჯოდ გამოიყურება, წითელი განათებისას კი - მწვანედ.

ფერთა კონტრასტული ზემოქმედება თავს იჩენს ოპტიკური კვალის სახით: ამა თუ იმ ფერის გამღიზიანებლის ფიქსაციის შემდეგ ჩნდება მისი საწინააღმდეგო ფერის შეგრძნება. მაგალითად, მწვანე ფერის 20-30 წამით ფიქსაციის შემდეგ შევიგრძნობთ მოწითალო ფერს; წითლის ფიქსაციის შემდეგ - მწვანეს, შავის ფიქსაციის შემდეგ კი თეთრს და ა.შ. ამ ნეგატიური კვალის ფორმა ზუსტად აღადგენს მანამდე ფიქსირებული ფერადი სავნის ფორმას. თუ ფერი, რომლის ფიქსაციაც ხდება, ინტენსიურ სინათლეს წარმოადგენს, მხედველობითი კვალი იგივე ფერისა რჩება, როგორც იყო ფიქსირებული ფერი. მაგალითად, მას შემდეგ, რაც

შეხვედრით მზეს, ან ვოლტას რკალს, რამდენიმე ხნის განმავლობაში ვხვდებით დაახლოებით იგივე ფერის ლაქებს.

სპექტრალურ ფერებს ჩვენ შევიგრძნობთ მხოლოდ პირდაპირი მხედველობის ველში, არაპირდაპირ, ანუ გვერდით მხედველობაში, პერიფერიაზე, ჩვენ შევიგრძნობთ მხოლოდ ნეიტრალურ (შავ, თეთრ, რუხ) ფერებს. წითელ და მწვანე ფერების შეგრძნების ზონა თვალის ბაღურაზე უფრო ვიწროა, ვიდრე ლურჯისა და ყვითელისა. ყოველი ფერადი საგანი, რომელიც ჩვენი გვერდითი მხედველობის ველში ხვდება, ნეიტრალურ ფერად, ჩვეულებრივ, მუქ რუხად ან შავად გამოიყურება.

სუსტი განათების პირობებში, კერძოდ, ბინდისას, ადამიანი ვეღარ შეიგრძნობს სპექტრალურ ფერებს. ამ კანონზომიერების გამო მწვანე-ციფერის ფერები უფრო დიდხანს ინარჩუნებენ თავის ფერს, ვიდრე წითელი და ნარინჯი.

მხედველობითი დარღვევები შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი სახით: 1) სრულ ფერთა სიბრმავე - ადამიანი მოკლებულია სპექტრალური ფერების შეგრძნების უნარს, 2) ნაწილობრივი ფერთა სიბრმავე - დალტონიზმი: ადამიანი ვერ არჩევს წითელსა და მწვანეს. 3) ქათმის სიბრმავე - სუსტი განათების პირობებში, მაგალითად ბინდისას, ადამიანი ვერ ხედავს, 4) ფერთა შეგრძნების შესუსტება ადამიანი ვერ შეიგნობს სპექტრალურ ფერებს სუსტი განათების პირობებში, ან ფერთა სუსტი სიმძლავრის გამო, ან ფერის ფართობის სიმცირის გამო.

აღნიშნული კანონზომიერებანი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სატრანსპორტო შემთხვევების გამოძიებისას.

ფერთა შეგრძნებები ადამიანზე ახდენენ გარკვეულ ზემოქმედებას. ეს ჯერ კიდევ გოეთეს ჰქონდა შემჩნეული. მან შემოიტანა "თბილი" და "ცივი" ფერების ტერმინი. თბილი ფერებია: წითელი, ნარინჯი, ყვითელი ისინი ადამიანზე ამავნებლად, გამაცოცხლებლად, გამამშენებლად მოქმედებენ; ლურჯი და იისფერი ფერები მსუბუქ - ნალვლიან, ოდნავ მწუხარე გუნებაზე აყენებენ ადამიანს, ხოლო მწვანე და ციფერის კი დამამშვიდებლად მოქმედებენ.

სუნის შეგრძნებას ახასიათებს ძლიერი ადაპტაცია, რის შემდეგაც სუნს ვეღარ შევიგრძნობთ.

რამდენიმე სუნის ერთდროულად ზემოქმედების შედეგად ადგილი აქვს როგორც სუნთა შერევას, ასევე ერთი რომელიმე სუნის მიერ სხვათა დახშობას.

გემოსა და ტექნოლოგიის შეგრძნებებს ახასიათებთ ადაპტაცია და კიდევ უფრო გამოკვეთილი სახით კონტრასტის მოვლენა - გემოს შეგრძნება ძლიერდება და სუსტდება იმის მიხედვით, თუ რა შეგრძნება უსწრებდა მას წინ.

შეგრძნების ორგანოების დეფექტის მქონე ადამიანები (უსინათლო ან ყრუ, განსაკუთრებით კი ერთდროულად უსინათლო და ყრუ) ამ ნაკლის კომპანსაციას ახდენენ ვიბრაციის შეგრძნების მეშვეობით.

შეხების შეგრძნებას ახასიათებს ძლიერი ადაპტაცია.

რამდე იარაღის (ჯოხი, ფანქარი, ჩანგალი) მეშვეობით ადამიანი ასერხებს საგნის შეხებითი თვისებების (სიმაგრე, სირბილე, სისწორე, ფორმა, სიდიდე) აღქმას მასთან უშუალოდ ხელის შეხების გარეშე.

დაბადებიდან უსინათლო ადამიანი აღიქვამს მანძილს, ფორმას, სიდიდეს, მიმართულებას და სხვა სივრცით მიმართებებს, არა ოპტიკური, არამედ სხვა მოდულობათა საშუალებით, როგორცაა შეხებით - კინესთეტიკური, ვიბრაციისა და სმენის მოდულობები.

ყურადღების მოცულობაა 5-6 მარტივი შთაბეჭდილება.

ყურადღების ერთი თვალსაჩინო მასალიდან მეორეზე გადანაცვლების მაქსიმალური სისწრაფე სეკუნდის მესამედს (0,30-0,33) უდრის.

ყურადღების რხვეის პერიოდებია 4-12 სეკუნდი.

ინფორმაციის გადასვლას ხანმოკლე მენსიერებიდან ხანგრძლივში ეწოდება კონსოლიდაცია. ამ მომენტში მომხდარი თავის ტრამეა არღვევს კონსოლიდაციას, რის შედეგადაც პიროვნებას ავიწყდება ის მოვლენები, რომლებიც უშუალოდ უსწრებდა წინ კონსოლიდაციას. სხვა შემთხვევაში ინფორმაცია რჩება მენსიერებაში და არავითარ ზემოქმედებას არ შეუძლია მისი წაშლა.

ხანმოკლე მენსიერების ხანგრძლივობაა რამდენიმე წუთი.

ადამიანის მენსიერების თავისებურებიდან გამომდინარე, განმეორებითი დაკითხვა უმჯობესია 2-3 დღის ინტერვალით.

მენსიერების ტიპი ნაწილობრივ განსაზღვრულია პიროვნების პროფესიული თვისებებით. მაგალითად: ფილოსოფოსებს და ოურისტებს უწვითარდებათ სიტყვიერ-ლოგიკური მენსიერება, სპორტსმენებს, ბალეტის მსახიობებს - მოძრაობითი, მოტორული მენსიერება, დრამის და კინოს მსახიობებს - სმენითი და ემოციონალური, მხატვრებს, არქიტექტორებს - მხედველობითი, მუსიკოსებს - სმენითი, დეკუსტატორებს - გემოს, ბრძებს - ყნოსვითი და შეხებითი მენსიერება.

სკოლამდელი ასაკის (4-6) ბავშვების მეხსიერება არის უნებლოე და ხატოვანი. მათ კარგად ამახსოვრდებათ ის მოვლენები რაც არის მკვეთრი, ახალი და ძლიერი შთაბეჭდილებების მქონე.

3-4 წლის ასაკში ბავშვებს ძალიან უჭირთ წინასწარგანზრახვით რაიმეს დამახსოვრება. ამიტომ მათი ცრუმოწმედ გამოყენება თითქმის გამორიცხვულია.

გულწრფელი მოწმეც უშვებს ჩვენებაში შეცდომებს და ამ შეცდომის ფარგლებია - 5-6%.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჭეშმარიტია ყველა ის ჩვენება, როცა მოწმე დარწმუნებულია ჩვენების ჭეშმარიტებაში.

აღკაპალი არის მცდარი აღქმის პირობა. იგი გავლენას ახდენს რეაქციის დროზე, ასუსტებს მხედველობას, სმენას, ყნოსვას, ფერების აღქმას.

ტყუილის აღმოჩენას ხელს უწყობს ისეთი ფსიქოლოგიური ხერხი, როგორიცაა დამაზუსტებელი, საკონტრალო და მადეტალიზებული კითხვების დასმა.

დაკითხვის დროს კონფლიქტის თავიდან აცილების ხერხია მოსაუბრესთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება.

“ტყუილის დეტექტორი“ ცვლის შესაძლო ტყუილის აღბათობას.

მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის აღქმა შეიძლება იყოს ილუზორული (მცდარი).

აღქმის ილუზიები შეიძლება აღმოცენდეს: 1) ცალი თვალით დაკვირვებისას, ჭეჭრუტანიდან, ხერელიდან, ნაპრალიდან დაკვირვებისას, უმოძრაო, თვალის ღერბებით დაკვირვებისას.

2) მხედველობითი ილუზიების უძრავლესობა აღმოცენდება სინამდვილის და მხედველობითი ხატის არასწორი ინტერპრეტაციის (გაგების, გააზრების) შემთხვევაში.

3) ზოგჯერ ილუზიები განპირობებულია თვალის არასრულფასოვნებით, ახლომხედველობით, შორსმხედველობით, დალოტონიზმით ან მხედველობითი აპარატის სხვა დეფექტებით.

აღქმაზე უარყოფით გავლენას ახდენს აფექტი.

დროისა და სივრცის აღქმაში შეცდომები ხშირად განპირობებულია ემოციური მდგომარეობით.

კონკრეტული საგნის სიდიდის აღქმა და შეფასება დამოკიდებულია გარემომცველ საგანთა სიდიდეზე; დიდი საგნების გარემოცვაში საგანი პატარად გამოიყურება და პირიქით.

ადამიანის გარეგნობის აღქმა დამოკიდებულია იმ მანძილის სიდიდეზე, რომლითაც იგი დაშორებულია აღქმელისაგან: 5 კილომეტრზე ადამიანი შეუარაღებელი თვალით არ ჩანს; 2 კილომეტრზე იგი შეიძლება გამოყო გარემოს სხვა საგნებისაგან; 1 კილომეტრზე ჩანს ადამიანის მხოლოდ საერთო კონტური, ამ მანძილზე არ გამოირჩევა სქესი, ასაკი, ტანსაცმლის სახეობა; 700 მეტრზე ვამჩნევთ ხელების და ფეხების მოძრაობას; 300 მეტრზე - თავს, მხრებს, სახის სიმრგვალებას, ხელის მტევანს; 60 მეტრზე ვამჩნევთ თვალბრუნვას, ცხვირს, თითებს; 2 მეტრის მანძილზე შეიძლება დავინახოთ ნაოჭები სახეზე.

დისტანცია ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობის გამოშატეულია ინტიმური ზონა (15-46 სმ) ახლო კონტაქტის ზონა და მისი დარღვევა მხოლოდ ემოციურ კონტაქტში მყოფ ადამიანებს შეუძლიათ.

პერსონალური ზონა (46 სმ-1,2 მ). მეგობრული საღამოების და შეხვედრების ზონა.

სოციალური ზონა - (1,2 მ-3,6 მ) იმ ადამიანებთან კონტაქტის ზონა, რომლებთანაც ახლო ნაცნობობა არ გაკავშირებს.

საზოგადოებრივი ზონა - (3 მ- 3,6 მ) აუდიტორიასთან ურთიერთობის ან ადამიანთა ჯგუფთან ოფიციალური კონტაქტის ზონა.

ამ ზონების დარღვევა ადამიანში შესაბამის რეაქციებს იწვევს რადგან მას თან ახლავს დისკომფორტი. ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერება, რომელზეც მოუთითებენ ავსტრალიელი ფსიქოლოგი ადან პიზი და პროფ. გ. მარუაშვილი შეიძლება გამოყენებულ იქნას სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მიერ.

რას გვქუბნება ადამიანის სხეული

ადამიანთა მიერ ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა მეტყველება. მეტყველების ძირითად ფუნქციებს მიეკუთვნება: კომუნიკაცია, ექსპრესია და საგნიფიკაცია. ეს ფუნქციები ხორციელდება ნიშანთა იმ სისტემის მეშვეობით, რომელსაც ენა ეწოდება. მაგრამ ადამიანები ინფორმაციას მარტო მეტყველების მეშვეობით როდი გადასცემენ. მეტყველების პროცესს თან ახლავს სათანადო ფესტი, მიმიკა, პოზა და ზოგადად მთელი სხეულიდან მომდინარე იმპულსი. ამ ხერხებით ინფორმაციის გადაცემას ეწოდება სხეულის მოძრაობის ენა, ანუ ბოდილინგივიგი. ითვლება, რომ

ბოდილინგვიჯის კარგ მცოდნეს შეუძლია მიღებული ინფორმაციის 55 პროცენტის სწორად გამოფერა, მაშინაც კი როცა პიროვნება ცდილობს დაფაროს ეს ინფორმაცია, მას განიხილავენ პიროვნების ისეთ ფსიქო-სოციალურ მახასიათებლად, რომელიც ქვეცნობიერს უფრო უკავშირდება, ვიდრე ცნობიერს და ამდენად პიროვნების ფსიქო-სოციალური მდგომარეობის უნებურ გამოხატვას წარმოადგენს. ბოდილინგვიჯი ნაწილობრივ ეფუძნება სხეულის ექსპრესიულობას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გარეგნულ გამოვლინებას მოტორული და ვეგეტატიური რეაქციების მეშვეობით. გამოხატვის ხერხის მიხედვით მისი ფორმება: მიმიკა, ექსტი, პოზა, პანტომიმიკა.

1. სახის მეტყველ მოძრაობას ეწოდება მიმიკა (ბერძნ.: „მიმიკა“ ვბადე) იგი შეიძლება იყოს უნებლიე და ნებითი. უნებლიე მიმიკა ემოციური მდგომარეობის ჭეშმარიტი გამოხატულებაა. ნებითი მიმიკა წარმოქმნილია უნებლიე მიმიკის საფუძველზე; მას ადამიანი შეიძენს ვარჯიშის ან ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე და მისი საშუალებით ნებისმიერად ქმნის სათანადო განწყობის შესაბამის გარეგნულ გამოხატულებას ან მალავს იმ გრძობას, რომლის გამოძეგლავება არ სურს.

რას მიგვანიშნებს ადამიანის მიმიკა

მიმიკა არის ადამიანში ბიოლოგიური და სოციალური ასპექტის ერთიანობა. სამართალდამცავ ორგანოთა მუშაების საქმიანობაში მიმიკის სწორ შეცნობას აქვს დიდი მნიშვნელობა.

თვალები მიმიკის კომპონენტია, ისინი არ ემორჩილებიან ნებელობით მართვას და მათი მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის ბუნების და შინაგანი მდგომარეობის შეცნობა. სწორედ ამიტომ უწოდებენ თვალებს ადამიანის “სულის სარკეს”.

დასაკითხი პიროვნების გამოხედვა და მიმიკა გვაწვდის ინფორმაციას ფსიქოლოგიური კონტაქტის არსებობის შესახებ.

მზერის მახლობლად მიგვანიშნებს, რომ პიროვნებას სურს დაუყოვნებლივ შეიცნოს საგანი, მოვლენა, მას აინტერესებს ინფორმაცია, რომელსაც გადასცემენ.

პირდაპირი მზერა მანიშნებს, რომ პიროვნება მზადაა კომუნიკაციისათვის, მას აინტერესებს თანამოსაუბრის აზრები, განცდები, მისდამი დამოკ-

იღებულა. ეს მზერა კარგ ფსიქოლოგიურ კონტაქტზე მიანიშნებს.

დაინებული მზერა მიანიშნებს ძლიერ ინტერესზე, ხასიათის სიფიქსესა და სიჯიუტეზე, ზოგიერთ შემთხვევაში აგრესიულობაზე, პაექრობისათვის მზაობაზე.

ჯიქურ გამოხედვა გამოხატავს სიჯიუტეს, წინააღმდეგობას, კონფლიქტისა და თავდასხმისათვის მზაობას.

თვალის ქრილის შევიწროება ჩვეულებრივ სიტუაციებში გამოხატავს დაღლილობას, მოთენთილობას, გულგრილობას.

მზერა შუბლსქვემოდან ზემოთ მიმართული, დახრილი თავით, მოწმოს პიროვნების ნეგატივიზმზე, მიუღობლობაზე, საკუთარ თავში ჩაკეტილობასა და გულჩათხრობილობაზე. ეს მზერა გამოხატავს აგრეთვე მორჩილებას და იმავდროულად თანამოსაუბრისაგან საკუთარი განცდების და აზრების დაფარვის სურვილს.

შორს, სივრცეში მიმართული მზერა მიუთითებს, რომ პიროვნებას არ აინტერესებს საუბრის თემა და კონკრეტული გარემო.

განზე ყურება მიანიშნებს, რომ თანამოსაუბრეს ან არ აინტერესებს რაზეც ესაუბრებით, ან აქვს განსხვავებული აზრი სასაუბრო ობიექტზე, ასეთ დროს კონტაქტი არ არის.

ქვემოთ მოგვყავს ვიზუალური კონტაქტის კოდები ფ. კუზინისა და გ. მარუაშვილის მიხედვით

ხედვა და შესაბამისი მოძრაობა	ინტერპრეტაცია	საკირო
თავის აწევა და ზევით ხედვა	დამცავი კოტა მოუფიქრებ	კონტაქტი უნდა შეწყვეტო
თავის მოძრაობა და წარბების შეკუმხვნა	ერ გავიგე გაიბორო	კონტაქტი ძლიერდება
ღიმილი, მსუბუქი თავის დახრა	არაფერი მაქვს დასამატებელი	კონტაქტი გრძელდება
რიტმული თავის დაქნევა	ნათელა, გავიგე რაც ვსურს	კონტაქტი გრძელდება
ხანგრძლივი თვალის მიმტერება მოსაუბრის თვალებში	მსურს ზეგაუღუნა მთავხლონი დაემპორჩილო	უნდა იმოქმედო სიტუაციის შესაბამისად
განზე ხედვა	სიფრთხილეა საკირო	კონტაქტს მიეშვი
იატაკზე ყურება	შიში - ხომ არ ჯიბს თავის დაწებება?	კონტაქტს მიეშვი

თანამოსაუბრის ნდობის მოსაპოვებლად საუბრის დროის 60-70 პროცენტს უნდა იჭერდეს თქვენი თვალების მზერის მოსაუბრის მზერასთან შეხვედრა.

საუბრის მიმდინარეობაზე კონტროლისათვის თქვენი თვალები მიმართული უნდა იყოს პარტნიორის შუბლისაკენ, მის თვალებს ზემოთ და ძირს არ უნდა დახაროთ.

შუბლის შეჭმუნება და მაღლა აზიდული წარბები დაფიქრებულობისა და ყურადღების კონცენტრაციის ნიშანია.

შუბლის ჰორიზონტალური ნაოჭები ახასიათებს ცქერას, ყურებას, რაც თავის მხრივ პასიური აღქმის მარცენებელია.

შუბლის ვერტიკალური ნაოჭები მოუთითებს დამკვირვებლობაზე, მიზანსწრაფულობაზე, მოწესრიგებულობასა და ორგანიზებულობაზე.

მოღუნებული პირი (დაგეხი) მიგვითითებს, რომ პიროვნების აქტივობა დაკლებულია, იგი მანიშნებს რომ პიროვნება გაკვირვებულია, მოულოდნელობისაგან შეშფოთებულია და შეფიქრანებული.

დაშვებული ტუჩის კუთხეები მოუთითებს დეპრესიულ მდგომარეობაზე, ხოლო ტუჩის გასწორებული კუთხეები და კონფიგურაცია - კარგ, ამაღლებულ განწყობაზე.

შინაგანი მდგომარეობის მიხედვით ექსპრესიულობის ძირითადი ფორმებია: ფიზიკური ტკივილის ექსპრესია, ფიზიკური და ძაბვის ექსპრესია, ყურადღების ექსპრესია, ემოციების ექსპრესია.

ფიზიკური ტკივილის ექსპრესია:

ტკივილის დროს წარბების თავები დაახლოებულია, მათ შორის, კანზე, წარმოიშობა ვერტიკალური ნაოჭი.

აუტანელი ტკივილით გამოწვეული ტანჯვის დროს წარბების შუა ნაწილში, წარბის თავსა და მის ტანს შორის იქმნება კუთხე და წარბი ღებულობს ირიბ ან კუთხოვან ფორმას.

ტკივილის მიმიკა გამოიხატება თვალების ძლიერი დახუჭვით, რის გამოც თვალის გარეთა კუთხესთან იქმნება კანის სხივისებრი ნაოჭი. პირი დასაყვირებლად დაიღება.

ფიზიკური დაძაბვის ექსპრესია:

ნიშანდობლივია თვალების მკვეთრი დახუჭვა, წარბების დაახლოება, ამის შედეგად მათ შორის წარმოიქმნება კანის გასწვრივი ნაოჭი; პირის

მკვიდროდ მოკუმეასთან ერთად საღვთი კუნთების კონტური მკვეთრად გამოისახება.

ყურადღების ექსპრესია:

მხედველობითი ყურადღების მიმიკა გამოიხატება ფიქსირებული მხერ-
ით, თვალების ნაპრალოთა შევიწროებით, დაშვებულ და დახლოებულ
წარბებს შორის კანის ვერტიკალური ნაოჭების წარმოქმნით, ცხვირის
ნესტოებისა და პირის კუთხეების განზე გაწვეით.

გაფანტული ყურადღებისას აღინიშნება თვალების ნაპრალების გაფარ-
თობა, წარბები აწეულია, შუბლის კანზე პირიზონტალური ნაოჭებია
წარმოქმნილი, საღვთი კუნთები მოღუნებულია, რაც განაპირობებს ქვედა
ყბის დაშვებას და პირის დაღებას.

ემოციების ექსპრესია:

ძირითად ემოციათა რიცხვს მიეკუთვნება: გაკვირვება (ძლიერი გაკვირვება-
განცვიფრება), შიში (ძლიერი შიში-შეძრწუნება), გაბრაზება (ძლიერი
გაბრაზება-რისხვა), სედა, სიხარული, ზიზლი.

გაკვირვების ემოცია გამოიხატება წარბებისა და ზედა ქუთუთოების
მკვეთრი აწვეით და შუბლის კანზე განივი ღარების წარმოქმნით. ცუ-
ლილებას განიცდის სხეულის პოზაც: სხეულის კუნთების ტონუსი
დაქვეითებულია, ადამიანი პასურია და უმოძრაო, ქვედა კიდურები სახ-
სრებში მოხრილია ზედა კიდურები ჩამოშვებული, პირი დაღებული.

შიშის ემოციისას ფართოდ გახელილი თვალების მხერა ფიქსირებულია
იმ საგანზე, რომელმაც შიში გამოიწვია, ლოყები დაგრძელებულია, პირი
ნახევრად ღია. ვეგეტატიური რეაქციებიდან აღინიშნება გუგების გაფარ-
თობა, გაოფლიანება, სახის გაუთირება, სხეულის მხრივ აღინიშნება
კუნთური ტონუსის დაქვეითება და ცახცახი, ჩნდება ვარდნის შგრძნება
(შიშისაგან ფეხების მოკვეთა).

შეძრწუნება იწვევს ყველა მიმიკური კუნთის შეკუმშვას, რის გამოც
მკვეთრად გამოისახება სახის ნაკთები, წარბები აწეულია, თვალის
ნაპრალები და გუგები გაფართოებული, პირი აქტიურადაა დაღებული.
შეძრწუნების კვილის წინ კისრის კანქვეშა კუნთი იკუმშება, რის გამოც
კისრის კანი ნაოჭდება.

რისხვა, უკმაყოფილების ძლიერი გრძობა, მიმიკურად გამოიხატება
პირის მოკუმეით, ცხვირის ნესტოების გაგანიერებით, ზედა ქუთუთოების

აწვეით, წარბების დაახლოებით, წარბებს შორის კანის ვერტიკალური დანაოჭებით. ზოგჯერ შუბლის არეში, უფრო ხშირად მარჯვენა მხარეს მოსმანს კანქვეშა ვენის მოლურჯო მორგვი, რომელსაც "რისხვის" ვენას უწოდებენ.

პოზის მხრივ დამახასიათებელია სხეულის წინ წაწევა, ექსტიკულაციის მხრივ ხელის მტევნის დაშუშება.

სედა-შუხარების, უსიამოვნო განცდებისა და სულიერი ტანჯვის გრძობაა. იგი გამოიხატება სხეულის ყველა კუნთის ტონუსის დაქვეითებით. მიმიკის ექსპრესიულობა ასეთია: სახის ნაკეთები დაშვებულია, ამიტომ სახე დაგრძელებული გვეჩვენება, წარბები დაშვებულია, წარბის რკალები გასწორებული, ქედა ქუთუთოები პასორადაა დაშვებული, უძრავი თვალები აღარ პრიალებს ცრემლის სეკრეციის შემცირების გამო. პირის კუთხეები ოდნავ დაშვებულია, ცხვირ-ტუჩის ნაკეციბი დაგრძელებულია, ლოყები ჩაცვენილია და დაშვებულითავი დახრილია, მოსრილი ტანი საყრდენს ეებს, ხელები უსიცოცხლოდაა დაშვებული. პოზის მხრივ დამახასიათებელია ხელის მტევანზე პასორად დაყრდნობილი თავი. აქტიური სედას გამოვლენა ტანისა და კიდურების კუნთების აქტიურობა, რაც გამოიხატება ტანის ბრუნვით და სხვადასხვა პოზით, ხელებით ჩაჭიდვითა და ტირილით.

სიხარულის ექსპრესიის ფორმაა ღიმილი, სახის ნაკეთები აწეულია, პირი განივად გაჭიმული, პირის კუთხეები ზომიერად აწეულია ცხვირი ოდნავ გაფართოებული, ლოყების აწევის გამო ცხვირი უფრო წაზრდილი გვეჩვენება, ხოლო ნიკაბი ხდება უფრო გლუვი და წაწვეტებული. ცხვირ-ტუჩის ღარი ზევით იწევს, თვალის ნაპრალები ვიწროვლდება, წარბები ოდნავ ზევით იწევს და ღებულობს რკალისებურ ფორმას. საცრემლე ჯირკვლების სეკრეციის მომატების გამო თვალები აპრიალებულია.

ზიზლის ექსპრესიისას პირი მოკუმულია, ტუჩის კუთხეები დაშვებული, წარბები საფეთქლებისკენა გაწეული, წარბების შიგა კუთხეები აწეულია მაღლა. სახე ღინამორია.

რას მიხვანიშნებს შუსტი

ექსტი არის სხეულის ნაწილების, განსაკუთრებით ხელის და თავის გამოშხატველი მოძრაობა, რაც თან ახლავს მეტყველებას, ან ენაცვლება მას. შესაბამისად, ექსტიკულაცია ნიშნავს ექსტების გამოყენებას ლაპარ-

აკში, მეტყველებაში. ქრისტიანულია გასაგება ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში და განსხვავებულია სხვადასხვა კულტურებისათვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მსგავსებაზეც შეიძლება ლაპარაკი:

მხარზე ხელის მოთათუნება ნიშნავს მეგობრულ-მეზარეულობით დამოკიდებულებას, იგი გამოხატავს სიმპათიას თანამოსაუბრის მიმართ.

შეხება, როგორც ქრისტი, ნიშნავს, რომ პიროვნებას სურს საუბარში საკუთარი სათქმელის ჩართვა, ან მნიშვნელოვანი მომენტისათვის ხაზგასმას.

ზოგიერთი ქრისტი, როგორც ამტკიცებს აღან პიზი, გვეხმარება სიცრუის გამოცნობაში. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ქვეცნობიერი არ ემორჩილება ცნობიერ კონტროლს. სიცრუის თქმის დროს ადამიანი უნებლიედ ხელს პირზე იფარებს, ცერით კი ლოყას ეხება, ზოგჯერ უნებლიედ ჩახველებს, რომ ეს ქრისტი შენიღბოს.

როდესაც საუბრისას თქვენი მსმენელი სახეზე ხელს ისვავს, ან ნიკას ისრესს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ იგი დაეჭვებულია თქვენს სიმართლეში.

თუ თანამოსაუბრე მსუბუქად ეხება ცხვირს, ხან კი ცხვირის ფოსოს იქექავს, მაშინ იგი ტყვილს ამბობს. იგი ცრუობს მაშინაც, თუ საუბრისას იწყებს კისერზე საყვლის გაწევას და თითების შიგ ჩაყოფას.

ქუთუთობის ხელებით სრესა სიცრუისაგან თავის დაცვისა და პარტნიორის იგნორირების ნიშანია.

თუ ადამიანები საუბრის დროს გულწრფელნი არიან, ხელისგულებს უშეტესად ზემოთ მიმართავენ.

როცა დაეჭვდებით, რომ თანამოსაუბრე ცრუობს, სთხოვეთ მას, რომ დააზუსტოს ნათქვამი, რითაც ნაწილობრივ მაინც აძულებთ მას თავი დაანებოს თვალთმაქცობას. იგივე ფუნქციას ასრულებს დამაზუსტებელი და მადელტალიზებელი კითხვების დასმის მეთოდი, რომელსაც იყენებენ დაკითხვის დროს.

ჩახველება მიანიშნებს, რომ თანამოსაუბრე შეწუხებულია მობეზრებულა საუბრით. ამ ქრისტს შეიძლება თან ახლდეს ყურის მოსრესა და სუნთქვის რიტმის არქარება.

თითების კაკუნი მაგიდაზე, ან სვარბელზე მოუთითებს მოუთმენლობაზე, იგი მიგვანიშნებს, რომ თანამოსაუბრე არ არის კმაყოფილი საუბრის მიმართულებით.

ადამიანის ხელის მტკუნის მეტყველი მოძრაობა გამოხატავს მის სხვადასხვაგვარ ემოციურ მდგომარეობას: თხოვნას, შექარას, რამის უარყო-

ფას, თხოვნა გამოიხატება გაწევილი ხელით, ზემოთ მიმართული ხელის-
გულით, მუქარას გამოხატავს დამუშტული ხელი, უარყოფა გამოიხატება
გარეთ მიმართული ხელისგულებით, თითქოს ხელებით სურს ადამიანს
დაიკვას თავი არასასურველი ზემოქმედებისაგან.



რას მიგვანიშნებს ადამიანის პოზა

პოზა ეწოდება სხეულის მეტყველ მოძრაობას, ადამიანის მდგომარე-
ობას სივრცეში. პოზა მრავალგვარია და მას ნაწილობრივ კულტურული
ტრადიციები განსაზღვრავს. პოზაში გამოიხატება ადამიანის სოციალური
სტატუსი და პიროვნების განვითარების დონეც. ზოგადად შეიძლება
განვასხვავოთ ღია და დახურული პოზა.

დახურულია პოზა, როცა ადამიანი ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები
აღვილი დაიჭიროს სივრცეში. იგი მოუთითებს ნეგატიურ განწყობაზე,
მორიდებულობაზე, თავშეკავებულობასა და შედარებით დაბალ სოციალ-
ურ სტატუსზე.

ღია პოზა დახურულის საწინააღმდეგოა, პიროვნება თითქოს სივრცე-
ში განფენილი, გამართულია და ხელ-ფეხი თავისუფლად აქვს გაშლილი.
გაშლილი ხელით ადამიანი იმპულსურად ამბობს, რომ მას შეიძლება
ენდო და იყო მასთან გულახდილი.

ხელებისა და ხელისგულების ზურგს უკან დამალვა, (რაც ხშირად
ანასათაებთ ბევრებს, მიანიშნებს, რომ მათ ტყუილის თქმა უნდათ.

ხელისგულების დამალვა ზოგადად მიანიშნებს ტყუილს.

სკამის კიდეზე ჩამოჯდომა არის საკუთარ თავში დაურწმუნებლობის
ნიშანი.

ფეხის ფეხზე გადადება დაცვიითი პოზიციის გამოშხატველია, ქალები-

სათვის იგი "ქალბატონურ" პოზად ითვლება.

თავისუფალი პოზა მოუთითებს მაღალ სოციალურ სტატუსზე და პირიქით, შეზღუდული პოზა მოუთითებს დაბალ სტატუსზე.

რას მიგვანიშნებს კანტომიმიკა

კანტომიმიკა არის სახის, სხეულისა და ხელების მეტყველი მოძრაობა, რომელშიც გამოიხატება როგორც პიროვნების მდგრადი თვისებები, ასევე მისი ემოციური მდგომარეობა ყოველ მოცემულ სიტუაციაში.

სიარული არის ადამიანის სივრცეში გადაადგილების სტილი. თუმცა სიარულის მიხედვით ადამიანის თვისებებში წვდომა სხეულის მოძრაობის სხვა შეფასებებთან შედარებით ნაკლებ საიმედოა, მაგრამ თუ ამ შეფასებებსაც გავითვალისწინებთ, სიარულის მიხედვით შეიძლება გამოვიცნოთ ადამიანის ისეთი ემოციური მდგომარეობანი, როგორიცაა გაბრაზება, მწუხარება, სიხარული, სიამაყე და ა.შ. სიარულში გამოიხატება ტემპერამენტის ტიპიც.

მწუხარება გამოიხატება დათრგუნულ სიარულში, შესაბამისი მიმიკით. გაბრაზება მიძიმე ნაბიჯებში და შესაბამის მიმიკაში სიხარული და სიამაყე მსუბუქ ნაბიჯებში გამოიხატება მიზანსწრაფულობის მაჩვენებელია ხელების ქნევა სიარულის დროს კრიტიკულად განწყობილ, აწეული მგრძობელობის პიროვნებას ახასიათებს ჯიბეში ხელჩაწყობილი სიარული.

ენერგიულ და მიზანმიმართულ ადამიანებს ახასიათებთ მკვეთრი და ენერგიული ნაბიჯები.

აწეული თავით და წინწამოწეული ნიკაპით მოსიარულე ადამიანებს ახასიათებთ ლიდერობისაკენ სწრაფვა.

მსუბუქი და მკვირცხლი ნაბიჯი, ჩქარი მეტყველება და ყურადღების სწრაფი გადანაცვლება მიანიშნებს სანგვინიკურ ტემპერამენტზე.

სწრაფი მტკიცე და მკვეთრი ნაბიჯები ქოლერიკული ტემპერამენტის ნიშანია.

ნელი, დინჯი და ენერგიული მოძრაობა ფლემმატიკისთვისაა დამახასიათებელი

ზანტი, სუსტი ნაბიჯი, დაზრილი თავით, მელანქოლიკზე მოუთითებს. მხრების აჩქევით პიროვნება გამოხატავს სიტუაციის გაუგებრობას და

გადაწყვეტილების ძიების მდგომარეობას.

ჩაქინდრული თავი და აწეული მხრები უკმაყოფილების, დამარცხების, შიშის, თავის თავში დაურწმუნებლობის გამოხატულებაა.

თავის გვერდზე გადახრა და ირიბული გამოხედვა დაინტერესების ნიშნით.

საგარაუდოა, რომ ინფორმაცია, რომელსაც კომუნიკაციის პროცესში ჩართული პიროვნება სხეულის მეტყველებით, არაცნობიერად გასცემს, ასევე არაცნობიერად აღიქმება მეორე მხარის მიერ და საფუძვლად ედება მათ შორის უკვე გაცნობიერებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ბოდილინგვიჯის გზით მიღებული ინფორმაციის გონივრული გამოყენება მათ პროფესიულ დონეზე მეტყველებს.